საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№094 (12 164) | 24 აპრილი სამშაბათი 2007 | გამოდის 1934 წლიდან | ფასი 50 თეთრი

# ოქრო-ვერცხლი ჩამოგვივიდა

## ველით მსოფლიო ჩემპიონატიდანაც

ირაკლი თავაძე

გუშინ, ნაშუადღევს, სოფიიდან ქართველი მოჭიდავეები დაბრუნდნენ. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა იქ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს და დიდი წარმატებითაც. განსაკუთრებით, „ანტიკოსებმა" რომლებმაც დამოუკიდებლად ასპარეზობის ისტორიაში პირველად მოიპოვეს ორი ოქროს მედალი - მანუჩარ კვირკველიამ (74) და რამაზ ნოზაძემ (96). „თავისუფლებმა" ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოინადავლეს. ვიცე-ჩემპიონი გელა სალირაშვილი (74) გახდა, მესამეზე კი გიორგი გოგშელიძე (96) და ლექსო მოდებაძე (120) გავიდნენ.



ევროპის ჩემპიონები: რამაზ ნოზაძე და მანუჩარ კვირკველია



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

აეროპორტში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ლამის მთელმა საჭიდო თემმა, ტრადიციული ზურნა-დუდუკის თანხლებით. მეგობართა დასახვედრად „ანტიკოსთა" ნაკრების ის წევრებიც მივიდნენ, რომლებიც რამდენიმე საათით ადრე - შუალამისას დაბრუნდნენ თბილისში. ესენი ძირითადად უმედლოდ დარჩენილი ფალავნები იყვნენ, თორემ ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ჩემპიონები სოფიაში დაიტოვეს და ისინიც გუშინ უნდა ჩამოსულიყვნენ „თავისუფალთა" ნაკრებთან და დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად. ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და მათ მოლოდინში „ანტიკოსთა" ნაკრების წევრებს გავესაუბრეთ.

**თავდაპირველად ჩემპიონატის შეფასება გუნდის თავკაც ბეგი დარჩიას ვთხოვეთ.**

- იქიდან გამომდინარე, რომ ევროპის ჩემპიონატზე ორი ოქრო პირველად მოვიპოვეთ, კმაყოფილი ვართ. ამ ჩემპიონატმა ისიც გვიჩვენა, რომ მომავალში უფრო მეტი შანსი გვექნება. სოფიაში დავინახეთ, რომ ჩვენი მიდგომაც სწორია და მთავრობაც სერიოზულად გვეხმარება. თანაც, ძალიან ძლიერი თაობა მოდის.

**- ეს წარმატება გუნდს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში ეიფორიაშიც ხომ არ ჩააგდებს?**

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოფიაში ბედინაძის შემთხვევაში ერთი მედალი დავკარგეთ, თანაც, ოქროზეც შეიძლებოდა ფიქრი. ეს მსოფლიოზე არ უნდა განმეორდეს. ალბათ, მეტი მობილიზება გვმართებს. ეს მსოფლიო სალიცენზიო ტურნირია, რაც მის მნიშვნელობას ზრდის. ამას ისიც ემატება, რომ იქ სხვა რეგიონის გუნდებიც გვემატებიან. მართალია, ჩვენს სახეობაში ძირითადად ევროპელები ლიდერობენ, მაგრამ ძლიერი გუნდები ჰყავთ კუბას, ირანს, შუა აზიის რესპუბლიკებს, სამხრეთ კორეას, იაპონიას, აშშ-ს, ეგვიპტეს...

**- კვირკველიას ჭიდაობა თურმე განსაკუთრებით მოსწონებიათ ევროპაზე...**

- ჩემპიონატში მონაწილე არაერთმა ცნობილმა სპეციალისტმა ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედ აღიარა, რასაც სრულად ვეთანხმები.

**- ვინ გაგაწბილათ ამ ჩემპიონატზე?**

- ისევ ბედინაძეს დავასახელებ. მართალია, მსაჯის მიკერძოებაც იყო, მაგრამ მასაც რომ უფრო მოენდომებინა, იქნებ აქამდე არ მისულიყო საქმე.

განბილებული სხვებისგანაც დავრჩი. მაგალითად, ირაკლი ჭოჭუამ ორი შეხვედრა ბრწყინვალედ მოიგო, მაგრამ მერე უკრაინელ რახიმოვთან ისეთი შეხვედრა წააგო, ვერ წარმოვიდგენდი. თვითონ ატარებდა ფანდს, მეტოქე მკერდზე დაისვა, მაგრამ მაინც წმინდად დამარცხდა. ამას ვერ წარმოვიდგენდი. მაჭუტაძის უმედლოდ დარჩენაც დასანანია, მაგრამ შარშანდელთან შედარებით, მის ჭიდაობაში დიდი პროგრესია.

**- ბადრი ხასაიაზე რას იტყვით? ბუნებრივია, ის ძალიან ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა, მაგრამ მაინც...**

- ძლიერს თუ არ მოუგე, ისე წარმატებას ვერ მიაღწევ. შეიძლებოდა ცოტა მეტი იღბალიც ჰქონოდა, რადგან წილისყრით ფრეზე დამარცხდა. მონეტა ამას რომ დაჯდომოდა, იქნებ ფინალშიც გასულიყო. იგი სოფიაში წასვლამდე სამი დღით ადრე მოიწამლა, რაც ეტყობოდა კიდეც. თუმცა ნურც იმას დავუკარგავთ, რომ შთამბეჭდავად დაამარცხა ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონთან ფრეზე, მხოლოდ წესების გამო დამარცხდა.

11




## მოვირგოთ სომბრერო?

## შეიძლება, თბილისში მექსიკის ნაკრები ჩამოვიდეს



# ანჩელოტი: მილანი რომა არ გეგონოთ

დღეს, ოლდ ტრეფორდზე **მანჩესტერი-მილანი**







## ნემსაძე ადასტურებს:

## ვიწყებ ბრძოლას!

ჩემი პრეზიდენტობა საფეხბურთო სამყაროს გახლეჩვას არ ნიშნავს



სტადიონების პრობლემა

# ფედერაცია და დიადორა გთავაზობთ!

## შვიდი მოედანი კონკიასაგან?

"მერანი"-"ბათუმის" შეხვედრას ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი ესწრებოდა. თამაშის დასასრულს შემოტრიალდა და ქართველ ნაცნობს საფუძვლიანი საუბარი გაუბა:

- დიდი ხანია, რაც ამ ჩემპიონატს სისტემატურად ესწრები?

**- ცამეტი წელია.**

- მერე რას ფიქრობთ, დონე იზრდება თუ მცირდება?

**- ძალიან დაეცა.**

- მიზეზი?

**- უფულობა, ჩემპიონატის სიტემა, 10-გუნდიანი პირველობა რომ იყოს, მეტი დაძაბულობა იქნება და კლასიც აიწევს.**

- რა თქმა უნდა! 10-გუნდიანი პირველობა ასეთი პატარა ქვეყნისთვის უკეთესია.

**- და საშინელი მოედნები!**

- ოო, ეს მართლა საშინელებაა.

**- პეტარ, ასეთ საფარზე იტალია-საფრანგეთი რომ გაიყვანო, რა თამაში გამოვა?**

ხორვატს გაეცინა

- დღევანდელზე უკეთეს თამაშს ისინიც ვერ აჩვენებენ.

**- ასეთი მოედნები სადმე გინახავს?**

- არსად! არც ერთ ქვეყანაში! ჰა-ჰა, გერმანიაში მოყვარულთა გუნდების სტადიონებზე. ძნელია მსგავს საფარზე ნორმალური ფეხბურთი აჩვენო, მით უფრო, ქართველებისთვის. ტექნიკური, სწრაფი და ნიჭიერი ბავშვები არიან, რომლებიც ნორმალურ, მოედნებზე, მშვენივრად თამაშობენ. ასე იყო მაგალითად თურქეთში. ხალხი მოიხიბლა მათი ფეხბურთით, მაგრამ მერე საქართველოში დაბრუნდნენ და ის დონე ველარ აჩვენეს. ასეთ მოედნებზე ეს შეუძლებელია.

... სეგრტის ნათქვამში ცინიზმი და ევროპიდან ჩამოსულის ქედმაღლობა არ იგრძნობოდა. კაცი გულწრფელად წუხდა.

წარმოიდგინეთ იმ გერმანელის, ხორვატის, ნებისმიერი ევროპელის რეაქცია, რომელიც ჩვენს პირველობას ესწრება და ვერ ხვდება, როგორ შეიძლება ასეთ მოედნებზე თამაში.

"შევარდენის" სტადიონი, ისევე როგორც "ლოკომოტივი", და ბევრი სხვა საქართველოში, საზიზღარ დღეშია. გამონათება მხოლოდ "ამერიხა" და "ზესტაფონის" არენებია, სადაც ბურთის ნორმალურად გაგორება შეიძლება. ორი ნორმალური მოედანი კი ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის სასაცილო ციფრია. ასეთ მოედნებზე სწრაფი, ტექნიკური და მაყურებლის სტადიონზე მოსაზიდი ფეხბურთის ჩვენება შეუძლებელია. მოთამაშეები ერთი შეხებით ბურთის გაგორებას ვერ შეეჩვევიან

მოყვრის მიერ პირში ნათქვამს კი შესმენა სჭირდება და არა ისტერიული რეაქცია, ეს რა გაგვიბედაო.

დროა, ყველაფერს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და ფეხბურთის ფედერაციამ წერტილი დაუსვან. წლიდან წლამდე ლაპარაკია მკაცრი კრიტერიუმების შესრულებაზე, მაგრამ ბოლოს, ხან ეს გუნდია დიდი წარსულის და ხან ის - შესაბრალებელი, სტადიონს კი მდგომარეობის გამოსასწორებლად ვადას აძლევენ. ასეთი ლოიალობა ქართულ ფეხბურთს კლავს.

როგორც შევიტყვეთ, ფეხბურის ფედერაცია საქართველოს ნაკრების პარტნიორ კომპანია "დიადორასთან" მოლაპარაკებას აწარმოებს, რომლის თანახმადაც, იტალიელები შვიდი მოედნის შეცვლაში მონაწილეობას აპირებენ. თითოეული მოედნისთვის ფირმა 150 ათას ლარს გაიღებს. ინფორმაცია ახალციხის "მესხეთის" პრეზიდენტ **გია მესხელისგან** შევიტყვეთ.



პეტარ სეგრტს ქართულ მოედნებზე ნორმალურად თამაში შეუძლებლად მიაჩნია

ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციისს მალალჩინოსანმა დაგვიდასტურა და დაგვიზუსტა: *"პროექტი მართლაც მზადდება. იტალიელებს შევხვდით და მოლაპარაკება დავიწყეთ, მაგრამ უფრო გლობალურ თანამშრომლობაზეა საუბარი. არა მარტო მოედნების შეცვლა გვსურს. შესაძლოა, "დიადორამ" ჩვენი უმაღლესი, პირველი ლიგისა და ბავშვთა გუნდები, აგრეთვე მსაჯთა კორპუსი შემოსოს.*

*ეს მხოლოდ ჩანაფიქრის ნაწილია. იტალიელებს ამიერკავკასიის ფილიალის დაფუძნება თბილისში სურთ. მერე კი აქედან თურქეთის ბაზარზე გასვლას გეგმავენ, რომელიც "ნაიკს" აქვს დაპყრობილი. თუმცა კონტრაქტზე ხელისმოწერამდე, ამაზე საჯაროდ საუბარს ყველა ვერიდებით".*

**მერაბ მამულაშვილი**

ფეხბურთის ფედერაცია. არჩევნები

# ნემსაძემ კანდიდატურა წამოაყენა

**გიორგი ნემსაძე** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ჩაერთო. გვირილაზე მკითხაობის დრო - გადადგამდა თუ არა ამ ნაბიჯს - დასრულდა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა და თბილისის საკრებულოს დეპუტატმა გუშინ გადაწყვეტილება დაგვიდასტურა:

- არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ.

**- ფედერაციაში განაცხადი უკვე შეიტანეთ?**

- უახლოეს დღეებში შევიტან, ეგ არაა პრობლემა.

**- ვინ წარგადგენთ?**

- ფედერაციის რამდენიმე სუბიექტმა წარდგენის სურვილი ერთდროულად გამოთქვა და ცალკე რომელიმეს გამორჩევა არ გამოვა.

**- რადგან ეს ნაბიჯი გადადგით, გამარჯვების იმედიც უნდა გქონდეს...**

- რა თქმა უნდა, ტყუილად გადაწყვეტილებას არ მივიღებდი.

**- გავრცელებული მოსაზრებაა, ნემსაძე არჩევნებში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვება, თუკი პრეზიდენტობის გარანტიას მიიღებსო.**

- რა თქმა უნდა! საფეხბურთო სამყაროს იმედი რომ არ მქონოდა, მონაწილეობას რა აზრი ექნებოდა?

**- ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც თავდაჯერებულია...**

- ყველა ნორმალური ადამიანი არჩევნებში იმედით მონაწილეობს და ბატონი ნოდარის თავდაჯერებაც არ მიკვირს. ასეა საჭირო. თუმცა უკან დახევას არ ვაპირებ, უნდა გავიმარჯვო.

ეს ჩემი იდეაფიქსი არაა. საფეხბურთო სამყაროში გავიზარდე, გარედან არ მოვსულვარ და ყურმოკვრით არ ვიცი, რა პრობლემები და ხარვეზები არსებობს. კარგად ვიცი ის ნიუანსები, რაც ფეხბურთში მნიშვნელოვანია. უმნიშვნელო დეტალები არ არსებობს. რადგან ეს ნაბიჯი გადავდგი, მჯერა, საქმეს უკეთესად გავაკეთებ.

**- რა ხარვეზებს გულისხმობთ?**

- დაკონკრეტება არ მსურს. საკმაოდ ბევრი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება უკეთ.

**- თქვენს გუნდში ვინაა ცნობილი სახეებიდან?**

- საფეხბურთო სამყაროში ბევრი მხარდამჭერი მყავს, მაგრამ პრინციპულად არ მსურს ხალხის ჩემიანებად და მოწინააღმდეგეებად დაყოფა. სამყარო ისედაც გახლეჩილია და მათი კიდევ უფრო დანაწევრება ცოდვა იქნება. პირიქით, პრეზიდენტობა იმისთვისაც მინდა, ეს სამყარო რომ გაერთიანდეს. რადგან ახალკაცთან მუშაობენ, ამის გამო ფედერაციის თანამშრომლებს ვერ შევაჩვენებ. ქართულ ფეხბურთს ჩვენი ერთიანობა სჭირდება, საქმის კეთება სხვაგვარად წარმოუდგენელია. მე ყველასთან უნდა ვითანამშრომლო, თუნდაც ის ნოდარის მხარდამჭერი იყოს. ქართველები ისედაც ცოტანი ვართ და გახლეჩა არას გვარგებს.

**- საარჩევნო კამპანია ბინძურ ბრძოლას, სარმების დადებას, შავ პიარსაც გულისხმობს. თქვენ კი აგრესიის ნატამალსაც არ ამჟღავნებთ...**

- საქმე უკეთ უნდა გაკეთდეს და ეს საკამათო არაა. ეს არ ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის მიწასთან გასწორება აკვიატებულ იდეად დავისახო. ყოველგვარ პიარს ცივი გონება, ცხელი გული და სუფთა ხელები მირჩევნია. ჩემი ცხოვრებისეული პრინციპია - არანაირი აგრესია! არც ერთი თანამდებობა იმად არ მიღირს, ვინმეს ცილი დავწამო და შეურაცხვყო.

ახალკაცზე გაბრაზებული კი არ ვარ. ფედერაციის პრეზიდენტობა იმიტომ მინდა, რომ საქმე უკეთესად გავაკეთო. ვხედავ, რომ ეს უკეთ შემიძლია, იმ ადამიანებთან ერთადაც, ვინც ნოდარს მხარს უჭერს. ფეხბურთი არც ჩემია და არც სხვისი. ის საქართველოსია და ვალდებულიც ვართ, ერთიანობას მივაღწიოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

## განცხადება

17 აპრილს გამართულ სამსაჯო-საინსპექტორო ასოციაციის აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ საარჩევნო კონფერენცია 17 მაისს ჩატარდება.

ასოციაციის სუბიექტებს პრეზიდენტობის კანდიდატურის წარმოდგენა 20 დღის განმავლობაში შეუძლიათ.

სიონი

# გადაწყდა! ყიფშიძე და გოგიჩაიშვილი

გუშინ ბოლნისის "სიონის" კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს და მწვრთნელებს შეხვდა. **კახა ცხადაძის** წასვლის შემდეგ გადასაწყვეტი იყო მწვრთნელის საკითხი, ამასთან სხვა პრობლემებიც დაგროვდა გუნდში. საბოლოოდ გაირკვა რომ მიმდინარე სეზონის ბოლომდე გუნდს **გიორგი ყიფშიძე** ანვრთნის. მას კი თანაშემწედ **კახი გოგიჩაიშვილი** ეყოლება, რომელიც სამწვრთნელო შტაბში რამდენიმე დღის წინათ შეიყვანეს.

*"კლუბის პრეზიდენტი გია არევაძე დღეს გუნდს შეხვდა და კარგა ხნის განმავლობაში ესაუბრა. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სეზონის ბოლომდე გუნდს გიორგი ყიფშიძე ანვრთნის და მას კახი გოგიჩაიშვილი დაეხმარება"*, - განაცხადა "ლელოსთან" სატელეფონო საუბარში "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ქიპაშვილმა.**

ბუნებრივია დავინტერესდით დავალიანებითაც, რომელიც კლუბს ფეხბურთელთა მიმართ გააჩნია. ამაზე ქიპაშვილმა განაცხადა: *"საგანგაშო არაფერია. ფეხბურთელები კუთვნილ თანხას დათქმულ დროს მიიღებენ."*

რაც შეეხება მომავალ სეზონში გუნდის მიზნებს, საკითხი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**




**27.04.2007 - 22-ე ტურის გათამაშების ცხრილი**

| | |
|---|---|
| ბორჯომი-სიონი | ჩიხურა- ვიტ ჯორჯია |
| ტორპედო-კახეთი | მეშახტე-მალაროელი |
| ამერი-ზესტაფონი | ზოხუმი-შალკე |
| დილა-ლოკომოტივი | ლოკომოტივი-მოსკვა |
| დინამო (თბ)-მერანი | ტორინო-მილანი |
| დინამო (ბთ)-ოლიმპი | |

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩები

# შეიძლება, მექსიკა ჩამოვიდეს

ეროვნული ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე ფეხბურთის ფედერაცია კვლავაც განაგრძობს მუშაობას. არგენტინასა და ბრაზილიასთან მოლაპარაკებები პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. ცოტა ხნის წინათ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს საკითხი თვის ბოლომდე მოგვარდებაო.

*"მსოფლიო ფეხბურთის ამ ორ გრანდთან მოლაპარაკებები უკვე დასკვნით ფაზაში შევიდა. სიახლეა ისიც, რომ ჩვენს ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გამართვის კიდევ ერთი მსურველი გამოჩნდა – მექსიკა. მექსიკელები მზად არიან, თბილისში ჩაატარონ თამაში. თუ პირობებზე შევთანხმდით, თარიღზე მორიგება არ გაგვიჭირდება. თუმცა მექსიკელებთან პასუხს ჯერ არ ვჩქარობთ. არგენტინასა და ბრაზილიასთან მოლაპარაკებების შედეგებს დაველოდებით და მექსიკელებთან დაკავშირებით შესაბამისად ვიმოქმედებთ"*, - "ლელოსთან" სატელეფონო საუბარში განაცხადა უჩა უგულავამ.

ცნობისათვის მექსიკის ეროვნული გუნდის თავკაცი კარგად ცნობილი **უგო სანჩესია**. სანჩესის გუნდი ბოლოს, 28 მარტს ეკვადორს სტუმრად ეთამაშა და 4:2 მოიგო. მექსიკა უახლოეს თამაშს 20 მაისს არგენტინასთან სტუმრად გამართავს. ბოლოს გამოქვეყნებულ ფიფას რეიტინგში მექსიკამ 3 ადგილით ზემოთ აინაცვლა და უკვე მოწინავე ოცეულში, მე-18 საფეხურზეა.

**დავით ცაბაძე**

სტუმრობა

# პსვ და სიონი პარტნიორები გახდებიან

**შაბათს, ბოლნისში გამართულ მატჩს, ჰოლანდიიდან ჩამოსული ორი პიროვნებაც დაესწრო. ერთი მათგანი წარმოშობით ქართველი, მაგრამ ნიდერლანდების მოქალაქე გია ბურჯანაძე იყო, მეორე კი პსვ-ის კლუბის წევრი ბას დინგელსტადი. ჰოლანდიელი თქმით, ამ ვიზიტით კლუბებს შორის პარტნიორობა იწყება.**

**სტუმართა ვიზიტის შესახებ, თავდაპირველად "სიონის" ერთ-ერთ დამფუძნებელს გია ლომთაძეს მივმართეთ...**

- კლუბის დირექტორატის შეკრებაზე, პრეზიდენტ გია არევაძესთან ერთად გადაწყდა, რომ "სიონს" სერიოზული პარტნიორი ესაჭიროებოდა. იმ თავყრილობაზე პრიორიტეტებიც გამოვყავით, რომელთა შორის ბავშვთა ფეხბურთია. დღეისათვის ევროპული კავშირები ძალზედ მნიშვნელოვანია. თავად ბოლნისს ჰოლანდიასთან დიდი ბიზნესკავშირები გააჩნია და სწორედ ამ გზით მოხერხდა "პსვ-ეინდჰოვენთან" დაკავშირება. საწყის ეტაპზე პსვ-მ გაცნობის სურვილი გამოთქვა. ჰოლანდიელები დაინტერესდნენ თუ რას აკეთებს და რით ცხოვრობს ერთი ჩვეულებრივი ქართული კლუბი. მათ სურთ, მთლიანად ქართულ ფეხბურთზე, ჩვენი კლუბის მეშვეობით შეექმნათ გარკვეული წარმოდგენა. მათი ეს ვიზიტი სიტუაციის შესწავლას ისახავს მიზნად.

**- პარტნიორობა, მწვრთნელთა და მოთამაშეთა სტაჟირების გარდა რა სფეროს მოიცავს?**

- ჩვენ ერთჯერად ოპერაციაზე კი არა, უფრო მასშტაბურ პარტნიორობაზე ვფიქრობთ. ცნობილი ნათქვამია – მხოლოდ თევზი არ გვჭირდება, ანკესი გვინდაო. ერთსაც დავუმატებდი, ანკესის ინსტრუქციაც გვინდა. საწყის ეტაპზე, ასე ვთქვათ, ინსტრუქციის მიღება გვინდა, მერე კი, რა თქმა უნდა პარტნიორობა.

**- მოხერხდება თუ არა, რომ პსვ-სა და "სიონს" შორის წელსვე გაფორმდეს პარტნიორობის კონტრაქტი?**

- ჩვენ ამისი სურვილი გვაქვს და სწორედ აქეთკენ მივისწრაფვით. იმედია, ეს საქმე წარმატებით გაგრძელდება და შედეგიანად დასრულდება.

ამის მერე ჰოლანდიელ ბას დინგელსტადს გავესაუბრეთ:

**- "სიონი"-"ტორპედოს" მატჩს დაესწარით. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები და საერთოდ რა წარმოდგენა გაქვთ ქართულ ფეხბურთსა და საქართველოს ჩემპიონატზე?**

- დიახ, მატჩი ვნახე. ვფიქრობ უმჯობესია, აქ ბავშვთა ფეხბურთს მიექცეს უფრო დიდი ყურადღება. ყველა კლუბი სწორედ აქედან იწყებს. რამდენადაც ვიცი, საქართველოში ბევრი ტალანტია. შესაბამისად, აქაურ კლუბებს თავისუფლად შეუძლიათ ბავშვთა კარგი სკოლებით სამომავლოდ ძლიერი საფუძველი ჰქონდეთ.

**- "სიონის" კამერუნელ ლეგიონერებზე რა წარმოდგენა შეგექმნათ. შესაძლებელია თუ არა მათი ტრანსფერის საკითხი დადგეს დღის წესრიგში?**

- მატჩი ვნახეთ და თამაშის მსვლელობისას კამერუნელ ლეგიონერებსაც დავაკვირდით, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ მათ რაიმე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვეს. თუმცა, სრულიად შესაძლებელია, რომ მათ პროგრესი განიცადონ და მერე უფრო საინტერესო იყოს მუშაობა მათ ტრანსფერზე. კამერუნელ ლეგიონერებს თავი რომ დავანებოთ, ვიმედოვნებთ საქართველოში მოიძებნებიან ტალანტები, რომლებიც ჰოლანდიისთვის საინტერესო ფიგურები იქნებიან.

**- საერთოდ, ქართული ბაზარი რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს ჰოლანდიური კლუბისთვის შოთა არველაძისა და გოგა გახოკიძის შემდეგ?**

- ჰოლანდიურ ფეხბურთში შოთა არველაძე მართლაც დიდი ფიგურაა და თანაც წლების განმავლობაში. იმავეს თქმა შემიძლია გოგა გახოკიძეზე. რაც შეეხება კითხვას, რაღა თქმა უნდა, ქართველი ტალანტი ჰოლანდიური კლუბებისთვის საინტერესოა.

**- ვიზიტისას ერთი-ერთი მიზანი ქართველი ტალანტების შერჩევა ხომ არაა?**

- ამჯერად "სიონის" ხელმძღვანელების მოწვევით ჩამოვედი. ეს გაცნობითი ხასიათის ვიზიტია, მაგრამ უკვე ვისაუბრეთ გარკვეულ თანამშრომლობაზე. ჰოლანდიაში დაბრუნებისას ყოველივე ამას ანალიზს გავუკეთებთ და უკეთესად ჩამოვყალიბდებით.

**- რამდენადაც ვიცით, საუბარია პარტნიორობაზე, რომელიც ბავშვთა ფეხბურთსა და მწვრთნელთა სტაჟირებას შეეხება. კიდევ რა საკითხებს მოიცავს ეს პროგრამა?**

- ამაზე უფრო ვრცლად საუბარი ანალიზის შემდეგ შეგვეძლება.

**- ანუ, შეიძლება ითქვას, რომ "სიონსა" და პსვ-ს შორის პარტნიორობა იწყება?**

- შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლობა დაიწყო. თუ რა ფორმატით და რა სფეროებს მოიცავს ეს, მოლაპარაკებების შედეგად გაირკვევა. ამას კი გარკვეული დრო დასჭირდება.

**დავით ცაბაძე**



გია ბურჯანაძე (მარცხნივ) და ბას დინგელსტადი



სულიკო დაითაშვილი

ინტერვიუ სულიკო დავითაშვილთან

# დავითაშვილი ასიანთა კლუბს მიუახლოვდა

## რა მიიყვანს ხალხს სტადიონზე?

**სულიკო დავითაშვილმა წლევანდელი პირველობის შედეგიანობის რეკორდი დაამყარა - ბოლო ტურში თელავის "კახეთთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა და ორი საგოლე გადაცემაც ჩაიწერა ანგარიშზე.**

**ამით "აზრეზა" ასიანთა კლუბს მიუახლოვდა და დიდი შანსია, წლეულს ამ კლუბის წევრიც გახდეს.**

**- სულიკო, ასეთი შედეგიანი თამაში შენს კარიერაში როდესმე ჩაგიტარებია?**

- არც მახსოვს. ალბათ, არა...

**- უმაღლესში ყველაზე მეტი ბურთი როდის და ვისთან გაგიტანია?**

- ახლა გამახსენდა, როგორ არ გამიტანია. მაშინ "თბილისში" ვთამაშობდი და თბილისის "სპარტაკს" ხუთი ბურთი გავუტანე... თუ ოთხი? არა, ზუსტად არ მახსოვს.

**- კახელი კაცი ხარ და თელაველებმა ისეთი რა დაგიშავეს, ქვა ქვაზე რომ არ დატოვე?**

- რა დამიშავეს? სიკეთის მეტი არაფერი მახსოვს. რას ვიზამთ, ფეხბურთია და მეტოქეს უნდა გაუტანო.

**- სულ რამდენი ბურთი გაქვს გატანილი?**

- 98 და იმედია, წლეულს ასიანთა კლუბში შევალ. თუმცა ბოლო სეზონში, რატომღაც, ბევრს ველარ ვიტან.

**- ხელს რა გიშლის?**

- რა გითხრა, სხვა დავალებებს მაძლევენ.

**- საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 1996 წლიდან თამაშობ. შენ თვალწინ გაირბინა მოვლენებმა. შენი აზრით რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე?**

- მგონი, მაშინდელ დონეზე გავიყინეთ. იმიტომ კი არა, რომ ნიჭიერი ბავშვები არ არიან, არასტაბილური გარემო ყველაფერზე ცუდად მოქმედებდა. გუნდები ერთმანეთის მიყოლებით იშლებოდა. ერთწლიანი, ორწლიანი, ჰა-ჰა, სამწლიანი გუნდები იქმნებოდა. სტაბილურობა რომ გვაკლდა, ვერც გუნდები გაიზარდნენ და ვერც ფეხბურთელები. მხოლოდ ორი-სამი გამონაკლისი იყო - "დინამო", "ვიტ ჯორჯია" და ამიტომაც შეინარჩუნეს წამყვანი პოზიციები. იმედია, "ოლიმპიც" შეინარჩუნებს სტაბილურობას, "ზესტაფონიც" და იქნებ, ქართულ ფეხბურთსაც ეშველოს. "ამერში" კი ეჭვი არ მეპარება, აქ ყველაფერი გააზრებულად კეთდება.

დანარჩენი კი თავადაც ხედავთ რა დღეშია - "კოლხეთი" დაიშალა, "დილა" ხან არის, ხან - არა. ქუთაისის "ტორპედოზეც" ძალიან მწყდება გული...

მოკლედ, ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთში სტაბილურობაა და თუკი ეს გვექნება, პროგრესიც გამოჩნდება. სხვათა შორის, ყველაზე მეტად მაშინ მეცინება, ორი დღის შექმნილ კლუბში ეგრევე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაზე რომ საუბრობენ. ჯერ გუნდი შექმენი და მერე იფიქრე იდეალებზე. ესეც ჩვენი ფეხბურთის მინუსია, ეგრევე შედეგი გვინდა.

**- სასიკეთოს ვერაფერს ამჩნევ?**

- როგორ ვერ ვამჩნევ! ეს, უპირველესად, ჩვენი ბავშვების ნიჭია. ეს ყოველთვის გვქონდა და დღესაც კარგი თაობა იზრდება. ბავშვებს მოვლა სჭირდებათ, გაზრდა, პატრონობა და მერე ითამაშებენ თუ არა, თავადაც ნახავთ.

სამი სტადიონი რომ გაკეთდეს და თამაშები 2, 4 და 6 საათზე ჩატარდეს, ხალხი სტაიდონზე ივლის. ინგლისში ასე არაა? ჩვენთან ლიდერთა შეხვედრები ერთ დღეს ტარდება და ხალხი ყველას ვერც დაესწრება.

გულშემატკივარს უნდა შეუქმნა საჭირო გარემო და სტადიონზე მოვა. სანამ მოედნებს არ მოვუვლით, როგორ ვითამაშებთ გამართულ ფეხბურთს? "ამერი"-"ზესტაფონის" თამაშით ყველა რომ გაგიჟდა, ეს რა მაგარი ფეხბურთი აჩვენეს ჩვენებმაო... თუნდაც ჩვენ, ბერლინის "ჰერტასთან", მოედანზე სხვები კი არ იყვნენ, ჩვენ გავედით. ესე იგი შეგვიძლია ისეთი ფეხბურთის ჩვენება, ხალხს რომ უყვარს. ეს მოხდა შედარებით ნორმალურ მოედანზე, სავსე ტრიბუნების წინაშე ანუ საფეხბურთო ატმოსფერო შეიქმნა და ჩვენი რეალური შესაძლებლობა გამოჩნდა. აბა, კაცს რომ ფულს არ გადაუხდი, მოედნის ნაცვლად ყანაში ათამაშებ და 100 ახლობელი მოვა შენს სანახავად, რომელ სილამაზეზეა ლაპარაკი.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა

# უმოტივაციო ტური... აღმშენებლობის ფონზე

...გულშემატკივარს ინტრიგა მოსწონს; ანუ ისეთი თამაშების ხილვა, არაპროგნოზირებადს რომ ვუწოდებთ. განვლილ ტურში კი მსგავსი არაფერი მომხდარა - ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. ერთადერთი, შესაძლოა, "ვიტ ჯორჯიისა" და "ბორჯომის" საყაიმო ანგარიში იყო ცოტა ალოგიკური, თუმცა მოულოდნელს ნამდვილად ვერ დავარქმევთ. ჯერ ერთი, ყველასათვის ნათელია, რომ **ნესტორ მუმლაძის** გუნდი მეორე წრეში უმოტივაციოდ თამაშობს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ "ვეტერინარების" შეტევით პოტენციალზე ერთობ ნეგატიურად იმოქმედა გუნდის უპირობო ლიდერების - **დავით დილმელაშვილისა** და **გიორგი ფეიქრიშვილის** წასვლამ; მორიგი მატჩი გამოტოვა პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკა გელაშვილმა** და საერთოდაც: ალბათ, დროა, ამ ნიჭიერი ფორვარდის მომავალი გაირკვეს, თორემ, ხან უკრაინაში წაიყვანეს სინჯებზე, ახლა ბელგიაშიაო და ხვალ კიდევ სად იქნება, არავინ იცის. ისე, "ბორჯომსაც" ნუ დავუკარგავთ გარჯას - მართალია, მთელი მატჩი თავს იცავდა და მასპინძელთა მრავალრიცხოვან იერიშებს იგერიებდა, მთავარ მიზანს მაინც მიაღწია (ქულის მოპოვებას).

...ტურში ცენტრალური შეხვედრა არ ყოფილა, თუმცა სატურნირო თვალსაზრისით ყველაზე დიდ ინტერესს "მერანისა" და "ბათუმის" დაპირისპირება იწვევდა. ორივე გუნდი ხომ იმისთვის იბრძვის, რომ გადათამაშებაში არ მოხვდეს და "შევარდენის" სტადიონზე დაფიქსირებული ფრე, ალბათ, ორივე გუნდისათვის მისაღები უნდა იყოს. სხვათა შორის, ეს მატჩი სხვა მხრივაც იყო საინტერესო: ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში **ასლან ბალაძე**, ალბათ, პირველად დაუპირისპირდა "ბათუმს". ბალაძე ლამის ორი ათეული წელი ბათუმელთა ღირსებას იცავდა, მერე სამწვრთნელო შტაბში იყო და აი, ყოფილ თანაგუნდელ **ამირან გოგიტიძესთან** პაექრობაც მოუწია. ისე, ბალაძეს "მერანში" რევოლუცია არ მოუხდენია, მაგრამ, ალბათ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა გუნდში **ვალერი გაგუა, გიორგი ქორიძე** და **ზაზა ზირაქიშვილი** დააბრუნა. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა და პერსპექტიულ ფეხბურთელებზე უარის თქმა არ შეიძლება, მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელების ნაადრევად "ჩამოწერაც" არ მიგვაჩნია გამართლებულად. ჰო, ასაკზე ვსაუბრობთ და ამ მხრივ "ზესტაფონისა" და "დილის" დაპირისპირებაზე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ. ორივე გუნდში ხომ ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, საქართველოს ჩემპიონატში მოქმედ მოთამაშეთაგან ყველაზე მეტი მატჩი რომ აქვთ ჩატარებული - **ზურაბ იონანიძე** და **გიორგი ბალაშვილი**. იონანიძე ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია და თავის სამნიშნა აქტივს მორიგი გოლი მიუმატა. "ზესტაფონი" რომ ამ მატჩს უპრობლემოდ მოიგებდა, ყველასათვის ნათელი იყო. უბრალოდ, საინტერესოზე მეტი იყო იმერული კლუბის ბრაზილიელთა (**ჟონატასის** და **სანტოსის**) გოლები.

"ზესტაფონის" მსგავსად დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს სხვა ლიდერებმაც. აშკარად მადაზე მოსულმა "ამერმა" ამჯერად "კახეთი" დაიბრიყვა და თელაველთა საყვარელი გუნდი შვიდი გოლით გაუშვა პირველ ლიგაში. თანაც, **გიორგი ჩიხრაძის** გუნდს არც დასტყობია, რომ ორი წამყვანი ფეხბურთელი (გივი დიდავა და დავით ბოლქვაძე) აკლდა. სამაგიეროდ, შეუჩერებელი იყო **სულიკო დავითაშვილი**, რომელიც თამამად შეგვიძლია დავასახელოთ ტურის რჩეულად - "ამერის" ტანმორჩილმა და დაუღალავმა ფორვარდმა ჰეთ-ტრიქიც შეასრულა და ორი საგოლე პასიც მიითვალა!

...დიდხანს, ძალიან დიდხანს უძალიანდებოდა "ლოკომოტივი" დედაქალაქურ დერბიში ფავორიტ "დინამოს". პირველი ტაიმიც ნულოვანი ფრით დასრულდა, მაგრამ მერე სტუმრებმა იძალეს და ლიდერების (**სანდრო იაშვილი, გიორგი მერებაშვილი**) ძალისხმევით გამოცდილი **დავით გვარამაძის** კარში სამი უპასუხო გოლი გაიტანეს. ოღონდ, არ დაგვავიწყდეს, რომ აქედან ორი პენალტით იყო, თუმცა ორივე შემთხვევაში საკამათო არაფერი ყოფილა. ამ შეხვედრაზე სათქმელი, შესძალოა, მეტი არც არაფერი ყოფილიყო, რომ არა ერთი კონკრეტული ფეხბურთელის შთამბეჭდავი თამაში. არ ვიცით, ხვალ წავა ესპანეთში, ზეგ თუ უფრო გვიან, მაგრამ სანამ აქ არის, მისი თამაში არ უნდა გამოვტოვოთ - "ლოკომოტივის" ჭაბუკმა ლიდერმა **ლევან ყენიამ** "დინამოსთანაც" ჩაატარა პატარ-პატარა საფეხბურთო სასწაულები...

... გუშინაც აღვნიშნეთ, რომ უცნაურზე მეტად გვეჩვენა ის ფაქტი, "ოლიმპისა" და "ჩიხურას" დაპირისპირებას ბევრი დიდი ინტერესით რომ ელოდა. დაპირისპირება კი არა, მასპინძლებმა ყოველგვარი დაძაბვის გარეშე გაიმარჯვეს და სტადიონზე მოსული 3000-მდე ქომაგიც ხუთი ერთი-მეორეზე ლამაზი გოლით დაასაჩუქრეს. განსაკუთრებით ლამაზი კი ბოლო გოლი იყო, შეცვლაზე შემოსული **გიორგი კახელიშვილმა** რომ გაიტანა - ახალგაზრდა ფორვარდმა ჯერ 50-მეტრიან რეიდი (!) მოაწყო, მერე კი მეტოქის საჯარიმოში ფინტების კორიანტელი მიაყოლა და ყველაფერი ლამაზი და ზუსტი დარტყმით დაასრულა. ქომაგები ვახსენეთ და მათი რაოდენობა რუსთავში იმ მატჩზე ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო, რომ არა... ფრიად საპატიო მიზეზი. მოკლედ, რუსთავის "ფოლადის" სტადიონზე სერიოზულზე სერიოზული რეკონსტრუქციაა დაწყებული. აღმოსავლეთ ტრიბუნაზე თითქმის სანახევროდ არის დასრულებული ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება; უახლოეს პერიოდში დაიდგმება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროჟექტორები და ლამის ოცწლიანი უმოქმედობის მერე ამუშავდება ორივე ტაბლო! და მთავარიც - გამოიცვლება მოედნის საფარი, რომელიც, მართალია, ამჟამად არცთუ სავალალო მდგომარეობაშია, მაგრამ... ყოველ შემთხვევაში, ვაკეში, "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე რომ არის, იმასთან შედარებით... "უემბლი" გეგონება...

..დაბოლოს, კიდევ ერთ შეხვედრაზე, რომლის შედეგს (არც იმ დღევანდელი მეტოქეებისა თუ სხვა გუნდებისათვის) არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. "სიონმაც" და "ტორპედომაც" სეზონი უკვე დაასრულეს და გამოსარჩევი ამ შეხვედრაში მხოლოდ **ვიტალი დარასელიას** გოლი იყო. გოლი, რომელიც მასპინძელთა ლიდერმა კუთხურიდან გაიტანა. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, კურიოზად მოგვეჩვენოთ, მაგრამ დარასელიას ასეთები გაუტანია?

**გია ტუხაშვილი**

### სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 21 | 16 | 4 | 1 | 50-6 | 52 |
| 2. დინამო | 21 | 16 | 1 | 4 | 44-17 | 49 |
| 3. ამერი | 21 | 14 | 4 | 3 | 42-13 | 46 |
| 4. ზესტაფონი | 21 | 13 | 7 | 1 | 43-9 | 46 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 7 | 3 | 38-23 | 40 |
| 6. სიონი | 21 | 11 | 2 | 8 | 26-17 | 35 |
| 7. ტორპედო | 21 | 8 | 4 | 9 | 19-23 | 28 |
| 8. ბორჯომი | 21 | 6 | 7 | 9 | 22-30 | 24 |
| 9. ბათუმი | 21 | 6 | 5 | 10 | 20-24 | 23 |
| 10. ლოკომოტივი | 21 | 5 | 5 | 11 | 13-29 | 20 |
| 11. მერანი | 21 | 4 | 7 | 10 | 15-32 | 19 |
| 12. ჩიხურა | 21 | 4 | 6 | 11 | 12-32 | 18 |
| 13. დილა | 21 | 2 | 3 | 16 | 14-53 | 9 |
| 14. კახეთი | 21 | 0 | 1 | 20 | 17-67 | 1 |

### შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 11 | 10 | 1 | 0 | 32-3 | 31 |
| 3. ამერი | 11 | 10 | 2 | 0 | 22-3 | 29 |
| 3. ზესტაფონი | 11 | 8 | 3 | 0 | 26-2 | 27 |
| 4. დინამო | 10 | 8 | 1 | 1 | 21-7 | 25 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 4 | 0 | 23-9 | 25 |
| 6. სიონი | 11 | 7 | 1 | 3 | 17-5 | 22 |
| 7. ტორპედო | 10 | 5 | 2 | 3 | 11-10 | 17 |
| 8. ბორჯომი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-15 | 15 |
| 9. ლოკომოტივი | 11 | 4 | 2 | 5 | 9-15 | 14 |
| 10. ბათუმი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-10 | 13 |
| 11. ჩიხურა | 10 | 3 | 4 | 3 | 7-10 | 13 |
| 12. მერანი | 10 | 1 | 5 | 4 | 6-13 | 8 |
| 13. დილა | 10 | 2 | 1 | 7 | 6-22 | 7 |
| 14. კახეთი | 11 | 0 | 1 | 10 | 10-32 | 1 |

### სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 11 | 8 | 0 | 3 | 23-10 | 24 |
| 2. ოლიმპი | 10 | 6 | 3 | 1 | 18-3 | 21 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 5 | 4 | 1 | 17-7 | 19 |
| 4. ამერი | 10 | 5 | 2 | 3 | 20-10 | 17 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 15-14 | 15 |
| 6. სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 9-12 | 13 |
| 7. ტორპედო | 11 | 3 | 2 | 6 | 8-13 | 11 |
| 8. მერანი | 11 | 3 | 2 | 6 | 9-19 | 11 |
| 9. ბათუმი | 11 | 2 | 4 | 5 | 8-13 | 10 |
| 10. ბორჯომი | 11 | 2 | 3 | 6 | 6-15 | 9 |
| 11. ლოკომოტივი | 10 | 1 | 3 | 6 | 4-14 | 6 |
| 12. ჩიხურა | 11 | 1 | 2 | 8 | 5-27 | 5 |
| 13. დილა | 11 | 0 | 2 | 9 | 8-31 | 2 |
| 14. კახეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 7-35 | 0 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 15 |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 13 |
| 3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| 4-6 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| | ს.დავითაშვილი (ამერი) | 8 |
| 7-11 | გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 7 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 7 |
| 12 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 6 |

### გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ს. იაშვილი (დინამო) | 18 (15+3) |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 18 (13+5) |
| 3-4 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინ.) | 14 (7+7) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 14 (8+6) |
| 5-6 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 12 (10+2) |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 12 (8+4) |
| 7-8 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | დოლიძე (ამერი) | 11 (7+4) |
| 9-10 | ტატანაშვილი (ამერი) | 10 (7+3) |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 10 (7+3) |

### ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | გიგაური (დინამო) | 1 |
| | შ. ლონლაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ლ. გრიგალაშვილი (მერანი) | 1 |

### საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 7 |
| 2-3 | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 6 |
| 5-6 | აფციაური (ოლიმპი) | 5 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 5 |
| 7-15 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 4 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 4 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 |

### რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 4 |
| 2-5 | საჯაია (ბორჯომი/ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| | გ.ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 6 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| 7-20 | შ.კაშია (დინამო) | 1 |
| | გ.ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბიძინაშვილი (კახეთი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |

### გაცუდებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 2-11 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ.კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომოტივი) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი(ვიტ ჯ./დინ.) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | გონჩაროვი (დილა) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |

### მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-9 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |
| | მამალაძე (სიონი) | 1 |
| | გ. იაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ლომიძე (მერანი) | 1 |
| | თევდორაძე (დილა) | 1 |

### მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 5 | სტურუა (დინამო/ჩიხურა) | 378 |
| 6 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 376 |
| 7 | კოდალაევი (ტორპ./ბორჯ.) | 342 |
| 8 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 9 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |
| 10 | ბათიაშვილი (სიონი) | 305 |

### მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | სტურუა (დინამო/ჩიხურა) | 378 |
| 2 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 376 |
| 3 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 297 |
| 4 | მერლანი (ოლიმპი) | 285 |
| 5 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 166 |
| 6 | სეფიაშვილი (მერანი) | 151 |

### ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 8 |
| 2-8 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 6 |
| | ცანავა (ბათუმი) | 6 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 6 |

### შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| 2-4 | ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 3 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| 5-12 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| 12-35 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მჭედლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ.ლონლაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ.ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ხუბუა (ოლიმპი) | 1 |
| | ბ. გოცირიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ჟონატასი (ზესტაფონი) | 1 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 1 |

### წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1-28 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელზაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ლაბაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კედელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | საპაროვიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კოდალაევი (ტორპედო/ბორჯომი) | 1 |
| | ქუცურუა (ჩიხურა) | 1 |

### ყველაზე დიდი სხვაობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2-3 | დილა-ვიტ ჯორჯ. | 0:6 | (XII ტური) |
| | კახეთი-ამერი | 1:7 | (XXI ტური) |
| 4-9 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |
| | ზესტაფ.-ვიტ ჯორ. | 5:0 | (XVII ტური) |
| | ტორპედო-დინამო | 0:5 | (XVII ტური) |
| | ოლიმპი-ჩიხურა | 5:0 | (XXI ტური) |

### ჰეთ-ტრიკი

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ტულუში (ბათუმი) | 1 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |

### XXI ტურის სიმბოლური ნაკრები




### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 3-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-26 | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 1 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 1 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 1 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |

### ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | 0:0 | 19 |
| | 1:0 | 19 |
| 3 | 0:1 | 15 |
| 4 | 2:0 | 11 |
| 5 | 3:0 | 10 |
| 6 | 2:1 | 8 |
| 7-8 | 3:1 | 7 |
| | 1:1 | 7 |

### არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ვადაჭკორია | 13 |
| | ხარიტონაშვილი | 13 |
| 3-6 | ფანიაშვილი | 12 |
| | კვარაცხელია | 12 |
| | სილაგავა | 12 |
| | მაისურაძე | 12 |
| 7 | ბეჟქლიშვილი | 11 |
| 8-9 | კრიჭაშვილი | 10 |
| | სანაია | 10 |
| 10 | კიკაჩეიშვილი | 8 |
| 11 | პ. დოგრაშვილი | 7 |
| 12-13 | ხეცაძე | 6 |
| | ჭაჭუა | 6 |
| 14-15 | ნონიკაშვილი | 5 |
| | ბუიშვილი | 5 |
| 16 | ელისაბედაშვილი | 4 |

### გასულ ტურში

24 გოლი
(საშუალოდ მატჩში 3.42)

15 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.14)

1 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.14)

### ჩემპიონატში

375 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.55)

433 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.94)

28 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.19)

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# საფლეიოფო დაძაბულობა

21 აპრილს, ახალციხეში დიდი სტუმრიანობა იყო. ლიდერთა მატჩი **ნოდარ ახალკაცმა** და ფეხბურთის ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებმა დააფასეს. სტადიონზე მრავლად მისულმა გულშემატკივრებმა საკმაოდ დინამიური მატჩი იხილეს. პირველი ტაიმი ნულოვანი ფრით დასრულდა, შესვენების შემდეგ კი "მესხეთის" უპირატესობა გამოიკვეთა და საბოლოოდ, მასპინძლებმა დიდი ანგარიშით იმარჯვეს. ახალციხელებსა და ზუგდიდელებს დიდი ხანია, რაც თავი ქუდში აქვთ და უმაღლესის საგზურს მალე ოფიციალურადაც გაიფორმებენ. ერთადერთი, ამ მარცხით "მგლებმა" შეიძლება პირველი ადგილი დაკარგოს.

"მაღაროელს" აკრეფილი ტემპი არ დაუგდია და თუ ამ ცოტა ხნის წინათ მისი მესამეობა წარმოუდგენელი იყო, დღეისთვის ჭიათურელებს ფლეი ოფში მოხვედრის შესანიშნავი შანსი აქვთ. დიდი ფორა გაანიავა "მეშაქრემ", რომელმაც მეორე წრეში პირველად, საფლეიოფო პოზიცია დაკარგა. მძიმე მატჩი მოიგო უმაღლესის საგზურის კიდე ერთმა მაძიებელმა "გაგრამ". ერთი სიტყვით; მესამე ადგილისთვის ბრძოლა უშელავათო იქნება და გადათამაშებაში მოხვედრილი გუნდი, ალბათ, ტურნირის ბოლოსლა გაირკვევა.

გამოტოვებულ შეხვედრაში "რაჭამ" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა და კვლავ დატოვა გასავარდნი ზონა. რაჭველები სეზონის მეორე ნახევარს უმაღლეს დონეზე ატარებენ და მეორე წრეში მოპოვებული ქულებით საუკეთესოთა შორის არიან.

გურულთა დაპირისპირებაში ლანჩხუთელებმა იმარჯვეს, მაგრამ ამით მათთვის ბევრი არაფერი იცვლება, "გურიას" პირველ ლიგაში დარჩენის მიზერული შანსი აქვს.

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| მესხეთი-მგლები | 3:0 |
| მაღაროელი-ოლიმპი | 1:0 |
| დინამო 2-მეშაქრე | 1:1 |
| გაგრა-ამერი 2 | 3:2 |
| რაჭა-ჩიხურა 2 | 1:0 |
| სამტრედია-მეშახტე | 1:0 |
| ნ. დინამო-ვიტ ჯორჯია 2 | 2:1 |
| ზესტაფონი 2-სპარტაკი | 1:0 |
| მერცხალი-გურია | 2:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 27 | 20 | 2 | 5 | 46-18 | 62 |
| 2. მესხეთი | 26 | 18 | 4 | 4 | 49-14 | 58 |
| 3. მაღაროელი | 28 | 13 | 7 | 8 | 40-29 | 46 |
| 4. ოლიმპი | 28 | 13 | 6 | 9 | 46-30 | 45 |
| 5. მეშაქრე | 28 | 12 | 9 | 7 | 32-25 | 45 |
| 6. გაგრა | 28 | 13 | 5 | 10 | 39-33 | 44 |
| 7. ამერი 2 | 28 | 11 | 10 | 7 | 44-33 | 43 |
| 8. ვიტ ჯორ. 2 | 27 | 12 | 6 | 9 | 42-24 | 42 |
| 9. სამტრედია | 28 | 11 | 8 | 9 | 27-33 | 41 |
| 10. ნ. დინამო | 27 | 12 | 4 | 11 | 40-39 | 40 |
| 11. მეშახტე | 27 | 10 | 5 | 12 | 37-34 | 36 |
| 12. დინამო 2 | 28 | 9 | 9 | 10 | 46-29 | 36 |
| 13. ზესტაფ. 2 | 27 | 8 | 10 | 9 | 25-26 | 34 |
| 14. რაჭა | 27 | 7 | 9 | 11 | 26-39 | 30 |
| 15. ჩიხურა 2 | 28 | 8 | 4 | 16 | 25-49 | 28 |
| 16. სპარტაკი | 27 | 7 | 3 | 16 | 17-39 | 24 |
| 17. გურია | 28 | 6 | 6 | 16 | 27-58 | 24 |
| 18. მერცხალი | 26 | 2 | 4 | 20 | 18-71 | 10 |

**გადადებული მატჩები. 26 აპრილი**

ზესტაფონი 2-მესხეთი; მეშახტე-მგლები; რაჭა-ნ. დინამო

**მომდევნო ტური. 29 აპრილი**

მგლები-ზესტაფონი 2; ვიტ ჯორჯია 2-მესხეთი; მეშახტე-მაღაროელი; ოლიმპი-დინამო 2; მეშაქრე-მერცხალი; სამტრედია-გაგრა; ჩიხურა 2-ამერი 2; სპარტაკი-რაჭა; გურია-ნ. დინამო



ჯაბა კანკავა

ინტერტოტოს თასი. წილისყრა

# ტობოლი ან შახტიორი

## საქართველოდან, ალბათ, ვიტ ჯორჯია ითამაშებს

გუშინ უეფას შტაბბინაში ინტერტოტოს თასის სამივე რაუნდის წილისყრა გაიმართა. ქართულ კლუბს პირველ რაუნდში მეტოქედ ყაზახეთის წარმომადგენელი ერგო. ვინაიდან ამ ქვეყნის ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით იმართება, ორი სავარაუდო მოწინაალმდეგე უკვე ცნობილია.

უფრო სავარაუდოა, რომ ქართული კლუბი ყაზახეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანს, კუსტანაის „ტობოლს" დაუპირისპირდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ კლუბმა ინტერტოტოზე უარი თქვა, მეტოქე ყარაღანდის „შახტიორი" იქნება. შეგახსენებთ, ამ გუნდის ღირსებას **გიორგი გაბიდაური** და **ლევან მელქაძე**, ასევე წარმოშობით ქართველი მეკარე **დავით ლორია** იცავენ.

„ტობოლმა" 2003 წელს ინტერტოტოს თასზე წარმატებით იასპარეზა და გათამაშებას პოლონური „პოლონია" და ბელგიური „სენტ ტრუიდენი" გამოთიშა. ყაზახური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, ჩვენები საქმეს ჩეხებთან დაიჭერენ, მესამე ეტაპზე კი ამ წყვილის გამარჯვებული ბერძნებს შეებრძოლება.

მთავარი ისაა, რომ საქართველოს ღირსებას ამ ტურნირზე, სავარაუდოდ, „ვიტ ჯორჯია" დაიცავს. გაირკვა, რომ „ამერმა" და „ზესტაფონმა" ინტერტოტოზე უარი თქვეს, ჩემპიონატის ცხრილში მათ ქვემოთ მდგომი ვეტერინარები ევროსაგზურს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ მოიპოვებენ, თუ ბოლნისის „სიონთან" ხუთქულიან უპირატესობას გაანიავებენ. პირველი რაუნდის თამაშები ივნისის ბოლოს გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



ლეგიონერები

## კანკავამ შახტარი დაამარცხა

გუშინ უკრაინის ჩემპიონატის მორიგი ტურის ბოლო მატჩი გაიმართა, "შახტარმა" "დნეპრს" უმასპინძლა, მოგების შემთხვევაში დონეცკელები ქულებით ლიდერ კიევის "დინამოს" უტოლდებოდნენ, თუმცა მათ 2:3 წააგეს. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ჯაბა კანკავამ**. ჯაბას გოლით თავი არ გამოუჩენია, თუმცა საკმაოდ იაქტიურა. "დნეპრი" ამ მოგების შემდეგ 41 ქულით მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ ქულით ჩამორჩება მესამეადგილოსან ხარკოვის "მეტალისტს".

## სკონტო წინ, ვენტსპილსი უკან

ლატვიურ ვირსლიგაში მესამე ტურის მატჩები გაიმართა. ამ ტურში სენსაცია დაფიქსირდა, ჩემპიონი "ვენტსპილსი" სტუმრად "იურმალასთან" დამარცხდა - 1:3. "ვენტსპილსის" ახალწვეული **ზურაბ მენთეშაშვილი** გუნდში ჯერ ვერ დამკვიდრდა. ზურა შესვენების შემდეგ შემოვიდა **დუბენსკისის** ნაცვლად, იმ დროისთვის სტუმრები 0:2-ს აგებდნენ. მიმომხილველთა თქმით, მენთეშაშვილის გამოსვლამ "ვენტსპილსის" თამაშს შუა ხაზში აზრი მისცა, თუმცა საბოლოოდ მატჩი მაინც "იურმალამ" მოიგო , მასპინძელთა შორის სათადარიგო იყო რუსეთის მოქალაქე **ოთარ გოგბერაშვილი**. სხვათა შორის, ამ მატჩში ერთ-ერთი ლაინსმენი გვარად **ლელაძე** იყო.

"სკონტომ" უპრობლემოდ დაამარცხა "დაუგავა" - 3:1. მასპინძელთა შორის შეუცვლელად ითამაშა **ზაალ ელიავამ, დავით გამეზარდაშვილი** კი დისკვალიფიკაციის გამო აკლდა "სკონტოს", ის წინა ტურში "ვენტსპილსის" წინაალმდეგ მატჩში გააძევეს. "სკონტოს" სამი მატჩის შემდეგ 6 ქულა აქვს, "ვენტსპილსს" კი მხოლოდ 3.

## კაუნასს მდევარი დაეწია

ლიტვაში მეხუთე ტურის მატჩში ჩემპიონმა "კაუნასმა" ორი ქულა დაკარგა, "კაუნასი" "სუდოვას" ესტუმრა და თასის მფლობელთან 1:1 ითამაშა. ტურის ცენტრალურ მატჩში 3 ათასი მაყურებელი დაესწრო. სტუმართა შორის შეუცვლელად ითამაშა **გივი კვარაცხელიამ, ნუკრი მანჩხავა** კვლავ ტრავმირებულია. "კაუნასმა" "შილიუტეში" გაანათხოვრა **აკაკი ხუბუტია**, აკაკის კლუბი კი ლიტვაში მაჩანჩალაა, ამ ტურში "შილიუტემ" შინ "ვეტრასთან" - 0:3 წააგო. ხუბუტიამ 90 წუთი ითამაშა. "კაუნასს" "ჟალგირისი" წამოეწია, ხუთი ტურის შემდეგ ამ კლუბებს 11-11 ქულა აქვთ.

## აბრამიძე ფინალშია

აზერბაიჯანში თასის ფინალისტთა ვინაობა გაირკვა, ფინალში თამაშის უფლება ლენქორანის "ხაზარმა" და "არაზმა" მოიპოვეს. **ვალერი აბრამიძის** კლუბმა საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში 1:0 დაამარცხა ბაქოს "ინტერი", პირველი მატჩიც ლენქორანელებს ჰქონდათ მოგებული - 1:0. საპასუხო მატჩში აბრამიძემ შეუცვლელად ითამაშა და დაცვის ცენტრში შეცდომა არ დაუშვია.

ბაქოში "ნეფთჩის" და იმიშლის "არაზის" დაპირისპირება 1:1 დასრულდა, პირველი მატჩი ერთი კვირის წინ 0:0 მორჩა. სტუმრად გატანილი გოლის წყალობით ბრძოლას "არაზი" აგრძელებს. "ნეფთჩის" კაპიტნის **ზაურ ტაგიზადეს** გოლს "არაზმა" 67-ე წუთზე უპასუხა გადამწყვეტი გოლით პენალტის ნიშნულიდან. **გიორგი ადამიას** გუნდი თასის გათამაშებას გამოეთიშა, მაგრამ ჩემპიონატში 39 ქულით ლიდერობს. "ნეფთჩის" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება აბრამიძის "ხაზარი", რომელიც ამ სეზონში დუბლს უმიზნებს.

## ქართული დუელი რაზდანზე

სომხეთის ჩემპიონატში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. შედგა პირველი ქართული დაპირისპირებაც, ერევანში "ულისმა" "განძასარს" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. სომხეთში სწორედ ამ ორ კლუბში თამაშობენ ქართველები. მასპინძელთა რიგებში **გიორგი სულაბერიძე** და **გიორგი ხუციშვილი** ირიცხებიან, თუმცა ამ მატჩში მხოლოდ სულაბერიძემ ითამაშა, ისიც პირველი 45 წუთი. სტუმართა რიგებში **გაგა თბილაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა და ის 76-ე წუთზე გააფრთხილეს კიდეც. "განძასარი", ყველასთვის მოულოდნელად, ქულათა მაქსიმუმით მიკა-სა და "პიუნიკთან" ერთად ლიდერობს. "ულისი" კი უქულოდ ბოლო მერვე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

# ფერგი 12 კაცით, კარლო საუკეთესო შემადგენლობით

## ფერგიუსონისთვის 1:0 საკმარისი იქნება, ანჩელოტი ყველაფერს სან სიროზე გადაწყვეტს...





ალექს ფერგიუსონი და კარლო ანჩელოტი დიდი ჯახისთვის მზად არიან

**მანჩესტერი-მილანი**

"წითელი ეშმაკები" "შავ-წითელი ეშმაკების" წინააღმდეგ. პირველი სუპერნახევარფინალის წინ ფავორიტად "მანჩესტერ იუნაიტედი" ცხადდება, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო ინგლისური გუნდის შემადგენლობა ლამის განახევრებულია. საგანგაშო სიტუაციაა დაცვაში: შაბათის შეხვედრაში სერიოზულად დაშავდა დაცვის ლიდერი **რიო ფერდინანდი** და მასთან ერთად ნახევარმცველი **კიერან რიჩარდსონი**, რაც იმას ნიშნავს, რომ სადლეისოდ **ალექს ფერგიუსონს** შვიდი ფეხბურთელი აკლია: ამ ორის გარდა, ტრავმირებულები არიან **გარი ნევილი, მიქაელ სილვესტრი, ნემანია ვიდიჩი** და ახალგაზრდული გუნდიდან საგანგებოდ დამატებული ცენტრალური მცველი **კრეიგ კათქარტი**. მათ გარდა, დაშავებულები არიან ნახევრმცველი **ჟი სუნგ პარკი** და ფრანგი ფორვარდი **ლუის საჰა**. შაბათს "იუნაიტედი" "ოლდ ტრაფორდზე" "მიდლსბროს" მასპინძლობდა, უჩვეულოდ სუსტად ითამაშა და შეხვედრა 1:1-ზე დაასრულა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მდევარ "ჩელსის" სხვაობის ერთ ქულამდე დაყვანის შანსი მიეცა, მაგრამ მანჩესტერელების სასიხარულოდ კვირას ლონდონელებმა ნიუკასლში 0:0 ითამაშეს და სხვაობაც ძველებურად სამი ქულა დარჩა.

ინგლისელებისგან განსხვავებით ბედნიერი შაბათი დღე ჰქონდა "მილანს", რომელმაც **რონალდოს** დუბლითა და **პირლოს** გოლით შინ "კალიარის" 3:1მოუგო, თან ისე, რომ ძირითადი შემადგენლობის 9 ფეხბურთელი დაასვენა. "როსონერისთვის" ეს ჩემპიონატში მოპოვებული ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იყო, რის შემდეგაც, პრაქტიკულად, გაინაღდა მეოთხე ადგილი, რადგან მეხუთეადგილოსანს უკვე ექვსი ქულით უსწრებს. ასე რომ, საშინო ფრონტზე მილანელებს ყველაფერი მოგვარებული აქვთ და ახლა მთელ ძალების ევროპისკენ მიმართავენ. "კალიარისთან" გამარჯვების შემდეგ **კარლო ანჩელოტი** უკვე საუბრობდა "მანჩესტერზე": *"საკმაოდ აგრესიულად ვითამაშეთ ნახევარდაცვაში, ყველა კარგი იყო, განსაკუთრებით ბროკი. აშკარაა, რომ რონალდოს მოსვლამ განსაკუთრებული იმპულსი მოგვცა. ბოლო დროს გუნდი საოცარ ნებას ავლენს და თავის საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. "მანჩესტერი" დიდი გუნდია, რუნისა და კრისტიანო რონალდოს სისწრაფის გამოყენებას ეცდება, ჩვენ მათ ბურთის ფლობას დავუპირისპირებთ. ინგლისელებს პატივს ვცემთ, მაგრამ არ გვეშინია, იმიტომ, რომ "მილანი" ძალიან ძლიერია და ამას ამტკიცებს კიდეც".*

"მანჩესტერმა" მეოთხედფინალში "რომას" სძლია. "ოლიმპიკოზე" წაგების (1:2) შემდეგ, ფერგიუსონის გუნდმა "ოლდ ტრაფორდზე" სპექტაკლი დადგა და რომაელები 7:1-ზე გაანადგურა. იმ შეხვედრაში არ უთამაშია დისკვალიფიცირებულ **პოლ სქოულზს**, რომელიც დღეს ისევ ძირითადში იქნება. "მილანმა" პირველ მეოთხედფინალში "ბაიერნთან" 2:2 ითამაშა, მაგრამ მიუნხენში მეტოქე პირწმინდად დაჩაგრა და 2:0 ზედამსახურებულად მოუგო. სერ ალექსი ამბობს, რომ "მილანი" "რომასგან" განსხვავებული გუნდია და ამიტომ დღეს სხვა სტრატეგიას აირჩევს. "მიდლსბროსთან" შეხვედრის შემდეგ ფერგიუსონმა იტალიელი კორესპონდენტის რამდენიმე კითხვას უპასუხა. აი, რა თქვა შოტლანდიელმა სპეციალისტმა: *"სამწუხაროდ, რიო ფერდინანდი ორი კვირით გამოგვაკლდა და, პრაქტიკულად, 12-კაციანი შემადგენლობით ვრჩებით. ფორმალურად, "მილანმა" მიუნხენში 4-3-2-1 ტაქტიკით ითამაშა, თუმცა სინამდვილეში ასე არ იყო, რადგან ინძაგის ხან ზეედორფი და ხან კაკა უწევდნენ მეწყვილეობას. არ ვიცი, უნდა ველოდო თუ არა "მილანისგან" დღესაც იგივე სქემით თამაშს. ანჩელოტის საქმე ასარჩევად აქვს, მაგრამ, ვარიანტები ჩვენც მრავლად გვაქვს".*

"ოლდ ტრაფორდი" "მილანისთვის" ბედნიერი სტადიონია. 2003 წლის ფინალში "როსონერიმ" იქ "იუვენტუსს" 11-მეტრიანების სერიაში აჯობა და თავისი ბოლო ჩემპიონთა ლიგა მოიგო. 2004/05 წლების სეზონში "მილანი" "მანჩესტერს" მერვედფინალში დაუპირისპირდა და ორივე შეხვედრა ერთი და იმავე ანგარიშით 1:0 მოუგო. ორივე გოლის ავტორი **ერნან კრესპო** იყო. ამ ყველაფერს ფერგიუსონი ახლა ასე იხსენებს: *"მილანის" სიდიდე მთელი სისავსით ორი წლის წინათ განვიცადე. თავისი პროფესიონალიზმითა და სპორტული სულისკვეთებით, ამ გუნდმა ჩემზე მაშინ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. "ოლდ ტრაფორდზეც" და "სან სიროზეც" მხოლოდ თამაშზე ზრუნავდნენ, უპირატესობის შენარჩუნებაზე ფიქრისა და სცენების გარეშე. "მილანი" უმაღლესი კლასის მეტოქეა. განსაკუთრებულად მახსოვს ერთი ეპიზოდი საპასუხო შეხვედრიდან. ბოლო წუთი იყო, "მილანი" "სან სიროზე" იგებდა და კაფუმ აუტიდან ბურთი დაუყოვნებლივ მოაწოდა. სხვა ფეხბურთელი მის ადგილას 4-5 წუთს მოანდომებდა. ეს მაგალითიც კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რა ფილოსოფიას ემყარება "მილანი". გალიანიმ და ბრაიდამ დიდი კლუბი შექმნეს. ათი ევროპული ფინალი ფანტასტიკური მიღწევაა. კაკა თუ კრისტიანო რონალდო? თქვენ მსოფლიოს ორ საუკეთესო ფეხბურთელზე მეკითხებით. მიუნხენში ბრწყინვალე კაკა ვიხილე, მაგრამ "მილანი" სავსეა ვარსკვლავებით. როგორც კი მალდინის შევხვდები, მაშინვე ვკითხავ, როგორ ახერხებს, რომ ასეთ ასაკში უნაკლო შეხვედრებს კიდევ ატარებს. და ასევე ზეედორფი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა სამ სხვადასხვა გუნდში მოიგო. მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველი დიდი მაქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ "მანჩესტერი" დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე 2005-ში და გარდა ამისა, ვფიქრობ, "მილანი" აღარ არის ის, რაც 2005 წელს იყო. თუ "ოლდ ტრაფორდზე" 1:0-ს მოვიგებთ, გარწმუნებთ, რომ ჩვენი ტურნირიდან გაგდება პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდება. 2005 წელს მილანში მომენტები ჩვენ უფრო მეტი გვქონდა, 5 3-ზე. ამჯერადაც გვექნება, მაგრამ თუ ვერ გამოვიყენებთ, მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება".*

კვირას მილანელებმა სასიხარულო ცნობა მიიღეს: **დიდამ** მხარის ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა. მაგრამ ანჩელოტი მაინც სიფრთხილეს იჩენს: *"საბოლოო პასუხს სამშაბათს მივიღებთ. დიდა ასი პროცენტით მზად უნდა იყოს, ძირითადში რომ ითამაშოს".* ეს განცხადება მწვრთნელმა მილანის აეროპორტში გააკეთა, თავად თამაშის შესახებ კი ეს თქვა: *"ოლდ ტრაფორდის" შეხვედრა გადამწყვეტი არ იქნება, ნახევრფინალი 180 წუთს გრძელდება, ამიტომ გადამწყვეტი საპასუხო თამაში იქნება. ინძაგი თუ ჯილარდინო? არ ვიცი, უფრო სწორად, ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი... ჩვენ ყოველმხრივ მზად ვართ, ფსიქოლოგიურადაც და ტექნიკურადაც. ურთულესი ბარიერი გვაქვს დასაძლევი, მაგრამ რაკი ნახევარფინალში ვართ, ესე იგი, მიზეზიც არსებობს. ინგლისელებს კრისტიანო რონალდო ჰყავთ? ჩვენ ჩვენს კონტრზომებს მივიღებთ, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩვენც გვყავს ექსტრაკლასის ფეხბურთელები, პირველ რიგში, კაკა".*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ფლეტჩერი, ო'ში, ბრაუნი, ჰაინცე, ქერიკი, სქოულზი, კრისტიანო რონალდო, გიგზი, რუნი, სმითი

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

---

მანჩესტერი VS მილანი

# მუნდიალი მოიგეთ? მაშინ, მომეცით კრისტიანო და კაკა!

## მანჩესტერისა და მილანის ვარსკვლავები ლუიშ ფელიპე სკოლარის თვალით. ბრაზილიელი სპეციალისტი ორ საუკეთესო შეგირდს ახასიათებს...

**ლუიშ ფელიპე სკოლარი, სპეციალისტი, რომელმაც სხვებზე ადრე დაინახა ის, რაც დღეს ყველასთვის თვალშისაცემია: კაკა და კრისტიანო რონალდო ექსტრა კლასის ფეხბურთელები არიან. კაკა 20 წლის იყო, როცა ფელიპაომ "სელესაოში" გამოიძახა და მერე 2002 წლის მუნდიალზეც თან იახლა. კრისტიანო რონალდო კიდევ უფრო პატარა იყო, 18 წლის, როცა სკოლარიმ პორტუგალიის ნაკრების მაისურა ჩააცვა. "ორივე დიდი ფეხბურთისთვის იყო დაბადებული – უყვება მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი იტალიურ "გაძეტა დელო სპორტს" – ამის მისახვედრად საკმარისი იყო, ყურადღებით დაკვირვებოდი, თვალი მიგედევნებინა, როგორ მოძრაობდნენ და დამტკბარიყავი მათი ტექნიკით. მე დამსახურება არაფერში მიმიძღვის: მათი ტალანტი ბუნების საჩუქარია".**

**- ამ ორს შორის რომელია უფრო ძლიერი?**

- ამის თქმა შეუძლებელია. მომეცით ორივე ერთად, ერთი კარგი მეკარეც დამიმატეთ და კიდევ ერთხელ მოვიგებ მსოფლიოს ჩემპიონატს...

**- რა იყო ის, რითაც კაკამ პირველივე ნახვისას მოგხიბლათ?**

- თამაშის ხედვა, რაც ჩვეულებრივ, გამოცდილებასთან ერთად მოდის, მაგრამ მას ეს თვისება პატარაობიდანვე ჰქონდა. მაშინვე ხვდებოდა, როგორ განვითარდებოდა შეტევა და შესაბამისად მოძრაობდა. და რაღა თქმა უნდა, სისწრაფე ბურთით ფეხში – ამ კომპონენტში შეუდარებელია.

**- კრისტიანო რონალდომ რით დაგამახსოვრათ თავი?**

- მისი კოზირი დრიბლინგია. ეს სისწრაფის, ფინტების, ტანის მოძრაობისა და მიმართულების წამიერად შეცვლის ხარჯზე გამოსდის. მისი მეურვეობა ურთულესი ხდება, იმიტომ, რომ ყველგან არის.

**- თქვენ როგორ შეაჩერებდით კაკას?**

- საჭიროა ორი ნახევარმცველი, რომლებიც რიგ-რიგობით იზრუნებენ მის შეჩერებაზე. კაკა მანამდე უნდა დაბლოკო, სანამ მოქმედებაში შევა.

**- კრისტიანო რონალდოს მეურვეობას ვის დაავალებდით?**

- მის პერსონალურ მეურვეობას აზრი არა აქვს, მაინც არაფერი გამოვა. მთელი დაცვა შეკრული უნდა იყოს და უნდა ეცადოს, რომ ბურთის მიღების მომენტში დაასწროს. ამასთან, დიდი სიფრთხილეა საჭირო კრისტიანოს ფინტებთან: ამ ფეხბურთელს შეუძლია, ნებისმიერ მცველს თავბრუ დაახვიოს.

**- ისეთ მცველსაც, როგორიც პაოლო მალდინია?**

- ვთქვი "ნებისმიერ მცველს", მაგრამ მალდინი მონუმენტია. პაოლოს ნებისმიერის შეჩერება შეუძლია.

**- კრისტიანო რონალდომ პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოუგო დროგბას, საუკეთესო ახალგაზრდის პრიზი კი ფაბრეგასს. დამსახურებული აღიარებაა?**

- იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ამ სეზონში პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გააკეთა, ვიტყოდი, რომ ზედამსახურებულია. მისი თამაშის სტილს სიხალისე მოაქვს. დროგბა და ფაბრეგასი დიდი ფეხბურთელები არიან, მაგრამ კრისტიანო უდიდესია.

**- მოგვიყევით, როგორები არიან კაკა და კრისტიანო რონალდო მოედნის მიღმა.**

- კაკა ძალიან სერიოზული, გაწონასწორებული და დინჯი ბიჭია. კრისტიანო უფრო ემოციურია. გამოცდილების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ უნდა გაიზარდოს, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ბოლო დროს ამ მხრივაც სერიოზული პროგრესი ჰქონდა. ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და "მანჩესტერში" უკვე ლიდერია. ეს იმას ნიშნავს, რომ თანდაყოლილი ნიჭი აქვს, ნებისმიერი გუნდის ლიდერი იყოს. კაკა უფრო ჩუმი, უფრო მშვიდია.



ლუიშ ფელიპე სკოლარი

**- იტალიაში ხშირად კამათობენ, სად უნდა თამაშობდეს კაკა, გამთამაშებლად თუ მეორე თავდამსხმელად. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- კაკა ერთ-ერთი მათგანია, ვისაც შეუძლია, რომ მეტოქის ნახევარზე გამანადგურებელი იყოს. არ შეიძლება, რომ მას შეტევების ჩაშლაში მონაწილეობა მოსთხოვო. ანჩელოტი კაკას იდეალურად იყენებს – ცენტრფორვარდის გვერდით ამწესებს და ზურგს ისეთი ტიპის ფეხბურთელით უმაგრებს, როგორიც ზეედორფია. კონტრშეტევების დროს რიკის შეუძლია, რომ მოწინააღმდეგის დაცვისთვის მომაკვდინებელი იყოს.

**- "მანჩესტერ იუნაიტედის" დაცვისთვისაც?**

- არა მგონია, მანჩესტერში ისეთი სპრინტერები ჰყავდეთ, კაკას სისწრაფეს რომ გაუმკლავდნენ.

**- თქვენი აზრით, "მილანმა" თამაში კონტრშეტევებზე უნდაააწყოს?**

- "მილანმა" თავისი ფეხბურთი უნდა ითამაშოს, მოკლე, სწრაფი პასებითა და მოულოდნელი ვერტიკალური გადაცემებით მეტოქის საჯარიმოსკენ.

**- ფავორიტად რომელი გუნდი მიგაჩნიათ?**

- მილანელებს ის უპირატესობა აქვთ, რომ განმეორებით შეხვედრას საკუთარ მოედანზე ატარებენ. მაგრამ "ოლდ ტრაფორდი" ჯოჯოხეთია.

**- ფერგიუსონის ან ანჩელოტის ადგილას რომ იყოთ, მეტოქეს რომელ ორ ფეხბურთელს წაართმევდით?**

- "მანჩესტერის" წინააღმდეგ რომ ვთამაშობდე, რუნისა და კრისტიანო რონალდოს წავართმევდი, ფერგიუსონის ადგილას კი "მილანს" კაკასა და მალდინის წავართმევდი.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალერმო

# გვიდოლინი გააგდეს



ფრანჩესკო გვიდოლინი უმუშევარი დარჩა

"პარმასთან" საშინაო მარცხი (3:4) **ფრანჩესკო გვიდოლინს** ძვირად დაუჯდა. "პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** გუშინ მწვრთნელს კარისკენ მიუთითა. თუმცა მარტო ბოლო მარცხში არ არის საქმე, გვიდოლინს წყალი კარგა ხანია შემდგარი აქვს. უკვე 11 ტურია, სიცილიელებს ერთი თამაშიც არ მოუგიათ. "კალიარისთან" ორი კვირის წინანდელი ფიასკოს (1:3 და ესეც საკუთარ მოედანზე) შემდეგ, მწვრთნელი ფაქტობრივად ჩემოდნებზე იჯდა, მაგრამ კლუბის სპორტულმა დირექტორმა **რინო ფოსკიმ** ექსცენტრულ პრეზიდენტს გადაწყვეტილება ბოლო მომენტში შეაცვლევინა. გვიდოლინს კიდევ ერთი შანსი მისცეს, მაგრამ ვერონელმა ტაქტიკოსმა ეს შანსი ვერ გამოიყენა.

ცოტა რამ წარსულიდან. "პალერმომ" შესანიშნავად დაიწყო სეზონი და დიდხანს მისდევდა კუდში "ინტერსა" და "რომას". საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ სიცილიურ კლუბს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება არ უნდა გასჭირვებოდა. მაგრამ ნახეთ, რა ხდება დღეს: უკვე უეფას თასზე გასვლაც კი სათუოა. ცხადია, ძამპარინისთვის, რომელიც მწვრთნელებთან მიმართებაში არასოდეს ყოფილა დამთმობი, ამგვარი სცენარი კატეგორიულად მიუღებელი იყო. აი, როგორი კომენტარი გააკეთა მან გუშინ დილით, როცა გვიდოლინი ჯერ კიდევ პოსტზე იყო:

*"ფაქტები და ჩვენი სატურნირო პოზიცია ჩემპიონატის მეორე ნახევარში, ცხადყოფს, რომ რადიკალური ცვლილებები მომწიფდა. გვიდოლინს ძალიან მცირე შანსი აქვს იმისთვის, რათა თანამდებობა შეინარჩუნოს. ამას პირდაპირ ვამბობ. მაგრამ მხოლოდ გვიდოლინს ვერ გავაკრიტიკებ. ჭკუიდან შემშალა მთლიანად საკლუბო შტაბის საქციელმაც. ურთულეს მომენტში მათ მარტო დამტოვეს და მაიძულეს, გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიმეღო. კეთილი, მე მზად ვარ ამ გადაწყვეტილების მისაღებად, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ის. ჩემზე ამბობენ, თითქოს მწვრთნელების გამოცვლის მანია მჭირს. ტყუილია, ამას მირჩევნია, მწვრთნელი დავნიშნო და მასთან ვითანამშრომლო... უკანასკნელ ხანს, გუნდში არსებული სიტუაცია მეტად არასახარბიელოა. აშკარად ჩანს, რომ ფეხბურთელები მესაჭის გარეშე არიან, მწვრთნელი სიტუაციას ვერ აკონტროლებს. ცოტა ხნის წინათ, ვესაუბრე გუნდის რამდენიმე გამოცდილ მოთამაშეს, მათ შორის, კაპიტან კორინისაც. სხვებსაც შევხდები. მაგრამ ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია, ანუ, ზუსტად ისაა, რასაც ვფიქრობდი. გუნდში ვითარება, ფაქტობრივად, უმართავია".*

საღამოს კი ყველაფერი ასე დასრულდა: ძამპარინიმ გვიდოლინის გაშვების გადაწყვეტილება მიიღო. აქვე გავიხსენოთ, რომ პრეზიდენტი მას მეორედ ათავისუფლებს. პირველად, ეს 2004/05 წლების სეზონში ("პალერმო", რომელიც გვიდოლინმა სერია B-დან A-ში გადაიყვანა, მეექვსე ადგილზე გავიდა) მოხდა. თუმცა მაშინ მიზეზი სხვა იყო. მწვრთნელსა და ბოსს შორის დაპირისპირება **ლუკა ტონის** "ფიორენტინაში" გაყიდვამ გამოიწვია. მერე, გვიდოლინმა არასრული სეზონი დაყო "მონაკოში" და გასულ ზაფხულს კვლავ ძამპარინის მიადგა. აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ამ ორი ადამიანის ბოლო თანამშრომლობა იყო...

ახლა ასეა საქმე. ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. ძამპარინი ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე, სახელოვანი სპეციალისტის მიწვევას აზრი არ აქვს. მისი გადაწყვეტილებით, სეზონს გვიდოლინის ასისტენტი **რენცო გობო** ჩაამთავრებს. მას "პალერმოს" ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელი **როსარიო პერგოლიცი** დაეხმარება. რაც შეეხება მომავალს, იტალიურ პრესაში უკვე გაჩნდა ვერსია, თითქოს ამ სეზონის დასრულებისთანავე, "პალერმოს" სათავეში "რეჯინის" თავკაცი **ვალტერ მაძარი** ჩაუდგება. საუბარია **დომენიკო დი კარლოზეც**. ვნახოთ... რას გაუგებ ძამპარინის?

შტუტგარტი

# გომესისთვის სეზონი დასრულდა

„ბაიერნის" დამარცხებით და მესამე ადგილის განმტკიცებით ალფრთოვანებულმა „შტუტგარტის" ფანებმა, გუშინ ერთი არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს. გუნდის სამედიცინო შტაბის ოფიციალური განცხადებით, თითქმის გარკვეულია, რომ შვაბური კლუბის საუკეთესო ბომბარდირი **მარიო გომესი** VFB-ს არა მარტო ბუნდესლიგის დარჩენილ შეხვედრებში, არამედ გერმანიის თასის ფინალშიც ვერ დაეხმარება.

*„იმისათ ის, რომ ფეხბურთელი სრულად გამოჯანმრთელდეს და ფორმაში შევიდეს, მინიმუმ იმდენი ხანია საჭირო, რამდენ ხანსაც იძულებითმა პაუზამ გასტანა. სრული დატვირთვით ვარჯიში ამ დღეებშიც რომ განაახლოს, მომდევნო ორ მატჩში მაინც ვერ ვენდობი,"* – აცხადებს შვაბთა დამრიგებელი **არმინ ფეე**. შტუტგარტელებს დღემდე იმედი ჰქონდათ, რომ გომესი თასის ფინალამდე (26 მაისამდე) გამოჯანმრთელებას მოასწრებდა. თვითონ ფეხბურთელს იმედი ჯერ გადაწურული არ აქვს: *„ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ 26 მაისს „ნიურნბერგთან" ვითამაშო. ბუნდესლიგაში ამ გუნდთან ორჯერ წავაგეთ და შურისძიება გვსურს."*

გომესი 10 მარტს, „ვოლფსბურგთან" შეხვედრაში დაშავდა და მას მერე აღარ უთამაშია. ამ ტრავმამ მას ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც დააკარგვინა – დაშავებამდე მარიო პირველ ადგილზე გახლდათ. ახლა კი, 13 გოლით მე-5 პოზიციაზეა (პირველ ადგილზე მყოფ **თეოფანის გეკასს** 18 გოლი აქვს).



მარიო გომესი

## ახალი კონტრაქტი სავიოლას?

"ბარსელონის" სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** ირწმუნება, რომ **ხავიერ სავიოლას** ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. არგენტინელი თავდამსხმელი ამბობს, რომ თანამშრომლობის გაგრძელებაზე არავინ დალაპარაკებია. მისი აგენტი დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებებს მართავს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ "ბაჭიას" "კამპ ნოუს" დატოვება მოუწევს, მაგრამ ბეგირისტაინი სპეკულაციებს თავდაყირა აყენებს: *"სავიოლასი კარგად მესმის, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩემპიონობისათვის ვიბრძვით, ხოლო როცა სეზონი დამთავრდება, ისეთ პირობებს შევთავაზებთ, რომ უარს არ გვეტყვის."*

## კაფუ: კიდევ ერთი წელი მილანში

"მილანმა" **მარკოს კაფუს** კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა. ეს ინფორმაცია თვითონ ბრაზილიელმა მცველმა გაავრცელა. 37 წლის ვეტერანს ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** შეხვდა. კაფუმ საუბრის დეტალები მაშინვე ჟურნალისტებს გაუმხილა: *"გალიანიმ მითხრა, რომ სურთ, გაისადაც ვითამაშო. ამ დღეებში კიდევ შევხვდებით და თანამშრომლობის დეტალებს განვიხილავთ. ათი წელია, ჩემზე ამბობენ, რომ დავბერდი და მეტი აღარ შემიძლია. მე კი ძველებური შემართებით ვთამაშობ და გაჩერებაზე ფიქრიც კი არ მინდა, განსაკუთრებით ახლა, როცა "მილანში" დარჩენის შანსი მომეცა."*

## დეკუ სქოულზის შემცვლელად?

**სერ ალექს ფერგიუსონს დეკუს** შეძენა სურს. სეზონის ბოლოს "მანჩესტერი" "ბარსელონას" მოლაპარაკებების დაწყებას შესთავაზებს. დეკუ **კრისტიანო რონალდოს** მეგობარია. ფერგი მას **პოლ სქოულზის** შემცვლელად მოიაზრებს. "დეილი მეილის" ცნობით, გარიგება რეალურია. დეკუ "ბარსელონიდან" აბარგებას აპირებს, თუმცა ფეხბურთელს ინგლისში შესაძლო ტრანსფერის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია. პორტუგალიელ ვარსკვლავს იტალიის ახლადგამომცხვარი ჩემპიონი "ინტერიც" ეპატიჟება.

## კივუ: ბარსელონა თუ რეალი?

"ბარსელონამ" "რომას" **კრისტიან კივუს** გაყიდვა შესთავაზა. რუმინელ მცველს მადრიდის "რეალიც" ეპატიჟება. "მარკა" გვაუწყებს, რომ კატალონიელთა სპორტულმა დირექტორმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** იტალიელებს ოფიციალური წინადადებით მიმართა. კივუმ მადრიდული ვარიანტის განხილვისაგან იმ დრომდე თავი შეიკავა, სანამ არ გაირკვევა, დარჩება თუ არა სამეფო კლუბში **ფაბიო კაპელო**.

## იანსენს რიგი დაუდგა

გერმანიის ნაკრებისა და მიონხენგლადბახის „ბორუსიის" მარცხენა მცველ **მარსენ იანსენს** ევროპული გრანდები უხმობენ. ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ „კიკერმა" გაავრცელა. ჩვენი გერმანელი კოლეგებიც ცნობით, 21 წლის ფეხბურთელის გადაბირება „ბარსელონამ", „რეალმა" და „არსენალმა" მოისურვეს. გარდა ამისა, იანსენს გერმანული გრანდები, „ბაიერნი" და „ვერდერიც" ეპატიჟებიან. როგორც ირკვევა, ყველაზე მეტად ჯერჯერობით კატალონიური გიგანტი აქტიურობს: *„დიახ, „ბარსელონის" ხელმძღვანელები უკვე დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს, მზად ვართ, მოლაპარაკებები ნებისმიერ დროს დავიწყოთო,"* – აცხადებს ფეხბურთელის მრჩეველი **გერდ ფომ ბრუხი** და იქვე ამატებს, - *„თუმცა მოლაპარაკებები ჯერ არავისთან გვქონია."* იანსენს მთელი ყურადღება მხოლოდ ბუნდესლიგაზე აქვს გატანილი. როგორც იცით, „გლადბახი" ბოლო ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხის წინაშე დგას. *„სანამ არ გაირკვევა, სად ითამაშებს „ბორუსია" მომდევნო სეზონში, მოლაპარაკებებს არავისთან დავიწყებ,"* – ამბობს იანსენი.

## რაულ გარსია კალდერონზე ითამაშებს

"ატლეტიკო" მიმდინარე სეზონის დასრულებას არ დაელოდა და მომავალი ჩემპიონატისთვის ახალი ფეხბურთელი გადაიბირა. საქმე ოსასუნელ **რაულ გარსიას** ეხება. ესპანელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ გარსია "როხიბლანკოში" მომდევნო ხუთ სეზონს გაატარებს. მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობას ამ ტრანსფერის სანაცვლოდ პამპლონელთა ანგარიშზე 14 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. ერთი შეხედვით, საკმაოდ დიდი თანხაა, თუმცა ექსპერტები **ერნიკე სერესოს** მიერ შესრულებულ სამუშაოს დადებითად აფასებენ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ რაულ გარსია "ატლეტიკოს" ნახევარდაცვას ერთი-ორად გააძლიერებს.



ფრანკ რიიკაარდი

ვილიარეალი vs ბარსელონა. გამოხმაურება

# პრიმერა გაცოცხლდა

"ბარსელონამ" "რეალისა" და "სევილიის" მიერ დანთებულ ცეცხლზე ნავთი დაასხა. მადრიდელებისა და სევილიელების გამარჯვების შემდეგ კატალონიელები უბრალოდ ვალდებულები იყვნენ, "ყვითელი სუბმარინი" ჩაეძირათ. სხვათა შორის, **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭებმა "ვილიარეალთან" მატჩის პირველ ტაიმში რამდენიმე 100-პროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეს. **სამუელ ეტოომ** და ტრავმამოშუშებულმა **რონალდინიომ** ფანტასტიკური შანსები გაუშვეს ხელიდან. ამის გამო ისინი მწარედ დაისაჯნენ. შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და "ბარსას" საჯარიმოს გაუშინაურდნენ. 55-ე წუთზე **ვიქტორ ვალდესთან** პირისპირ გასულმა **რობერ პირესმა** უზუსტესად დაარტყა. მეკარე აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მოვლენათა ეპიცენტრში **მარკოსი** მოექცა. მან მარცხენა კუთხე დალაშქრა და "ბარსელონა" ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო. "სევილია" რიიკაარდის გუნდს ახლა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. სამეფო კლუბის ჰანდიკაპი კი ორ ქულას არ აღემატება. მიმომხილველებს პროგნოზის გაკეთება უჭირთ, თუმცა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ულაპარაკო ფავორიტად შერაცხული "ბარსას" ფავორიტობაზე დღეს აღარავინ საუბრობს...

ვითარების სირთულეს თავად ფრანკ რიიკაარდიც აცნობიერებს და აცხადებს: *"ვიცოდით, რომ ურთულესი მატჩი გველოდა. არც ის გვავიწყდებოდა, რომ საგოლე მომენტების გამოუყენებლობა ძალიან ძვირად დაგვიჯდებოდა. "ვილიარეალმა" კონტრშეტევებზე ძალიან კარგად ითამაშა და ორი გოლი გაგვიტანა. მართალია, ხარისხის თვალსაზრისით ჩვენ გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ ეს ვერაფერში დაგვეხმარება. ყოველი წაგებული მატჩი უკან გადადგმული ნაბიჯია. არადა, შანსი გვქონდა, პირიქით ჩემპიონობას მივახლოებოდით. ცხოვრება გაგვირთულდა, მაგრამ "ბარსელონა" სუსტი გუნდი არ არის. პრობლემების დაძლევა ჩვენი სპეციალობაა. ასეა თუ ისე, მცირე უპირატესობას ჯერაც ვფლობთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მხოლოდ "ბარსელონაზეა" დამოკიდებული. მჯერა, ბიჭები ფსიქოლოგიურ წნეხში არ აღმოჩნდებიან. ისინი პროფესიონალები არიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ პირველობა არ დათმონ."*

წლის ლაურეატები

# კრისტიანო: ორგზის საუკეთესო

კვირა **კრისტიანო რონალდოს** დღე იყო. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის ლაურეატები დაასახელა. 22 წლის პორტუგალიელმა უჩვეულო წარმატებას მიაღწია. ის წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს და საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელადაც. ინგლისს ასეთი რამ 1977 წლის შემდეგ არ ახსოვს. ზუსტად 30 წლის წინ ერთბაშად ორ ნომინაციაში **ენდი გრეიმ** გაიმარჯვა.

საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში მეორე ადგილი **დიდიე დროგბას** ერგო, მესამეზე კიდევ ერთი მანჩესტერელი **პოლ სქოულზი** გავიდა. რონალდოს პრემიერლიგაში 16 გოლი აქვს გატანილი. მან კოლეგებს ასეთი დაფასებისათვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა: *"ფეხბურთელმა ყველაზე უკეთ იცის ფეხბურთელის ფასი. ამიტომ ამ ჯილდოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. გპირდებით, დაუზარელად ვიშრომებ, რათა უფრო მეტს მივაღწიო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ბევრი რამ უნდა ვისწავლო."*

ახალგაზრდა ფეხბურთელის ნომინაციაში მეორე ადგილზე არსენალელი **სესკ ფაბრეგასი** გავიდა. მესამე საფეხური ტოტენჰემელ **აარონ ლენონს** ერგო. წლის ნაკრებში "მანჩესტერ იუნაიტედის" რვა ფეხბურთელი მოხვდა. **სერ ალექს ფერგიუსონს** კი გადასცეს ჯილდო განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ფერგიმ მისი პირადი აღიარება უმნიშვნელოდ მიიჩნია და რონალდოს დითირამბები უძღვნა: *"ამ წუთში კრისტიანო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია. ის დაუჯერებელ სეზონს ატარებს."*



კრისტიანო რონალდო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯანლუიჯი ბუფონი

იუვენტუსი. ტრანსფერები

# ბუფონს ლიგა ენატრება

## ტურინელი ვარსკვლავი წასვლაზე ისევ ალაპარაკდა

**ჯანლუიჯი ბუფონი** ისევ წასვლაზე ალაპარაკდა. სათქმელს პირდაპირ ვერ ამბობს, სულ მიკიბულ-მოკიბულად, შემპარავად ლაპარაკობს და უნდა, ნელ-ნელა შეაგუოს "იუვენტუსის" ტიფოზები იმ აზრს, რომ ზაფხულში სხვაგან თუ წავიდა, არ გაუკვირდეთ. მსოფლიოს ჩემპიონი მეკარე გასულ ზაფხულში სერია B-ში დარჩა. თავის ამ გადაწყვეტილებაზე ახლა, აი, რას ამბობს: *"ეს იდეალისტური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ შემდეგი უკვე რაციონალური იქნება."*

რაციონალური, ანუ მატერიალისტური, ოღონდ არა ფულის, არამედ ტიტულების თვალსაზრისით. გოლკიპერს ჩემპიონთა ლიგა აკლია. მისნაირ ფეხბურთელს კი სრული უფლება აქვს, რომ ამ პრიზზე პრეტენზია ჰქონდეს. მაგრამ "იუვენტუსს" თუ ელოდა, ვინ იცის, ეს როდის იქნება. ბუფონი, ამასობაში, 29 წლის გახდა და აი, როგორ მსჯელობს თავის მომავალზე: *"კარიერის ბოლო ხუთი წელი, მინდა, უმაღლეს დონეზე ჩავატარო და მივაღწიო ყველაფერს, რისთვისაც აქამდე არ მიმიღწევია. ასეთი კი ჩემპიონთა ლიგაა, მხოლოდ მისი მოგება მაკლია. "იუვენტუსს" გაძლიერების სურვილი დიდი აქვს, მაგრამ ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ გასულ წელს გუნდი 7-8 ვარსკვლავმა დატოვა. ჩემპიონთა ლიგაში ვერ ვითამაშებთ, სკუდეტოს პირველსავე წელს მოგება კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია. საამისოდ დიდი ვარსკვლავებია საჭირო. ვისაც ასეთები ჰყავს, არავინ ყიდის ან თუ ყიდის, 25-30 მილიონს ითხოვს... რას ვიზამ სეზონის ბოლოს? გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. სერია A-ს საგზურს რომ გავინაღდებთ, ჩემს აგენტთან ერთად კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები და ყველაფერზე დავილაპარაკებ. თუ წასვლას გადავწყვეტ, მსურველიც უნდა იყოს. ასეთებს კი უცხოურ კლუბებში ბევრს ვერ ვხედავ. მაგალითად, ინგლისში, "ჩელსის" გარდა, რომელსაც ჩეხი ჰყავს, ხელფასებში ყველა ხელმოჭერილია. ამასთან, ინგლისი ცოტა მოსაწყენ ქვეყანად მეჩვენება, ვფიქრობ, გამიჭირდება იქაურობასთან შეგუება. ესპანეთში "ბარსელონას" და "რეალს" მეკარის პრობლემა არ აქვთ. და რომც ისურვონ ჩემი შეძენა, "იუვე" ძალიან დიდ თანხას მოითხოვს. მხოლოდ იტალიურ კლუბებს თუ შეუძლიათ, თავს ძალა დაატანონ და უპასუხონ იმ ეკონომიკურ მოთხოვნას, რომელიც "იუვეს" ჩემ სანაცვლოდ ექნება..."*

### ყმაწვილებზე დიდი მოთხოვნაა

"იუვენტუსის" თემას სხვა სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. "მანჩესტერ იუნაიტედმა" ახალგაზრდა ტურინელ ვარსკვლავებს, **რაფაელე პალადინოსა** და **დომენიკო კრიშიტოს** დაადგა თვალი. პალადინო იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელია. "ეშმაკები" მას შარშანდელი ზაფხულის შემდეგ აკვირდებიან. კრიშიტო ამ სეზონს იჯარით "ჯენოაში" ატარებს და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. "ტუტოსპორტის" ცნობით, "მენიუმ" "იუვენტუსს" აუწყა, რომ მოლაპარაკებების დაწყება სურს. "ქალბატონის" პასუხი უცნობია.

ის, რომ კრიშიტო ღირებული მოთამაშეა, ამ ინფორმაციიდანაც ჩანს: "იუვე" მზადაა, დომენიკო "ფიორენტინას" შესთავაზოს, სანაცვლოდ კი **ლუკა ტონი** მოითხოვოსო. ფეხბურთელების გაცვლაზე საუბარი ზედმეტია. ტურინელებს მილიონობით ევროს დამატება მოუწევთ. "ტუტოსპორტის" ცნობით, კრიშიტოს ფლორენციელთა გენერალური მენეჯერი **პანტალეო კორვინო** აკვირდება. ამიტომ მისი შეთავაზება ტონის "იუვეში" ტრანსფერს საგრძნობლად გაადვილებსო.

ლუკასთან დაკავშირებული სპეკულაციები **დავიდ ტრეზეგეს** აბარგებას მოასწავებს. იმავე "ტუტოსპორტში" ვკითხულობთ, რომ ტურინელებს ფრანგი თავდამსხმელი აღარ სჭირდებათ და მას "ინტერს" უთმობენ. "იუვემ" სანაცვლოდ ორი არგენტინელი, **ნიკოლას ბურდისო** და **ხულიო კრუსი** მოითხოვა. ტრეზეგეს ესპანეთსა და ინგლისშიც ეპატიჟებიან. "იუვენტუსის" შეთავაზების შემდეგ, მილანელებს პოულპოზიცია უჭირავთ.

"იუვენტუსის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "ქალბატონმა" "ფიორენტინის" მცველ **დარიო დაინელის** დაადგა თვალი. ივნისში მას კონტრაქტი უმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდება. დაინელის "ტორინოც" შეეხმიანა და წინასწარი კონტრაქტის გაფორმებაც კი შესთავაზა. და კიდევ, "იუვეს" ახალგაზრდა ნახევარმცველ **კლაუდიო მარკიზიოს** "არსენალი" და "ტოტენჰემი" ეპატიჟებიან. ტურინელთა ბოლო ტურის მატჩებს გამუდმებით ესწრებიან ლონდონელი ემისრები, თუმცა მოსალოდნელი გარიგების თაობაზე კომენტარები არ გაკეთებულა.

ლიონი

# ჩემპიონობა უსიხარულოდ

## ჟერარ ულიე პრეზიდენტისაგან გარანტიებს ითხოვს...

გასულ უქმეებზე "ოსერთან" 0:0 საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ "ლიონი" ზედიზედ მეექვსედ გამხდარიყო საფრანგეთის ჩემპიონი. ის პირველი კლუბია წამყვანი ევროპული ლიგებიდან, რომელმაც ასეთ შედეგს მიაღწია. ლიონელებს საამაყოდ აქვთ საქმე, მაგრამ მათ ბანაკში საზეიმო განწყობა არ შეინიშნება. უცნაურია იყო ისიც, რომ "ოსერთან" ნამატჩევს **ჟერარ ულიე** პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. ის ჟურნალისტებზეა გულმოსული. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ გაჩემპიონების მიუხედავად, მწვრთნელის პოზიციები სუსტია. სპეკულაციები "ლიონში" ახალი მწვრთნელის დანიშვნის თაობაზე ერთი წუთითაც არ წყდება.

მოსიე ჟერარმა დუმილი RTL-ისათვის მიცემული ინტერვიუთი დაარღვია: *"უთვალავი რამ დაიწერა და ითქვა. გამიჩნდა კითხვები. რა თქმა უნდა, არა ჩემს მომავალთან დაკავშირებით, რადგან ზუსტად ვიცი, რასაც ვაპირებ. არის რაღაც გარანტიები, რომელსაც ვითხოვ, მაგრამ არ მიმიღია. მაგალითად, გარანტია იმისა, რომ ჩემს სამწვრთნელო შტაბსა და მთელ რიგ ფეხბურთელებს კონტრაქტებს გაუგრძელებენ... წელს შარშანდელზე რთული სეზონი გვქონდა. ყველა მიზანს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ მთლად წარუმატებელი წელიც არ ყოფილა. ჩემპიონობა შევინარჩუნეთ, მაგრამ ვხვდები, რომ ეს საკმარისი არ არის. თუ ვინმე უკმაყოფილოა, პრობლემას ვერ ვხედავ, სხვა სამსახურს მოვძებნი."*

კითხვაზე, როგორ ურთიერთობა აქვს პრეზიდენ **ჟან მიშელ ოლასთან**, ულიემ უპასუხა, რომ საქმიანი, თუმცა "ლიონის" ბოსს მოუწოდა, მისი საკითხი უმოკლეს დროში გადაწყვიტოს: *"ის ძალიან კარგი პრეზიდენტია. მის მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობ, მაგრამ მედიაში ატეხილი ხმაურის გამო, ბუნებრივია, მიჩნდება ეჭვები და მათ გაქარწყლებას ვცდილობ."*

ოლას კომენტარმა არ დააყოვნა. მან მიმომხილველებს აუწყა, რომ მწვრთნელთან საგაისო პროექტების განხილვა ერთ კვირაში დაიწყება. პრეზიდენტს ჰკითხეს, მზადაა თუ არა ულიესათვის გარანტიების მისაცემად. მოსიე ოლამ უპასუხა: *"ამ წუთში ჟერარი შეუცვლელია. როცა მუშაობ კლუბში, რომლის ბიუჯეტი 180-200 მილიონია და შენს განკარგულებაში სხვადასხვა ნაკრების 20 ფეხბურთელია, ვფიქრობ, ეს უკვე გარანტიაა."*

ბოლო წლებში "ლიონს" საფრანგეთში კონკურენტი არა ჰყავს. ამიტომაცაა, რომ მორიგ ჩემპიონობას განსაკუთრებული აჟიოტაჟი არ გამოუწვევია. ფანების აზრით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ისინი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელად, მათი ევროპული კამპანია "რომამ" შეწყვიტა (0:2 ორი მატჩის ჯამში). "ლიონმა" ვერც პირველი ფრანგული დუბლი გამოაცხო და ქვეყნის თასის ფინალში "ბორდოსთან" მინიმალურად დამარცხდა (0:1). შარშანდელისაგან განსხვავებით, წლევანდელ "ლიონს" შთამბეჭდავი ფეხბურთი არ უჩვენებია. საუკეთესო ფეხბურთელების ასაკი ემატებათ. **ჟუნინიო პერნამბუკანოსა** და **გრეგორი კუპეს** ახალი კონტრაქტები ჯერ არ გაუფორმებიათ. "ოსერთან" მატჩის შემდეგ ჟუნინიომ მიმომხილველებს განუცხადა: *"დროა, გაირკვეს, ვინ მიდის და ვინ რჩება. მე დარჩენა მინდა, მაგრამ უფრო ძლიერი გუნდი გვჭირდება. გუნდის გასაძლიერებლად კი ძლიერი ფეხბურთელების ყიდვაა საჭირო."*



ჟერარ ულიე



ფრანც ბეკენბაუერი

კაიზერის მოსაზრება

# ვიწყებთ ახალი გუნდის შენებას

## ბეკენბაუერს ბევრი ვინმე და რამე ყელში ამოუვიდა...

...რომ გითხრათ, შტუტგარტში განცდილმა მარცხმა, წინა რვა წაგებიდან რომელიმეზე მეტად გამანაწყენაო, მოგატყუებთ. ეს უბრალოდ კიდევ ერთი შეხვედრა იყო, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოაჩინა 2006/07 წლების სეზონის „ბაიერნის" რეალური სახე და რეალური შესაძლებლობები.

კიდევ ერთხელ, ამ სეზონში უკვე მეცხრედ დავრწმუნდი იმაში, რომ გუნდში სერიოზული ცვლილებებია საჭირო. ჩვენი თავდამსხმელები ბურთს უაზროდ დაათრევენ და საგოლე მომენტებს ვერ ქმნიან, დაცვაში კი ისეთი ქაოსი სუფევს, მტერსაც რომ შეეცოდები. აღარ მინდა იმ მომენტის გახსენება, როცა **კაკაუმ** მეორე გოლის დროს ორ მცველს შორის თავისუფლად შეისეირნა.

რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ ამ მატჩის შემდეგ? პირველი: ბუნდესლიგაში ამ განწყობით და ასეთი თამაშით ერთ შეხვედრასაც ვერ მოიგებ. მეორე: თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სეზონში საბოლოოდ ჩავისვარეთ. მესამე: ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

დროა, რაღაც ისეთი ნაბიჯი გადაიდგას, რაც ყველაფერს ძირფესვიანად შეცვლის და სასიკეთოსკენ შემოატრიალებს. ჩვენ სულ თავიდან უნდა დავიწყოთ და თითქმის ახალი გუნდის მშენებლობას უნდა შევუდგეთ. ჩვენი დაცვა? **ლუსიომ** და **ვან ბუიტენმა** პირველ რიგში მენტალიტეტი უნდა შეიცვალონ. დუეტში დალაგებულ თამაშს კი ისწავლიან, მაგრამ სანამ მენტალიტეტი არ შეეცვლებათ, ერთად ვერ მოძოვენ. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად შტუტგარტში დატოვებული ამაზრზენი შთაბეჭდილებისა, დაცვაში კარგი კადრები გვყავს. უბრალოდ, ისინი სწორ გზაზე უნდა დავაყენოთ. იმედით ვუყურებ მომდევნო სეზონს, რადგან ვიცი, რომ **ვალერიან ისმაელი** და **ვილი სანიოლი** უკვე სრულ მზადყოფნაში იქნებიან.

ნახევარდაცვა? „შალკეს" **ლინკოლნი** ჰყავს, „ვერდერს" **დიეგო**, ჩვენ – არავინ! ვიცი, რომ ასეთი გამთამაშებლის პოვნა თანამედროვე ფეხბურთში ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ იმიტომაც გვყავს **ული ჰიონესი** და **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, რომ ეძებონ და იპოვონ.

თავდასხმა? თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოვიპოვებთ, რაც ალბათ ასეც იქნება, მაშინ მიუნხენში ვერცერთ მაღალი კლასის თავდამსხმელს ვერ ჩამოვიყვანთ. ეს ცხადზე უცხადესია და ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. და თუკი „ბარსელონა" მართლაც მოისურვებს **მიროსლავ კლოზეს** შეძენას, ჩვენ მხოლოდ სტატისტების როლში ვიქნებით და მიროს გადმობირების მინიმალური შანსიც კი არ გვექნება.

ფაქტია, რომ ერთ-ორ თავდამსხმელს უნდა გამოვემშვიდობოთ. კონკრეტულ გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ. ზოგიერთის თამაშის ხარისხი და გატანილი გოლების რაოდენობა ყველაფერზე ნათლად მეტყველებს – ისინი აღარ გვჭირდებიან. დაბოლოს, ეს ჩასვრილი სეზონი მხოლოდ მაშინ იქნება მინიმალურად პოზიტიური, თუკი მას ახალი გუნდის შენების დასაწყებად გამოვიყენებთ.

**ფრანც ბეკენბაუერი**
ბილდი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ული ჰიონესი


დანიელ ვან ბუიტენი


ლუკას პოდოლსკი


როი მაკაი


ოუენ ჰარგრივზი

ბაიერნი. შტუტგარტთან წაგების შემდეგ

# გამარჯობა, ღმერთო, ჩვენ ტუტუცი ბავარიელები ვართ!

## მიუნხენში ქაოსი და გაურკვევლობაა

**„ბაიერნმა“ სულის ლაფვა დაიწყოო, წერენ ჩვენი გერმანელი კოლეგები შაბათის შემდეგ. შაბათს რეკორდმაისტერმა „მატჩი მესამე ადგილისათვის“ 0:2 დათმო და ახლა უკვე ძალიან ცოტას თუ სჯერა, რომ მომდევნო სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. არადა, „შტუტგარტთან“ შეხვედრამდე ფანების დიდ ნაწილს ჩემპიონობაზე ფიქრიც კი არ ჰქონდა შეწყვეტილი. სულის ლაფვიდან სიკვდილამდე ერთი ნაბიჯია – თუ მიუნხენური გიგანტი ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, ეს ამ გუნდის გარდაცვალება იქნება, მინიმუმ ერთწლიანი კლინიკური სიკვდილი. და იქ, ზეცაში, ბაიერნელები მამაზეციერს მიადგებიან და ეტყვიან: „გამარჯობა ღმერთო, ჩვენ ტუტუცი, რეგვენი, სულელი და ბოთე ბავარიელები ვართ!“**

უეფას თასი ის ტურნირია, სადაც ასპარეზობა „ბაიერნისთვის“ უდიდესი სირცხვილის ტოლფასი იქნება. თუნდაც **ფრანც ბეკენბაუერის** იმ ორი სიტყვის გამო, გუშინდელ ნომერშიც რომ გაგახსენეთ - დამარცხებულთა ტურნირიაო, თქვა ერთხელ კაიზერმა უეფას თასზე. დღევანდელი გადასახედიდან რეკორდმაისტერის სავარაუდო მეტოქეები აი, ეს გუნდები იქნებიან: "მარსაქსლოკი" (მალტა), "რაბოტნიჩკი" (მაკედონია), "მატერსბურგი" (ავსტრია), "აპოელ ნიქოზია" (კვიპროსი), "იანგ ბოისი" (შვეიცარია), "სტარტი" (ნორვეგია), "დროგედა იუნაიტედი" (ირლანდია), "სლოვანი" (ჩეხეთი), "კორონა კიელიცე" (პოლონეთი), "მიდტიულანდი" (დანია), "ბრომაპიოკა" (შვედეთი). შთამბეჭდავი ჩამონათვალია, არა?

ბეკენბაუერმა ერთხელ ისიც თქვა, ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლა როგორ შეიძლება, „ბაიერნის“ დარი გუნდები თბილისში და სხვა ამგვარ ქალაქებში არ უნდა ჩადიოდნენ, ასეთი ვიზიტები გრანდებისთვის ყოვლად უაზრო და არაფრისმომტანიაო... არ ეკადრება „ბაიერნს“ უეფას თასზე თამაში, მაგრამ მოუწევს! მოუწევს, თუ სასწაული არ მოხდა.

### რისი ბრალია?

ცოტა არ იყოს, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი: გუშინ, ორშაბათს, „ბაიერნის“ ფეხბურთელებს დასვენების დღე ჰქონდათ. თითქოს საათივით აწყობილი სისტემა იყოს, თითქოს გუნდში გასაკეთებელი არაფერია. იმას, რაც რეკორდმაისტერმა შტუტგარტის „გოტლიბდაიმლერშტადიონზე“ ითამაშა, ფეხბურთის გარდა ყველაფერი ეთქმის. საფინალო სასტვენის შემდეგ მიუნხენელებმა მადლობაც კი არ გადაუხადეს ფანებს, მიუხედავად საყვარელი გუნდის საცოდაობისა, პირველიდან ბოლო წუთამდე რომ გრგვინავდნენ საყვარელ სახელს. 12 წელია, მიუნხენური კლუბი რეგულარულად თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წელს ეს აუცილებლობად ქცეული ტრადიცია დაირღვევა. ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან თითქმის ყველა ფეხბურთელს მაგრად მოხვდა, განსაკუთრებით კი, აი, ესენი იქნენ მიწასთან გასწორებული:

1) **დანიელ ვან ბუიტენი**, რომელმაც სწრაფ **ხედირას, ლაუთსა და კაკაუს** თავი არაერთხელ გააბითურებინა. 2) **ფილიპ ლამი**, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე თვეა, თავის ფორმას თავქუდმოგლეჯილი მისდევს, მაგრამ ვერ ეწევა. 3) **კრისტიან ლელი**, რომელიც თითქოს გაუგებრობაშია მოხვედრილი. ორივე გაშვებულ გოლში მთავარი როლი შეასრულა. 4) **ოუენ ჰარგრივსი** – ფეხბურთელი, რომელსაც უდიდესი პოტენციალი აქვს, მაგრამ თითქმის აშკარაა, რომ „ბაიერნი“ ფეხებზე კიდია. ის უკვე „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ფიქრობს და მისთვის მთავარია, რომ „მენიუ“ (მისი მომავალი გუნდი) ითამაშებს ევროპის ელიტურ საკლუბო ლიგაში. 5) **სანტა კრუსი**, რომელსაც „სანტა კლაუსი“ უფრო ეთქმის, რადგან სწორედ შობის კაცივით თამაშობს – კარგად, მხოლოდ წელიწადში ერთხელ. 6) **ჰასან სალიჰამიჯიჩი** –„ბრაცოს“ უკვე ეტყობა, რომ „იუვენტუსში“ გადადის – მოედანზე ბებერი ქალივით ირჯება. 7) **ლუკას პოდოლსკი**, რომელიც ასევე გაუგებრობაში მოხვედრილს ჰგავს და მხოლოდ რეგვენობით გამოირჩევა. შემოდგომიდან მოყოლებული, როცა როსტოკში **ხიზანიშვილს** წიხლი უთავაზა, კიდევ სამჯერ გამოირჩა არასპორტული საქციელით. პოლდი ამჯერად **ლუდოვიკ მანინს** მოექცა ცხენივით.

ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ ბავარიელებს ელემენტარული მონდომებაც კი არ ეტყობოდათ. რისი ბრალია ეს ყოველივე? იქნებ იმისა, რომ ზებენერ შტრასეზე აბსოლუტურად ყველაფერი აქვთ რასაც მოისურვებენ? იქნებ იმისა, რომ გაზულუქდნენ? ზამთარში **ფილიპ ლამმა** თქვა, „ბაიერნში“ არაფრის გაკეთება არ გჭირდება, ყველაფერი თავისით მოდის და თავისით ხდებაო. როგორც ჩანს, ამ განწყობამ ფეხბურთელები ისე დააბრმავა, რომ მოედანზეც გასვლის დროსაც ფიქრობენ, გამარჯვება თავისით მოვაო.

### ქაოტური ხელმძღვანელები

იმაში, რომ „ბაიერნი“ ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ბრალი გუნდის ბოსებსაც მიუძღვით და თანაც, არცთუ უმნიშვნელო. „ბილდმა“ ჯერ კიდევ „მილანთან“ მარცხის შემდეგ დაწერა, **რუმენიგესა** და **ჰიონესის** დრო წარსულს ჩაბარდაო. მას მერე კალემ და ულიმ ახალი მიზანი დაისახეს: სამეულში მოხვედრა. მაგრამ შაბათის შემდეგ ეს მიზანიც მხოლოდ ჰორიზონტზელა მოჩანს. იმ შემთხვევაში, თუ რუმენიგე და ჰიონესი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებენ, მაშინ განცხადებები უნდა დაწერონ და აი, რატომ:

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა **მიხაელ ბალაკმა** გუნდი დატოვა და ლონდონში წავიდა. რეკორდმაისტერის შეფებმა გადაწყვიტეს, ბალაკის ღირსეული შემცვლელი გუნდშივე მოეძებნათ და რა გასაკვირია, რომ ვერავინ იპოვეს. გუშინწინ **ოლი კანმა** ტელეკომპანია ZDF-ის პირდაპირ ეთერში ასეთი რამ თქვა: *„ვინც ამბობს, რომ ბალაკის გარეშე უკეთ ვთამაშობთ, სულელია!“* ამ სიტყვებით კანმა სწორედ რუმენიგეს გაჰკრა კბილი, რომელიც ამტკიცებდა, ბალაკის გარეშე უკეთ ვთამაშობთო. უდიდესი ხვრელი დატოვა **ზე რობერტოს** აბარგებამაც, რომელიც ასევე ვერ შეივსო. ჰიონესი ამბობდა, ამ ყველაფრის მიზეზი, პირველ რიგში, ის გახლავთ, **სებასტიან დაისლერმა** კარიერა რომ დაასრულა, რადგან მასზე უდიდეს იმედებს ვამყარებდითო. მართალია, ამყარებდნენ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ჰერტადან“ „ბაიერნში“ გადასვლის შემდეგ დაისლერს უმაღლეს დონეზე ერთხელაც არ უთამაშია, მუდმივად ტრავმირებული იყო. ჰიონესმა მომდევნო სეზონისთვის უკვე დაიბევა **იან შლაუდრაფი, ჰამით ალთინთოფი** და **ხოსე ერნესტო სოსა** – ანუ, სათადარიგოთა სკამი კარგადაა შევსებული...

წლების მანძილზე ჰიონესი და რუმენიგე ფულს აგროვებდნენ. ისინი დღესაც ამაყობენ იმით, რომ რეკორდმაისტერს 100 მილიონ ევროზე მეტი აქვს. მიმდინარე სეზონში, როგორც იქნა, მიხვდნენ: ფული იმისთვისაა, რომ დახარჯო! მაგრამ უკვე გვიანია. **ლუკა ტონის** ან **არიენ რობენს** უეფას თასზე თამაში არ სურთ.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, **ოტმარ ჰიტცფელდმა** „ბაიერნს“ მხოლოდ ერთი რამ გაუკეთა: გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, რაც სავსებით შესაძლებელია, რომ **ფელიქს მაგათსაც** მოეხერხებინა. სხვა მხრივ კი, ოტმარის „ბაიერნი“ მაგათის „ბაიერნზე“ უარესია. ჰიტცფელდის დანიშვნის შემდეგ „ბაიერნმა“ 11 თამაშიდან 6 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა და 4 წააგო, ანუ, საშუალოდ მატჩში 1.73 ქულას იღებს. მაგათის ხელში (მიმდინარე სეზონში) „ბაიერნი“ საშუალოდ ერთ თამაშში 1.79 ქულას იღებდა (10 მოგება, 4 ფრე, 5 წაგება).

### ჰიტცფელდი განრისხებულია

ჰიტცფელდმა მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს შეხვედრის ვიდეოჩანაწერი უჩვენა და თითოეული მათგანი ზუსტად ისე, როგორც „გენერალს“ სჩვევია, დიპლომატიურად გამოლანძღა. *„ოტმარს არ უყვირია, მაგრამ საკმაოდ გასაგებად აგვიხსნა, რომ იმედგაცრუებულია. გვითხრა, მონდომება ოდნავადაც არ გეტყობოდათ, არცერთი ბურთისთვის არ იბრძოდითო. დიახ, ჩვენი თამაშით ძალიან გაბრაზებული იყო და აბსოლუტურად სამართლიანად გაგვლანძღა. ყველამ ვიგრძენით, რომ განრისხებული იყო,“* – თქვა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა კვირას და იქვე დაამატა, - *„თუკი რომელიმე ჩვენგანმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რაშიცაა საქმე, მისთვის რამის ახსნას უკვე აზრი აღარ აქვს.“*

*„დაცვაში 7-8 კატასტროფული შეცდომა დავუშვით, თავდასხმამ კი ერთხელაც ვერ იმოქმედა კარგად. ყელამდე ნეხვში ვართ და აშკარად ვხედავ საფრთხეს, რომ გუნდი წელში გადატყდეს. ზოგიერთი ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად არასტაბილურია. ასე რომ, ეს „ბაიერნი“ ოდნავადაც არ ჰგავს ძველ „ბაიერნს“. შაბათს ამ გუნდს გუნდი არ ეთქმოდა, აი, რამ გამაბრაზა ყველაზე მეტად. როცა „ბაიერნში“ დაბრუნება გადავწყვიტე, ვიცოდი, რომ საქმე ძალიან გართულდებოდა, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ამ გუნდის ფეხზე დაყენება ასეთი ძნელი თუ იქნებოდა,“* – ამბობს ჰიტცფელდი.

### კანი: კარიერის ბოლო სეზონი უეფას თასზე?

ნირწამხდარი და დაღდასმულია კანიც. საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე მან ფოტოგრაფებს კეპი ესროლა და ბურთიც სადღაც უმისამართოდ დაარტყა, რისთვისაც ყვითელი ბარათი დაიმსახურა. „ტიტანი“ ხვდება, რომ დიდი შანსია, კარიერის უკანასკნელი სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად უეფას თასზე მოუწიოს ასპარეზობა. ეს კი მისთვის ნამდვილი კატასტროფაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიუნხენურ კლუბში გატარებული 13 წლის განმავლობაში ყველაფერი მოიგო და რეგულარულად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა.

*„შაბათს ფატალური მატჩი ჩავატარეთ, აღარც კი მახსოვს, ასე საზიზღრად ბოლოს როდის ვითამაშეთ. 0:2-ის შემდეგ ჩემმა თანაგუნდელებმა ყურები ჩამოყარეს. იქნებ ზოგიერთი მათგანი უკვე იმაზე ფიქრობს, სად ითამაშოს გაისად,“* – მრისხანე იყო ოლიც. კანს ძალიან უნდოდა ჩემპიონთა ლიგის მოგება კიდევ ერთხელ და კარიერის ლამაზად დასრულება. მაგრამ ნაცვლად მილანში, მადრიდში ან მანჩესტერში თამაშისა, ახლა მას ლიბერეცში, კიელცეში და მიდტიულანდში ჩასვლის საფრთხე ემუქრება.

*„პროფესიონალი ვარ და მხოლოდ ამის გამო კარიერას ნაადრევად არ დავასრულებ. თუკი უეფას თასზე ვითამაშებთ, ამ ტურნირის მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებ,“* – ამბობს ოლი გულისტკივილით. თუ სასწაული არ მოხდა და „ბაიერნი“ მართლაც უეფას თასზე გავიდა, 2007 წელი რეკორდმაისტერის მატიანეში შავ ლაქად დარჩება...

**გოტფრიდ ლენცი**

ხულიგნობა

### ვან ბომელი არ დასაჯეს!

**გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ არც მარკ ვან ბომელი დასაჯა და არც ლუკას პოდოლსკი. პირველმა მათგანმა შტუტგარტელ პაველ პარდოს იდაყვი უთავაზა, უკანასკნელმა კი ფერნანდო მეირა მოცელა უკნიდან. ვან ბომელი და პოდოლსკი უშუალოდ თამაშის დროსაც დაუსჯელები დარჩნენ და ისინი სადისციპლინო კომისიამაც დაინდო. ვან ბომელზე არასპორტული საქციელის მცდელობა დაფიქსირდა – პარდო არ წაქცეულაო, პოდოლსკის შემთხვევა კი არც განუხილავთ...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რამონ კალდერონთან

# თუ ჩემპიონები გავხდებით, კაპელო დარჩება

## პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურის შემდეგ პრეზიდენტისთვის ერთადერთი ფავორიტი მადრიდის რეალია...

**პრიმერა დივიზიონის 31-ე ტურმა ესპანური საკლუბო ფეხბურთი თავდაყირა დააყენა. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ "ბარსელონა" ერთპიროვნულ ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ კატალონიელთა უპირატესობისგან, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩა. ფრანკ რიიკაარდის ბიჭებმა "ვილიარეალთან" გასვლითი შეხვედრა დათმეს. ერთი დღით ადრე კი "რეალმა" და "სევილიამ" დაგეგმილი ქულები მოიპოვეს და პრიმერა დივიზიონს მართლაც უდიდესი ინტრიგა შესძინეს. ახლა "ბარსა" "სევილიას" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს, სამეფო კლუბს კი ორით. ბუნებრივია, მადრიდული გრანდის მესვეურები მოვლენათა ამგვარი განვითარებით უაღრესად ბედნიერები არიან. გუშინ პრეზიდენტმა, რამონ კალდერონმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და პირენეელ ჟურნალისტებს ჩემპიონობის შანსებზე ესაუბრა.**

**- პირველ რიგში, "ვალენსიასთან" მოპოვებული გამარჯვება უნდა მოგილოცოთ. თქვენმა გუნდმა მართლაც შესანიშნავად ითამაშა...**

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. "რეალს" არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ რთულ სიტუაციებში ღირსეულად ასპარეზობა შეუძლია. "ვალენსიასთან" მატჩში ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების გასაოცარი ერთსულოვნების მომსწრენი გავხდით. თამამად შემიძლია განვაცხადო, ინჩადამ, ეგრეთ წოდებული, მე-12 მოთამაშის ფუნქცია შეასრულა. ქომაგებმა შესანიშნავი სლოგანი შემოგვთავაზეს - ერთად შეგვიძლია! დიახ, ნებისმიერი წარმატება მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა.

**- ამდენად ხმაურიანი "სანტიაგო ბერნაბეუ" დიდი ხანია არ გვინახავს. რაშია საქმე, გულშემატკივრებმა ჩემპიონობის შესაძლებლობის ირწმუნეს?**

- გეთანხმებით, ხშირად ჩვენი გულშემატკივრები ძალიან ცივები არიან. ეს მათი ხასიათიდან გამომდინარეობს. სამეფო კლუბის ინჩასები მეტისმეტად მომთხოვნები არიან, თუმცა გადამწყვეტ მომენტებში მათი მხარდაჭერა არასოდეს მოგვკლებია. ამჯერადაც ასე მოხდა. დამეთანხმებით, "ვალენსიასთან" მატჩის მსვლელობისას რამდენიმე შეცდომა დავუშვით. ჩვეულებრივ, ასეთ დროს ხალხი უსტვენს ხოლმე, მაგრამ შაბათს მსგავსი არაფერი მომხდარა. უკლებლივ ყველა ინჩასი მთელი გულით გვქომაგობდა. პირადად ჩემთვის ეს ერთობა უაღრესად მნიშვნელოვანია.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ "რეალის" გამარჯვება იკერ კასილიასისა და სერხიო რამოსის საიმედო თამაშმა განაპირობა?**

- ისინი უდიდესი პროფესიონალები არიან. მათ დამსახურებებსა და შესაძლებლობებზე ახალს ვერაფერს ვიტყვი. იკერი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. მის თამაშზე იმაზე ბევრად მეტია დამოკიდებული, ვიდრე რომელიმე სპეციალისტი ან გულშემატკივარი წარმოიდგენს. რაც შეეხება სერხიო რამოსს, ის მადრიდის "რეალის" ახალი მებაირახტრეა. ამ ახალგაზრდა, უნიჭიერეს მცველს სამეფო კლუბის მედროშეობას თვალდახუჭული ვანდობ. ის ხომ ნებისმიერ მატჩში ბოლომდე იხარჯება, თავს არ ზოგავს და მზად არის, მიზნის მისაღწევად სიცოცხლეც კი გასწიროს. რა თქმა უნდა, ასეთი თავდადება ყოველთვის ჯეროვნად უნდა დაფასდეს.

**- სენიორ კალდერონ, "ბარსელონის" მარცხმა პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად გაქციათ. ელოდით, კატალონიელთა წაგებას?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "ბარსელონის" მიერ სამი ქულის დაკარგვა ძალას გვმატებს. ბუნებრივია, კატალონიელთა წარუმატებლობამ "ვალენსიასთან" მიღწეულ გამარჯვებას კიდევ უფრო დიდი ფასი შესძინა. "ბარსასც" რომ მოეგო, მხოლოდ და მხოლოდ, სტატუსკვოს შენარჩუნებას შევძლებდით. ახლა კი ჩვენს შორის არსებული ჩამორჩენა ორ ქულამდე შემცირდა. ცხადია, ამით ძალიან ბედნიერები ვართ.

**- რა ბედი ელის კაპელოს?**

- (იცინის) შესანიშნავი კითხვაა. კაპელო ბედნიერად იცხოვრებს, მას მოკვლას არ ვუპირებთ. ვიცი, პირდაპირ კითხვებს თავს ვერ ავარიდებ, ამიტომ სერიოზული საუბრისთვის წინასწარ მოვემზადე.

**- პირდაპირობას გულწრფელობაც თუ დაერთვება, თქვენი პრესკონფერენცია შესანიშნავი კალაპოტით წარიმართება. მაინტერესებს, შეინარჩუნებს თუ არა კაპელო სამსახურს? "რეალს" ის მომავალ სეზონშიც გაწვრთნის?**

- სენიორ ფაბიოს "რეალთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ამ ეტაპზე კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ. მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაველოდებით. ყველაფერი გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული. აბსოლუტურად ყველა ორგანიზაციაში ასე ხდება. წლის ბოლოს განვლილი თვეების სამუშაოს აჯამებენ, დასკვნები გამოაქვთ და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ. მოკლედ, თუ ჩემპიონები გავხდებით, კაპელო ჩვენთან დარჩება.

**- ვერ უარყოფთ, რომ კაპელოს მადრიდული საზოგადოება გულცივად შეხვდა...**

- ინჩასების ხასიათზე უკვე ვისაუბრე. ხშირ შემთხვევაში ისინი სიცივეს აფრქვევენ. ვიმეორებ, ეს მათი მეტისმეტად მომთხოვნი ხასიათითაა განპირობებული. კალეპოს მართლაც მრავალი პრობლემა შეექმნა. მას დაუნდობლად ლანძღავდნენ. ვფიქრობ, ეს არ არის ნორმალური მოვლენა. მიუხედავად ყველაფრისა, სენიორ ფაბიომ განსაცდელს გაუძლო და გუნდი კარგად აათამაშა. ის ხომ გენიალური მწვრთნელია. სირთულეებთან ბრძოლა ცხოვრებამ ამ კაცის ბედისწერად აქცია. ახლა ყველა ბედნიერია, რომ კაპელოს გაწვრთნილმა ბიჭებმა ჩემპიონობის რეალური შანსი დაიბრუნეს.

**- პრეზიდენტსა და მთავარ მწვრთნელს როგორი ურთიერთობა აქვთ?**

- ერთმანეთთან მშვენიერი დამოკიდებულება გვაკავშირებს. უპრობლემოდ ვმუშაობთ. ზოგჯერ სულელურ ჭორებს ავრცელებენ, მაგრამ ამას არავინ აქცევს ყურადღებას. კაპელომ იცის, რომ მის ზურგს უკან არაფერს გავაკეთებ. არც მიატოვიჩი იკადრებს ამას. "რეალი" ერთსულოვანი გუნდია. ასე რომ, ერთმანეთს ყოველთვის გულწრფელად ვესაუბრებით.

**- გამოდის, კაპელომ უკვე იცის, რომ მისი ბედი შედეგებზეა დამოკიდებული...**

- ეს ყველა მწვრთნელმა იცის (იცინის). თუ მუშაობას სასურველი შედეგები არ ახლავს, მწვრთნელს ყოველთვის პრობლემები ექმნება. კაპელო არ თვლის, რომ მას უსამართლოდ ეპყრობიან. მერწმუნეთ, ის რომ პრეზიდენტი იყოს, აბსოლუტურად იგივეს იტყოდა.

**- მოდით, მის შესაძლო მემკვიდრეებზე ვისაუბროთ. რამდენად დიდია შანსი, რომ "ბერნაბეუზე" რაფა ბენიტესი ვიხილოთ?**

- ბენიტესთან არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია. მისი კანდიდატურა დირექტორატის არც ერთ წევრს არ წამოუყენებია. მერწმუნეთ, არაფერს გიმალავთ და ისეთი გულწრფელი ვარ, როგორც არასდროს. ზოგჯერ, კლუბის კეთილდღეობისა და პრაგმატული მოსაზრებების გამო, გარკვეული ინფორმაციების დამალვა გვიწევს, მაგრამ ამ შემთხვევაში დასამალი არაფერია. ბენიტესს, უბრალოდ, არ დაელაპარაკებიათ.




რამონ კალდერონი

**- სიმართლე გითხრათ, თქვენი სიტყვები უცნაურად ჟღერს. ახლავე შემიძლია, ბენიტესის პრესკონფერენციის ვიდეო, ან აუდიო ჩანაწერი გადმოგცეთ. "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი გარკვევით ამბობს, რომ მადრიდის "რეალის" მაცდურ წინადადებას არ დათანხმდა. სენიორ რაფა მატყუარა, ავანტურისტი ადამიანის სახელით არასოდეს სარგებლობდა. იქნებ გაგვარკვიოთ, რაშია საქმე?**

- ამ საკითხზე ბენიტესის მენეჯერმაც ისაუბრა. სამწუხაროდ, საზოგადოებამ ინფორმაცია არასწორად გაიგო. ბენიტესთან მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობდა, მაგრამ მათ ფერნანდო მარტინი (რეალის წინა პრეზიდენტი) აწარმოებდა. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ, "ლივერპულის" თავკაცთან სამეფო კლუბს საქმე აღარ ჰქონია.

**- მოურინიოზე რას გვეტყვით?**

- ბენიტესი და მოურინიო დიდი მწვრთნელები არიან, მაგრამ მე კაპელო მომწონს. არ ვიცი, სენიორ ფაბიო მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტია თუ არა, მაგრამ საუკეთესოთა შორის ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია რომ უკავია, უდავო ფაქტია. მოურინიოსთან დაკავშირებით მეტს ვერაფერს გეტყვით. სამწუხარო იქნება, თუ თქვენი ცნობისმოყვარეობა დაუკმაყოფილებელი დარჩა.

**- იმედია, არ მიწყენთ, შუსტერზეც მინდა გკითხოთ. კულუარული ინფორმაციით, მადრიდის "რეალში" დანიშვნის საუკეთესო შანსს სწორედ ის ფლობს. რას ფიქრობთ გერმანელ მწვრთნელზე?**

- შუსტერი სანახაობრივი ფეხბურთის პროპაგანდისტია. მადრიდელ გულშემატკივრებს კი სწორედ ასეთი თამაში უყვართ.

**- ადასტურებთ, მასთან წინასწარი ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს?**

- შემდეგი კითხვა...

**- როგორ ფიქრობთ, "რეალის" კრიზისს წერტილი დაესვა?**

- ცხადია. კრიზისი დაძლეულია. ფეხბურთში გაუცნობიერებელი ადამიანიც კი მიხვდება, რომ "რეალი" ახლა სულ სხვანაირად თამაშობს. ბიჭებს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა დაუბრუნდათ. რაც მთავარია, კარგ შედეგებს ვაღწევთ. პრიმერა დივიზიონში გამარჯვების ფანტასტიკურ შანსს ვფლობთ.

**- უფრო კონკრეტულად ხომ არ გვეტყვით, ფავორიტად რომელ გუნდს მიიჩნევთ?**

- რა თქმა უნდა, მადრიდის "რეალს" და სხვას არავის. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ "ბარსელონა" არ არის მიუწვდომელი. წინ რვა ტური გველის. ბუნებრივია, 100-პროცენტიან გარანტიას ვერავინ მოგვცემს, მაგრამ ჩემი გუნდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მომავალს ოპტიმიზმით შევცქერით.

**- შემადგენლობის გაძლიერებას ხომ არ აპირებთ?**

- საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ ეს მუდმივი პროცესია. მადრიდი სისხლის გადასხმის, მაღალი მოწონების გარეშე ბრძოლას ვერ შეძლებს. იმედია, ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გადავიბირებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ ამბიციური ბიჭები გვჭირდება. მე-20 საუკუნის საუკეთესო კლუბი 21-ე საუკუნეშიც ყოველთვის პირველობისთვის იბრძოლებს.

**- კანავაროს რა ელის?**

- მის მომავალს მწვრთნელები გადაწყვეტენ. პრეზიდენტი სწორედ მათ ნებას ასრულებს. ისე კი, გული დამწყდება, თუ მისი წასვლის აუცილებლობის წინაშე დავდგებით. პირადად მე დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში გაცილებით უკეთ ითამაშებს. მოკლედ, ვისურვებდი, რომ დარჩეს.

**- რაული მისი ბედის გარკვევას ითხოვს...**

- რაული გუნდის სიმბოლოა. მისი მთავარი ღირსება არა ტიტულები, არამედ ის ღირებულებებია, რომელსაც გულით ატარებს. ეს ღირებულებები კი სხვა არაფერია, თუ არა, ბრძოლა, ვნება, სილამაზე და გამარჯვება. ყველაფერი თავად კაპიტანზეა დამოკიდებული. იმას გავაკეთებთ, რასაც თავად ისურვებს. თუ წასვლას გადაწყვეტს, ხელს არ შევუშლით. ხოლო, თუ დარჩენას ამჯობინებს, ძალიან ბედნიერები ვიქნებით. რაული "რეალისთვის" უმნიშვნელოვანესი ფიგურაა.

**- ტურიენსო ალვარესის მისამართით პრედრაგ მიატოვიჩის მიერ გამოთქმულმა უკმეხმა სიტყვებმა საკმაოდ უსიამოვნო სიტუაციაში ჩაგაყენათ. გენერალურ დირექტორთან ურთიერთობა ხომ არ დაგეძაბათ?**

- არ უნდა დაგავიწყდეთ, ეს სიტყვები როდის და რა სიტუაციაში წარმოთქვა. მსაჯის შეცდომების გამო ის თამაში რომ არ წაგვეგო, ახლა ერთპიროვნული ლიდერები ვიქნებოდით. მიატოვიჩმა ალვარესის წინააღმდეგ სწორედ მაშინ გაილაშქრა, როცა უსამართლობით აღშფოთებულს ემოციების მოთოკვა გაუჭირდა. შემდეგ ის დამშვიდდა და სიტუაციაც განიმუხტა. მოგვიანებით, სამეფო კლუბმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. ჩვენ ვამბობთ, რომ მსაჯებს უნდა დავეხმაროთ. ისინი ხომ ურთულეს პროფესიას ემსახურებიან. ამდენის გაძლება მართლაც სასწაულია.

**- ვან ნისტელროის გოლს როგორ შეაფასებთ?**

- ჩემი აზრით, მას ისეთივე ღირებულება აქვს, როგორიც მესის გოლს. განსხვავება ის არის, რომ ბარსელონელმა ინდივიდუალიზმის წყალობით შეაგდო, ვან ნისტელროის გოლი კი მთელი გუნდის შემოქმედება გახლდათ.

**- "ვალენსიასთან" მატჩში გადამწყვეტი როლი დევიდ ბექჰემმა ითამაშა. კაპელომაც აღიარა, რომ მისი გამოსვლის შემდეგ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა.**

- ამას მეც ვაღიარებ. ძალიან სამწუხაროა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ დაგვტოვებს. რა გაეწყობა, ეს გადაწყვეტილებმა ინგლისელმა ერთპიროვნულად მიიღო.

**- კაკას საქმე რა სტადიაზეა?**

- კაკაზე ჭკუას ვკარგავ, მაგრამ დღეს მის ტრანსფერზე საუბარი ნაადრევი იქნება.

**- კრისტიანო რონალდოზე იგივეს გვეტყვით?**

- თუ "მანჩესტერი" მის გაყიდვას გადაწყვეტს, რონალდო "რეალში" გააგრძელებს კარიერას.

**ილია ნიკოლაიშვილი**




რეალი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭიდაობა




დახვედრის აუცილებელი ატრიბუტი, მედუდუკეთა დასტა

ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ

# ოქრო-ვერცხლი ჩამოგვივიდა

პირველი გვერდიდან

მწვრთნელის შემდეგ ბადრი ხასაიას მივმართეთ საკუთარი გამოსვლის შესაფასებლად. ის ახლობლების გარემოცვაში იდგა და აშკარად ნირწამხდარი იგონებდა ჩემპიონატის პერიპეტიებს. არ დაუმალავს, რომ თურქ ნაზმი ავლუჯასთან მარცხის უპირველეს მიზეზს საკუთარ თავში ხედავს:

- ჩემი ჭიდაობით ნამდვილად არ ვარ კმაყოფილი. ჯგუფის ძლიერი იყო, მაგრამ შესაძლებლობები მაქსიმალურად ვერ გამოვიყენე. ავლუჯა მსოფლიო ჩემპიონია, თუმცა მხოლოდ წილისყრით მომიგო ფრეზე. ალბათ, მეტი მომზადებაა საჭირო. მსოფლიოსთვის დატვირთვები უნდა გავზარდო.

**დიდი ხალისით არც ირაკლი ჭოჭუა გამოირჩეოდა, რომელიც ასევე ნაცნობთა წრეში იდგა.**

- ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვერანაირად ვერ ვიქნები - გვითხრა ჭოჭუამ. სამომავლოდ მეტი მომზადება დამჭირდება. აგრეთვე, მეტი მობილიზება, დაკვირვება, აზროვნება ხალიჩაზე... უკრაინელთან ჩემივე ილეთით წავაგე. ცოტა ვიჩქარე, რაც ძალიან ძვირად დამიჯდა. იმ წუთიერმა დაუკვირვებლობამ ყველაფერი შეცვალა.

**- მოკლედ, მსოფლიოსთვის მზადების პროცესში რა უნდა გააკეთოთ, უკვე იცით...**

- კი, მაგრამ მსოფლიოსთვის ჯერ ნაკრებში ადგილია მოსაპოვებელი. სააამისოდ რამდენიმე ტურნირში მექნება შანსი.

ამასობაში **მოჭიდავეებმა სავიზო პრობლემებიც მოილიეს და ფედერაციის პრეზიდენტ კახა გენაძის თაოსნობით, გამოსასვლელსაც მოაშურეს. ცხადია, ჩემპიონები მყისვე მიმლოცველთა ჯგუფში ჩაიკარგნენ, ჩვენ კი ამასობაში გენაძეს ვთხოვეთ კომენტარი:**

- ცხადია, ძალიან კარგი შედეგია როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. მარტო ის რად ღირს, რომ სოფიაში ორჯერ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. ამით ყველაფერია ნათქვამი.

ამასობაში **მანუჩარ კვირკველიაც** დავიმარტოხელეთ:

- ამ გამარჯვებით უზომოდ ბედნიერი ვარ. სოფიაში წასვლამდე ვფიქრობდი, რომ მთავარი იყო, ყველაფერი გამელო მოსაგებად და მართლაც ასე მოხდა. ბუნებრივია, იყო სერიოზული წინააღმდეგობებიც, მაგრამ ყველაფერი დავძლიე.

ყველაზე რთული შეხვედრა? ალბათ, მაინც ფინალი შვეიცარიელთან. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტიც შვეიცარიელია და ბევრს ეცადნენ ბუშეს გაჩემპიონებას, მაგრამ მადლობა ღმერთს, საწადელს მივაღწიე. ფინალურ შეხვედრაში მთელი დარბაზი მე მქომაგობდა. ახლა წინ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპია, სადაც ყველაფერი თავიდანაა გასავლელი, უფრო მეტია გასაკეთებელი. ევროპის ჩემპიონატის მოგება არ ნიშნავს, რომ თითქოს მსოფლიოსაც მოიგებ. იქაც ძირითადად იმ მეტოქეებთან მომიწევს მედლისა თუ ლიცენზიისთვის ბრძოლა, რომლებსაც სოფიაშიც შევხვდი. იქ მხოლოდ რუსი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ვარტარეს სამურგაშევი არ იყო, მაგრამ თუ სათანადოდ მოვემზადები, არც მასთან ბრძოლაა დიდი პრობლემა.

**ამასობაში მედიისთვის რამაზ ნოზაძემაც მოიცალა, რომელსაც მისალოცად პირველად ძმისშვილები მისცვივდნენ. აი, რა გვითხრა მან:**

- ჩემთვის ეს მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამდენი ტრავმების შემდეგ პირველი სერიოზული გამარჯვებაა. ჩემპიონატს მართლაც პიკში შევხვდი და მსოფლიო პირველობის წინ კარგი წინაპირობა შევიქმენი. სოფიაში თურქი ჰამზა ერლიქაია არ ჭიდაობდა, მაგრამ თუ დამიჯერებთ, არ მაინტერესებს, მსოფლიოზე ვის შევხვდები. მთავარია, მოვემზადო და სულ ერთია, ვინც იქნება. ყველა მეტოქე დასამარცხებელია და ყველას უნდა მოვუგო.

**ვიდრე „ანტიკოსებს“ ვესაუბრებოდით, „თავისუფალთა“ ნაკრები როგორღაც სწრაფად გავიდა შენობიდან და მათი ძებნა მიმდებარე ტერიტორიაზე თუ მანქანებში მოგვიხდა. ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძეც საკომენტაროდ იქ მოვიხელთეთ:**

- ამ ტურნირს ძირითადად მაინც მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ეტაპად განვიხილავდით და ამ თვალსაზრისით კმაყოფილი ვარ. ჩვენი მიზანია, მსოფლიოზე რაც შეიძლება მეტი მედლისა და ლიცენზიის მოპოვება. ამ ჩემპიონატიდან ყველაზე მეტად მაინც გოგშელიძის წაგებაზე მწყდება გული. მისგან მეტს ველოდით. უახლოეს მომავალში ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერს დეტალურად განვიხილავთ, ვნახავთ, სად რა შეცდომა მოგვივიდა, რა დაგვრჩა დაუმუშავებელი და მსოფლიო ჩემპიონატზე გაცილებით მობილიზებულნი გავალთ.

რაც შეეხება გელა სალირაშვილს, სულ ვამბობდი, რომ გუნდში მხოლოდ ის მყავდა უტიტულო და ახლა ეს ხარვეზიც გამოსწორდა. მან ძალიან კარგად იჭიდავა და სერიოზულ სპორტსმენებს მოუგო. მართაც ღირსეულად იასპარეზა.

**გელა სალირაშვილი აეროპორტის ტერიტორიაზე მქროლავ ქარს მანქანაში გარიდებოდა, თუმცა მაინც აღმოვაჩინეთ და კომენტარი ვთხოვეთ:**

- ცხადია, ამ წარმატებით გახარებული ვარ, მაგრამ ცოტა გულიც მწყდება, რადგან არც ოქროს მედალი იყო ძალიან შორს. ფინალში ნამდვილად არ გავსულვარ იმ განწყობით, ვერცხლი ხომ მაინც მაქვს-მეთქი. მეტზეც ვფიქრობდი, მაგრამ პატარ-პატარა შეცდომების გამო წავაგე. მაინც კმაყოფილი ვარ - რაც უნდა იყოს, ევროპული მედალია. სოფიაში წასვლამდე სამეულში მოხვედრას ვგეგმავდი, მაგრამ გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომ აუცილებლად ფინალში გავა.

**სალირაშვილის შემდეგ ლექსო მოდებაძესაც გავესაუბრეთ:**

- ნაკრებში ტრავმებით გამოწვეული ორწლიანი პაუზის შემდეგ დავბრუნდი. შეიძლება ითქვას, რომ ნელ-ნელა მწყობრში ვდგები, თუმცა გულიც მწყდება, რადგან ფინალში გასვლა რეალურად შემეძლო. უკრაინელი სერგეი პრიადუნი ნამდვილად არაა ძლიერი მოჭიდავე და მისი დამარცხება რეალურად შეიძლებოდა, მაგრამ პირველი შეხვედრის შემდეგ მალევე გამომიძახეს და დასვენება ვერ მოვასწარი. კმაყოფილი არ ვარ - მეტი შემიძლია. ვიმედოვნებ, მსოფლიოსთვის გამოვასწორებ.

სამწუხაროდ, გიორგი გოგშელიძე, რომელთან საუბარიც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა, ვერ მოვიხელთეთ. გორელები სხვებზე ადრე აიბარგნენ აეროპორტიდან...

## მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი გულითადად ულოცავს ქართველ ძიუდოისტებსა და მოჭიდავეებს ბელგრადსა და სოფიაში ახლახან დამთავრებულ კონტინენტის პირველობებზე ნაჩვენებ შესანიშნავ შედეგს.

ევროპის ჩემპიონატებზე ძიუდოსადა ჭიდაობის სახეობებში მონაწილე ყოველი მეორე ქართველი სპორტსმენი სამშობლოში მედლით დაბრუნდა. მოპოვებული სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი კიდევ ერთხელ ადასტურებს სპორტსმენთა მომზადების მაღალ დონეს, მათ ოსტატობასა და შრომისმოყვარეობას. დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატებზე სრულად წარმოჩინდა ჩვენი ათლეტების სპორტული და ინტელექტუალური პოტენციალი. მიღწეული შედეგები, რა თქმა უნდა, განპირობებულია ნაკრებისა და ათლეტთა პირადი მწვრთნელების მაღალი პროფესიონალიზმით, შესაბამისი ფედერაციების ხელმძღვანელობის გამართული საქმიანობით, სხვა სპორტული სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევით.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ წარმატებაში საქართველოს ოლიმპიური ფონდის წვლილს, რომელმაც დააფინანსა ძიუდოისტებისა და მოჭიდავეების ევროპის ჩემპიონატებისთვის მზადება და მასში მონაწილეობა.

კონტინენტის პირველობაზე მაღალშედეგიანი ასპარეზობა ნამდვილად კარგი განაცხადია რიო დე ჟანეიროსა (ძიუდო) და ბაქოში (ჭიდაობის სახეობები) შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატების წინ.

დარწმუნებული ვართ, ქართველ ძიუდოისტებსა და მოჭიდავეებს წინ არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება ელით.

## სამბო

ევროპის ჩემპიონატი

# მზერა პლოვდივზე

ევროპის ჩემპიონატი სამბისტებსაც კარს მოადგათ. ამ ასპარეზობას 28-29 აპრილს ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი უმასპინძლებს. გუშინ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში სამბოს ეროვნულმა ფედერაციამ გამართა პრესკონფერენცია, რომელზედაც შეჯამდა წინასაჩემპიონატო მზადების შედეგები და დასახელდა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა. როგორც მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ იაძემ** აღნიშნა, შეკრება ნაყოფიერი გამოდგა და გუნდი მზად არის იბრძოლოს მაღალი შედეგებისთვის. *"ვგეგმავთ 4-5 მედალს, შარშან ოთხი მედალოსანი გვყავდა"*. - თქვა იაძემ.

უფროსმა მწვრთნელმა დაასახელა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ასე გამოიყურება:

52 კგ - **უშანგი კუზანაშვილი** (საგარეჯო, ევროპის მეორე და მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი, 2006);

57 კგ - **ავთანდილ ცინცაძე** (თბილისი, ევროპის და მსოფილო პირველობის მესამე პრიზიორი, 2006);

62 კგ - **დავით სიმონიშვილი** (საგარეჯო, საქართველოს გასული წლის ჩემპიონი);

68 კგ - **გელა სანიკიძე** (ქუთაისი, 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ევროპისა და მსოფლიო პირველობებში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში გამარჯვებული);

74 კგ - **დავით შენგელია** (ფოთი, ევროპის მეორე და მსოფლიოს მესამე პრიზიორი, 2006);

82 კგ - **ნიკო კუცია** (ფოთი, მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი, 2006);

90 კგ - **მინდია ბოდაველი** (თბილისი, ევროპისა და მსოფლიო პირველობის ჩემპიონი, 2006);

100 კგ - **მირიან პავლიაშვილი** (მცხეთა, ევროპის მეორე და მსოფილო პირველობის მესამე პრიზიორი);

მძიმე - **ზვიად ჩინჩალაძე** (რუსთავი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი, 2006);

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული ყოველი სპორტსმენი 2 000 ლარით დაჯილდოვდება.

**ომარ ჩხაიძე**

## მხატვრული ტანვარჯიში

# მეთოთხმეტე გრანპრიზე

**ესპანეთის** საკურორტო ქალაქ მარბელიაში დასრულდა მხატვრული სტილით ტანმოვარჯიშეთა გრანპრი. ესპანეთში, ორი ქართველი ტანმოვარჯიშე იმყოფებოდა – ქეთი ხატიაშვილი გრანპრიზე გამოვიდა, თათია დონაძემ კი იქვე გამართულ ანდალუსიის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის თასზე იასპარეზა.

მარბელიის გრანპრიზე ქეთი ხატიაშვილმა 14-ე ადგილი დაიკავა, რაც ასეთი დონის შეჯიბრებაზე, დამოუკიდებელი ქართული ტანვარჯიშის ისტორიაში, მესამე შედეგია. წინა წლებში, ინგა თავდიშვილს მეცხრე ადგილი აქვს დაკავებული, ხოლო ვანდა კერესელიძემ მეთერთმეტე შედეგი აჩვენა. ხატიაშვილმა ყველა საგანში 15 ქულაზე მეტი შეფასება მიიღო და თუ ამ მაჩვენებელს ოდნავ გაზრდის და 16-მდე აიყვანს, ამ შემოდგომით საბერძნეთში გასამართ პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე, თავისუფლად მოხვდება ოცეულში, რაც ავტომატურად ნიშნავს პეკინის საგზურს. რაც შეეხება ანდალუსიის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის თასს, **თათია დონაძემ** მეექვსე ადგილი დაიკავა.

ამ უქმეებზე, მოვლენათა ეპიცენტრი პორტუგალიის ქალაქ პორტიმაოში გადაინაცვლებს, სადაც მსოფლიო თასის ეტაპი გაიმართება. იქ ხატიაშვილსა და დონაძეს დაემატება საქართველოს ნაკრების მესამე ნომერი **ელენე გავარდაშვილი**. პორტიმაოშივე გასამართ იუნიორთა ტურნირზე წასვლა ვერ მოახერხეს ჩვენმა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებმა – **ელენე ტიტოვამ** და **ციცია მკერვალმა**.

## ძიუდო

# კაუნასსა და ანკარაში

ამდღეებში ქართველმა ქალებმა წარმატებით იჭიდავეს ორ საერთაშორისო ტურნირში. ჯერ იყო და ახალგაზრდებმა კაუნასში იასპარეზეს დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ოთხი მედალი მოიპოვეს - თითო ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო. ჩემპიონი **თინათინ ქულოსაშვილი** (63) გახდა, **დუსკა ქერიმოვა** (57) მეორეზე გავიდა, **ნათია როსტომაშვილმა** (48) და **მარიამ ჩადუნელმა** (+78) ბრინჯაო მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ როსტომაშვილმა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში თანაგუნდელი, ეროვნულის ლიდერად შეგულებული **ნაია ვეშაგური** დაამარცხა.

რამდენიმე დღეში ჩვენებმა ანკარაში იასპარეზეს გოგონათა მსოფლიო თასზე, სადაც კაუნასში ნაჭიდავებთაგანაც გამოვიდა რამდენიმე. იქ ბევრად კარგი შედეგი აჩვენეს - 4 ოქროს, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი. ანკარაში ჩემპიონები ნაია ვეშაგური (48), **თეონა სუხიტაშვილი** (52), **მაია ტარუაშვილი** (57) და **ნანა კაკაბაძე** (+78) გახდნენ. ვერცხლი წონაშეცვლილმა **ნათია როსტომაშვილმა** (52), **მარიამ ვარდანაშვილმა** (+78) ირგუნეს, ბრინჯაო - **მარიამ ოქრიაშვილმა** (52), **ანა ავაქიანმა** (63) და **შორენა შარაძემ** (57).

## წყალბურთი

# ერთიც და დავისვენოთ!

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები უკრაინაში გაემგზავრა, სადაც ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატზე იასპარეზებს. მეოთხე ტურის წინ, ჩვენი გუნდი მეორე ადგილზეა და მხოლოდ მარიუპოლის გუნდს ჩამორჩება. მეოთხე ტურში, გადამწყვეტი ბრძოლა ალბათ უფრო ლვოვის "დინამოსთან" გვექნება, რომელთან არწაგებაც ვერცხლის მედალს დაგვიბევებს.

თუმცა ჩემპიონებიც რომ გახდნენ, არა გვგონია, რომ დიდად სამხიარულოდ ჰქონდეთ საქმე ჩვენს სპორტსმენებს. საქმე ის არის, რომ წლეულს, საკუთარი ბიუჯეტი უკვე ამოწურეს და უკრაინის პირველობის მეოთხე ტურზეც რის ვაივაგლახით ნაშოვნი ფულით წავიდნენ. იმავე უფულობის გამო, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, პირველად ხდება, რომ ახალგაზრდული ნაკრების ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირს გამოტოვებს. ასევე ვერ მოხერხდა დიდი ხნის ოცნების ასრულება, ანუ ეროვნული ნაკრების აღდგენა და მისი ოფიციალურ შეჯიბრებებში ჩართვა. ასე რომ, თუ რაიმე კარდინალური ცვლილება არ მოხდა, უკრაინის ღია პირველობა ქართული წყალბურთის უკანასკნელი შეჯიბრება იქნება 2007 წელს.

**კობა ხატისაშვილი**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 56 (2006)

**1984 წელს ლოს-ანჯელესში გამართულ XXIII ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა და სოცქვეყნების სპორტული დელეგაციები რომ არ იასპარეზებდნენ, ყველამ წინდაწინ იცოდა. ასეც მოხდა. ბოიკოტი ბოიკოტის წილ! მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობა კვლავ ორად გახლეჩილი დარჩა და ეს იყო ბინძური პოლიტიკის ნაყოფი, რომელიც სოციალისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებს შორის დაპირისპირებაში მომწიფდა. ალბათ, ხმამაღლა ნათქვამი სულაც არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო დანაშაული ოლიმპიური მოძრაობისა და, საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მისი პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის თავკაცობით, დიდი დიპლომატიური ძალისხმევა დასჭირდა დაპირისპირებულ სამყაროთა შორის თანხმობის აღსადგენად. აქვე ვიტყვით, რომ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის საპირისპიროდ, სოცქვეყნებმა "მეგობრობა 84" გამოიგონეს და ჩაატარეს კიდეც...**

იმ ოლიმპიურ წელს, სსრ კავშირში ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლექსური ასპარეზობა იყო უზბეკეთის დედაქალაქში გამართული მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც ყველაზე მასობრივი (10 000 მონაწილე) გამოდგა წინამორბედ შეჯიბრებებთან შედარებით. წლის ღირსსახსოვარი მოვლენა დაფიქსირდა 1984 წლის 21 ივლისს, თბილისის დროით 10 საათსა და 45 წუთზე, როცა ბათუმის მახლობლად, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოვიდა იალქანი "არგო". ექსპედიციას მსოფლიოში ცნობილი ინგლისელი მოგზაური **ტიმ სევერინი** ხელმძღვანელობდა. ძველი არგონავტების "არგოს" ახალმა სეხნიამ სტარტი აიღო საბერძნეთში და კოლხეთისკენ ზუსტად იმ გზით გამოეშურა, რომლითაც 13 საუკუნის წინათ გაიარეს არგონავტებმა იაზონის წინამძღოლობით... ახლა კი გავეცნოთ 1984 წლის სპორტულ ღონისძიებებში საქართველოს სპორტსმენთა მიღწევებს.

**ძიუდო**. სპორტის ამ სახეობაში ჩვენმა სპორტსმენებმა 20-მდე სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მოსინჯეს ძალები. დავიწყოთ თბილისის საერთაშორისო ტურნირით. აქ ოქროს მედლები წილად ხვდათ **რამაზ მარგველანს** (65), **გია გოგოლაურს** (71), **შოთა ხაბარელს** (78) და **მალხაზ ბერუაშვილს** (95); მეორე ადგილზე გავიდნენ **ავთანდილ გუბალაძე** (აბსოლუტური) და **ტარიელ ბაშარული** (65), ხოლო მესამეზე **თამაზ ნამგალაური** (71).

ტოკიოს საერთაშორისო ტურნირზე ოქროს მედალს ეუფლება **აკაკი კიბორძალიძე** (აბსოლუტური). ისევე, როგორც თბილისში, საქართველოს ნაკრები ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირშიც ცალკე გუნდად გამოვიდა. ბუქარესტში უძლიერესის სახელი მოიპოვა **კობა კურტანიძემ** (95), ვერცხლის მედალი გადაეცა **აკაკი კიბორძალიძეს** (მძიმე), ბრინჯაოსი **ჯემალ მჭედლიშვილს** (86). შემდეგ კიბორძალიძემ სსრკ ნაკრებში, ასევე მძიმე წონაში, პარიზის საერთაშორისო ტურნირში მოიგო ოქროს მედალი.

სსრკ პირველობა კაუნასში ჩატარდა. ჩემპიონობა იზეიმა **მალხაზ ბერუაშვილმა** (95), მეორე პრიზიორები გახდნენ **შოთა ხაბარელი** (78) და **თამაზ ნამგალაური** (71), მესამე ადგილი ერგო **ბორის გოგიჩაშვილს** (95). სპორტულ საზოგადოებებს შორის სსრკ პირველობაზე (კრასნოიარსკი) ქართველ ფალავანთა წილად ოქროს ორი მედალი მოდის. ეს ჯილდო ერგოთ **ავთანდილ გუბალაძესა** (მძიმე) და **აკაკი კიბორძალიძეს** (აბსოლუტური), მეორე იყო **ვახტანგ ჯაფარიძე** (60), ხოლო მესამე **ბათურ ჯიქური** (71).

სტრასბურგი. სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრებში ოქროს მედალი **გია თენაძემ** (71) დაიმსახურა, ბრინჯაოსი **ანზორ თენაძემ** (78) და **კობა კურტანიძემ** (95). საბჭოთა ნაკრები III ადგილზე გავიდა. "მეგობრობა 84-ის" პროგრამით ვარშავაში გამართულ ტურნირში სსრკ ნაკრებში **თამაზ ნამგალაური** (71) მეორე პრიზიორი გახდა. საბჭოთა კავშირის მცირე ჩემპიონატად მონათლა კურსკში გამართული საკავშირო შეჯიბრება. ოქროს მედლები ხვდათ **ალექსი ხაჩიძესა** (95) და **აკაკი კიბორძალიძეს** (აბსოლუტური), ვერცხლის **გია თენაძეს** (71), **ენგური გოგიჩაშვილსა** (78) და **ჯემალ მჭედლიშვილს** (86), ბრინჯაოსი **კობა კურტანიძეს** (95). იმ წლის მონაგარს ნამგალაურმა (71) ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალიც შემატა.

სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში ახალგაზრდებმა და ჭაბუკებმაც კარგად იასპარეზეს. სოცქვეყნების ახალგაზრდულ საერთაშორისო ტურნირში (ჩერკასკი) **გელა ბერუაშვილი** (95) ერთადერთი იყო სსრკ ნაკრებში, რომელიც საპატიო



მალხაზ ბერუაშვილი (მარჯვნივ)



აკაკი კიბორძალიძე

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა. ახალგაზრდებს შორის საკავშირო პირველობა კი რიგაში გაიმართა. ქუთაისელი **ავთანდილ გუბალაძე** (აბსოლუტური) აქაც უძლიერესი იყო, ვერცხლის მედალი **კობა ილურიძემ** (60) დაისაკუთრა, ბრინჯაოსი **იური ჩოჩიშვილმა** (65) და **გელა ბერუაშვილმა** (95). საქართველოს ნაკრები რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა გუნდურ ჩათვლაში. სოცქვეყნების დინამიადა ახალგაზრდებსა და ჭაბუკთა შორისაც ჩატარდა. პირველი აქაც **ავთანდილ გუბალაძე** იყო, III ადგილზე გავიდა **შერმადინ მიქელთაძე** (78), ჭაბუკებში გაიმარჯვა **ვალერი პარუნაშვილმა** (მძიმე). შემდეგ ამ სპორტსმენმა გდრ-ის საერთაშორისო ტურნირიც მოიგო და უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ვიტებსკში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაზეც, მეორე პრიზიორები გახდნენ ზესტაფონელი **ნუგზარ წაქაძე** (მძიმე) და კასპელი **დავით დემეტრაშვილი** (57), მესამე ადგილზე გავიდნენ დუშეთელი **ალექსანდრე ძავაშვილი** (75) და გორელი **ალექსანდრე დონლუზაშვილი** (83). გუნდიც მესამე იყო.

კიშინიოვში გაიმართა 1969-71 წლიანთა საკავშირო პირველობა, სადაც **ჯაბა ნარიმანაშვილი** (მძიმე) პირველი იყო, **ვაჟა ლომიშვილი** (მძიმე) მეორე, **გიორგი მერაბიშვილი** (75) და **ლევან ხარებავა** (53) კი მესამე. ლიტვამ მოსწავლეთა საკავშირო ტურნირს უმასპინძლა. საქართველოს ნაკრებმა ბრწყინვალედ იასპარეზა და გუნდურ პირველ ადგილს დაეუფლა. **ვალერი პარუნაშვილი** (მძიმე) აქაც პირველი იყო, თანაქალაქელ (თბილისი) **ვანო ჯინჭარაძესთან** (83) ერთად, გარდაბნელი **ნიკო ნიკოლაიშვილი** (49) და ლენტეხელი **კახა ქურასბედიანი** (53) მეორე ადგილზე გავიდნენ.

დაბოლოს, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. საქართველოს ნარგზავნილებმა ღირსეულად მოიპოვეს გუნდური პირველი ადგილი. ჩემპიონები გახდნენ **გია ხოსიტაშვილი** (62) და **ვალერი პარუნაშვილი** (მძიმე), მეორე პრიზიორები **თამაზ ჭელიძე** (68) და **გელა ბერუაშვილი** (მძიმე), მესამე ადგილზე გავიდა **დავით დემეტრაშვილი** (57).

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** რუსთაველი **თემურ ყაზარაშვილი** (48) და ქუთაისელი **თემურ აფხაზავა** (82) ოქროს მედლებს იხვეჭენ ნორვეგიაში (ოსლო) გამართულ საერთაშორისო ტურნირში. ყაზარაშვილმა მოიგო აგრეთვე სსრკ თასი (კრასნოიარსკი) "შრომითი რეზერვების" საკავშირო ნაკრებში, შემდეგ, მინსკში, სსრკ ჩემპიონი გახდა თ. აფხაზავასთან ერთად, ვერცხლის მედალი მოიპოვა **ზაალ ყუბუსიძემ** (82). აფხაზავამ კიდევ სამ დიდ წარმატებას მიაღწია: მოიგო ლაიფციგის საერთაშორისო შეჯიბრება, "მეგობრობა 84-ის" (ბუდაპეშტი) ტურნირი და ევროპის ჩემპიონატი (იონჩოპინგი, შვედეთი) - მეორედ. ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია თბილისელმა სტუდენტმა **ზაურ ივანიშვილმა** (90), რომელმაც საერთაშორისო ტურნირებში, პარიზსა და შვედეთში, შესაბამისად ოქროსა და ვერცხლის მედლები დაიმსახურა. მოიგო აგრეთვე "ნორდვესტის" თასი ნორვეგიის ქალაქ კრისტიანსენში. საბჭოთა ნაკრებს ამ ტურნირში წარმოადგენდა საქართველოს გუნდი. ივანიშვილის გარდა, აქ პირველ ადგილზე გავიდნენ **გურამ მაჭარაშვილი** (62), **გურამ გედეხაური** (100) და **მიხეილ სალაძე** (მძიმე). ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე (ფრუნზე) კარგად გამოვიდა **გიორგი მაკალათია** (81). აქ და შემდეგ, ლოძში (პოლონეთი), ევროპის პირველობაზე ამ სპორტსმენმა ოქროს მედლები მოიპოვა. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე (ტაშკენტი) საქართველოს ნაკრები გუნდური ტურნირის ჩემპიონი გახდა. პირად პირველობაში ნაკრებს ოქროს მედალი მოუტანეს **თენგიზ თედორაძემ** (87) და **გურამ შონიამ** (97), მეორე ადგილი ხვდა წილად **გიორგი მაკალათიას** (81). ნორჩ ფალავანთა საკავშირო ტურნირმა გამარჯვება მოუტანა **გ. ჭადაშვილს** (32), **გ. წიკლაურს** (44), **გ. გაბროშვილს** (71), **პ. ბერიშვილსა** (77) და **ა. გადაბაძეს** (მძიმე).

**თავისუფალი ჭიდაობა.** თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ოქროს მედალი წილად ხვდა მხოლოდ **ზურაბ ტატუაშვილს** (52). **ლერი ხაბელოვი** (100) და **მალხაზ მემარნიშვილი** (მძიმე) მეორე პრიზიორები გახდნენ. მემარნიშვილმა შემდეგ მოიგო ალექსანდრე მედვედის ტურნირი (მინსკი) და "მეგობრობა 84" სოფიაში (ბელარუსის სახელით). ხაბელოვი კი, რომელიც მაშინ ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობდა, იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე თავის წონაში უძლიერესი იყო. სსრკ ნაკრებში **მამუკა რაზმაძე** (90) და **დავით გობეჯიშვილი** (მძიმე) ოქროს მედალოსნები გახდნენ იუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირში. გობეჯიშვილი სსრკ ნაკრებში, გიოტებორგის საერთაშორისო ტურნირში, "ლომის თასზე" მესამე ადგილზე გავიდა. მინსკში თავიანთი საკავშირო პირველობა ჩაატარეს სტუდენტურმა სპორტკლუბებმა. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ **მამუკა ყლაჯეიშვილი** (74) და **ზაზა თურმანიძე** (მძიმე), მეორე ადგილზე გავიდნენ **მიხეილ ხითარიძე** (68) და **მამუკა ხურციძე** (90), მესამეზე **გია ყურაშვილი** (100).

ახლა, ახალგზარდულ და ჭაბუკთა ასპარეზობების შესახებ. კიშინიოვის ახალგაზრდული საკავშირო ტურნირიდან ოქროს მედლებით ბრუნდებიან **გივი კვარაცხელია** (60), **გია კვინიკაძე** (70), **ელგუჯა კვარაცხელია** (75) და **როლანდ ქორიძე** (81), მესამე ადგილზე გავიდნენ **გია სისაური** (65), **ემზარ ხაჩიძე** (75) და **დავით კვინიკაძე** (97). "მეგობრობის" დევიზით ბუქარესტში ჩატარდა საერთაშორისო ახალგზარდული ტურნირი. გამარჯვებულთა შორის იყო **ლევან ებანოიძე** (მძიმე), ვერცხლის მედალი მოიგო **დავით ხურციამ** (75). ხურციამ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზეც იასპარეზა და აქაც მეორე იყო. ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს **ანზორ გოგრიჭიანმა** (70), მეორე ადგილზე, ხურციას გარდა, გავიდა **კობა კუპატაძე** (97), ბრინჯაოს მედლით დაასრულა ასპარეზობა **ალექსანდრე ხუბულურმა** (97). გუნდი მეორე ადგილს დასჯერდა.

გლდანის სკოლა-ინტერნატი სპორტის რამდენიმე სახეობაში ნიჭიერ მოზარდთა დაოსტატების კერად იქცა, რაც აქ მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების დამსახურება იყო. ამ სკოლის აღსაზრდელებმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშიც არაერთხელ ისახელეს თავი. ჩვენმა ინტერნატელებმა ერევანში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში საქართველოს ნაკრების სახელით იასპარეზეს ორ ასაკობრივ ჯგუფში და წარმატებითაც. უმცროს ასაკში (1969-70 წლიანები) ტურნირი მოიგეს **გია სულთანიშვილმა** (70), მეორე იყო **ალექსანდრე მამალაძე** (60), მესამე - ტყუპი ძმები **მამუკა და გია ნატროშვილები** (შესაბამისად 38 და 41 კგ. წონით კატეგორიებში). უფროს ასაკობრივ ჯგუფში (1967-68) გაიმარჯვეს **პაატა მაისურაძემ** (45), **ვაჟა ჭუნაშვილმა** (52) და **ბაკურ სირაძემ** (60). მინსკში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა საკავშირო ასპარეზობაზე საქართველოდან ხაშურის ნაკრები მიავლინეს. მწვრთნელ **მევლუდ ჭელიძის** შეგირდებმა ფურორი მოახდინეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. პირად პირველობაში ყველას აჯობეს **გიორგი კილაძემ** (29), **ავთანდილ ელბაქიძემ** (44), **პაატა მიქელაშვილმა** (50) და **გია ფანჩვიძემ** (76). მეორე ადგილზე გავიდნენ **აკოფ აკოფოვი** (41) და **გურამ ბითარიშვილი** (54). პოლონეთში (ლოძი) ჭაბუკთა ევროპის პირველობიდან შინ ოქროს მედლით დაბრუნდა **თამაზ ინდუაშვილი** (87).

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულ ყულაბას ოქროს მედლები შემატეს **დავით ხურციამ** (75), **სოლომონ აბაშვილმა** (81), **არსენ მაისურაძემ** (87) და **ლევან ებანოიძემ** (მძიმე). მეორე ადგილზე გავიდა **კობა ლოჩოშვილი** (მძიმე). გუნდი კი მეორე იყო.

**სამბო.** "მეგობრობა 84-ის" პროგრამით მონღოლეთში გამართულ ტურნირში საქართველოდან სსრკ ნაკრებში **სერგეი ტერნოვიხი** (52) გახდა მეორე პრიზიორი. შემდეგ მან პირველად მოიგო მოზრდილთა შორის მსოფლიო პირველობა (მადრიდი). იმ წელს ტერნოვიხმა კიდევ ერთი ჯილდო დაიმსახურა. ეს იყო რიბინსკში სსრკ პირველობაზე მოპოვებული ვერცხლის მედალი. სამბოს ფუძემდებლის ანატოლი ხარლამპიევის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება იზეიმა **თამაზ ჯველიძემ** (74). **შალვა პაპინაშვილი** (52), 19 წლის ფალავანი კასპის რაიონის სოფელ ხოვლედან, სსრკ იუნიორთა ნაკრებში შეიყვანეს და გაამართლა კიდეც მწვრთნელთა ნდობა. მადრიდში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მან ოქრო მოიგო. საქართველოს ნარგზავნილთა შთამბეჭდავი გამარჯვებით აღინიშნა "იმედის თასის" საკავშირო ტურნირი (ტაშკენტი). პირადი პირველობა ოქროს მედლების მოპოვებით დაასრულეს **კახა კიბორძალიძემ** (70), **თამაზ ჭელიძემ** (75), **ზაზა ბერიკაშვილმა** (81) და **პაატა ჭელიძემ** (მძიმე), ვერცხლის მედლით დაჯილდოვდნენ **ლუხუმ სუხაშვილი** (48) და **ვანო ჯინჭარაძე** (87), ბრინჯაოს მედლით **დავით გაგუნაშვილი** (48) და **რამაზ გოგიაშვილი** (70).

**ქართული ჭიდაობა.** **მალხაზ ბერუაშვილი** მესამედ დაეუფლა საქართველოს ფალავნის ტიტულს.

**კრივი.** სპორტის ამ სახეობაში თაობათა ცვლა გრძელდებოდა. დიდ რინგზე ადგილს თამამად იმკვიდრებენ ახალგაზრდები. ტაშკენტში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გამართულმა ტურნირმა, ერთბაშად საქართველოს შვიდ წარმომადგენელს მოუტანა სასპარტაკიადო ჯილდო: ოქროს მედალს დაეუფლნენ **ხვიჩა ხდრიანი** (54) და **გია წერედიანი** (57), ვერცხლისას - **არტურ ასატუროვი** (60), ბრინჯაო წილად ხვდათ **ნიკოლოზ სუხაშვილს** (63), **ემელიან ჭულუხიძეს** (74), **მოსე გოლაძეს** (79) და **ელდარ გაბრიჩიძეს** (მძიმე). თბილისის 164-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ხვიჩა ხდრიანი იუნიორთა საკავშირო ნაკრებში ჩარიცხეს და ევროპის პირველობაზეც (ტამპერე, ფინეთი) უძლიერესის სახელი მოიპოვა. შემდეგ მან გდრ-ში ახალგაზრდებს შორის გამართული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირიც მოიგო, თანაც, ფინალში კუბელ კარიანსის სძლია.

1984 წელს საქართველოში ორი მაღალი რანგის ტურნირი გაიმართა: გუდაუთაში საკავშირო, ხოლო თბილისში საერთაშორისო. გუდაუთაში ჩვენებიდან პირველ ადგილზე გავიდნენ **ვაზგენ უზლიანი, ლევან ბალდასარიანი, მამუკა სუთიძე, ალექსანდრე ანტონიანი, მევლუდ სარხუშოვი, სერგეი გიგოლაევი, ვლადიმერ ცარუკიანი** და **დავით არუთინოვი**. როგორც ხედავთ, ეს იყო ბრწყინვალე წარმატება. ფაქტობრივად, ყველა წონით კატეგორიაში გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ წილად. საერთაშორისო ტურნირზე კი, თბილისში, საქართველოს რჩეული მოკრივეები სსრკ ახალგზარდულ ნაკრებში გამოდიოდნენ. აქ პირველ ადგილზე **დავით შარვაშიძე** (54) გავიდა, მეორე ადგილი დაიკავეს **ივანე ბახტაძემ** (63,5), **ბესიკ გურჯიამ** (67) და **ელდარ გაბრიჩიძემ** (91), მესამე **რამინ ყურბანოვმა** (51), **დავით ფურცხვანიძემ** (67) და **ლევონ მარქარიანმა** (75). საქართველოს ნარგზავნილებმა წარმატებით დაასრულეს კიდევ ერთი საკავშირო ტურნირი. ეს იყო მოზარდთა ასპარეზობა, რომელიც კრასნოდარში ჩატარდა. გამარჯვებულთა შორის იყვნენ **დათო კაზიშვილი** (44) და **ზვიად გეთანაშვილი** (52), მეორე ადგილზე გავიდნენ **კობა კოროხაშვილი, იგორ მაკაროვი** და **არამ მხითარიანი**, მესამეზე **ზურაბ ბუმბიაშვილი** და **ნუგზარ ტატაროვი**.

*გაგრძელება იქნება*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# ვატო vs ჰერბერტი



ნიკა ცქიტიშვილი

საფლეიოფო შანსებზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. ჯერ დარჩენილი 3 ტურის მატჩების განრიგს შემოგთავაზებთ, შემდეგ სადღეისო სატურნირო მდგომარეობას.

ესპანეთის ჩემპიონატი. 31-ე ტური. 1. ტაუ -24, 2. რეალი - 23 მოგება, 3. ბარსელონა - 21, 4. ხუვენტუდი - 20, 5. ხირონა -19, 6. გრან კანარია - 18, 7. უნიკახა -16, 8. ვალენსია -16 / 9. ესტუდიანტესი - 15, 10. კახა - 14, 11. ფუენლაბრადა -13, 12. ბილბაო - 13, 13. გრანადა - 12, 14. ალიკანტე -12, 15. ვალიადოლიდი -12, 16. მურსია - 11, 17. მენორკა - 10, 18. ბრუესა - 8.

იტალიის ჩემპიონატში **ვლადიმერ ბოისას** 22-ქულიან გაბრწყინებაზე შაბათის ნომერში გესაუბრეთ. დღეს მხოლოდ მისი გუნდის, "მონტეპასკის" წარმატებაზე მოგითხრობთ. სიენურმა კლუბმა მორიგი კონკურენტი დაამარცხა - ტრევიზოში "ბენეტონს" სძლია. "მონტეპასკის" ვებ-გვერდზე ამ თამაშის 4 ფოტოდან ერთ-ერთში ბოისას ეფექტური შეტევაა აღბეჭდილი და ვიდრე ოქმს ვნახავდი, მეგონა ამჯერადაც 20 ქულას უწია-მეთქი, მაგრამ ეს სურათი სწორედ იმ ერთადერთი შეტევისასაა გადაღებული, რომელიც ბოისამ 2-ქულიანით დააგვირგვინა. მან 6 წუთში მეტი ვერაფერი მოასწრო.

იტალიის ჩემპიონატი. 30 ტურის შემდეგ. **1. მონტეპასკი - 26 მოგება**, 2. რომა -19, 3. მილანი -19, 4. ბენეტონი - 18, 5. ვიდივიჩი - 18, **6. ნაპოლი -17**, 7. კანტუ -15, 8. პრემიატა -15, 9. ვარეზე -15 10. ბიელა -15, 11. სკაფატი -14, 12. კლიმამიო -13, 13. უპეა - 12, 14. უდინე -12, 15. სივილია - 11, 16. აველინო - 11, 17. რეჯო ემილია - 11, 18. ლივორნო - 8.

ესპანეთის მსგავსად გასულ კვირას სლოვენიის ჩემპიონატშიც ორი ტური გაიმართა. ორივე შემთხვევაში **მანუჩარ მარკოიშვილის** "ოლიმპია" აუტსაიდერებს დაუპირისპირდა. სტუმრად ჯერ "ალპოსს" სძლია, შემდეგ - "ლოკას".

ამ შეხვედრებში მანუჩარის მონაგარიც ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა: ორივე შემთხვევაში 6 ორქულიანი, 7 საჯარიმო და 1 სამქულიანი სტყორცნა. "ალპოსთან" თითო ორიანი და საჯარიმო ააცილა, ხოლო "ლოკასთან" ყველა დისტანციიდან ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა. საინტერესოა, რომ სლოვენიურ საიტზე ქულათა საბოლოო მაჩვენებელიც იდენტური უწერია - 15. მაგრამ ეს შეცდომაა. მანუმ 15 ქულა "ალპოსს" ჩაუგდო, ხოლო "ლოკასთან" 22 ქულა მოუგროვდა.

სლოვენიის ჩემპიონატი. 8 ტურის შემდეგ. **1. ოლიმპია - 7 მოგება**, 2. ჰელიოსი - 7, 3. ელექტრა - 5, 4. სლოვანი - 5, 5. ზლატოროგი - 4, 6. კრკა - 3, 7. ლოკა - 1, 8. ალპოსი -0

საფრანგეთის ჩემპიონატში **ვატო ნაცვლიშვილის** "დიჟონმა" საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, **გორდონ ჰერბერტის** ყოფილი გუნდი "პარიზი" სტუმრად დაამარცხა, ხოლო ამჟამინდელთან "პო ორტეზთან" შინ წააგო - 80:95.

ამ შეხვედრის მიხედვით გორდონ ჰერბერტმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, რომ 31 წლის ვატო 26 წუთში არ იღლება და გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია - "პოს" 11 ქულა ჩაუგდო. ბოლოს დავძენთ, როგორც "პო ორტეზი", ასევე "დიჟონი" ფლეი ოფის ზონაში (12-ეულში) არიან და ძნელი სავარაუდოა, დარჩენილ სამ ტურში მათ პოზიციები დათმონ.

საფრანგეთის ჩემპიონატი. 31-ე ტური. 1. ნანსი - 23 მოგება, 2. რონანი - 21, 3. შალონი - 21, 4. სტრასბური - 20, 5. ლე მანი - 19, 6. ვილერბანი - 18, 7. პო ორტეზი - 17, 8. ორლეანი - 17, 9. შოლე - 17, 10. დიჟონი - 16, 11. გრაველინი - 16, 12. ლე ავრი - 15, 13. კლერმონი - 13, 14. პარიზი - 12, 15. ბეზანსონი - 11, 16. ტულონი -11, 17. ბურჟი - 7, 18. რეიმსი - 5.

ლიტვის ჩემპიონატის მეოთხედფინალში **სერგო ათუაშვილის** "ნეპტუნასმა" განმეორებით შეხვედრაშიც დაამარცხა **ტატო ვაშაკიძის** "ნევეჟისი" (82:81) და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ფინალში გასვლა კი ერთი-ორად რთული ამოცანა იქნება, რადგან ნახევარფინალში "ნეპტუნასი" "ლიეტუვოს რიტასს" გაეჯიბრება.

ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი პირადი რეკორდი დაამყარა **ნიკა ცქიტიშვილმა**, რომელმაც ჩემპიონ "უნიკახასთან" 27 წუთი ითამაშა. რადგან მწვრთნელი ენდო, ვივარაუდოთ, რომ ნიკა თამაშში კარგად ჩაერთო, თუმცა, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით შეტევაში არ უაქტიურია - 2 ორქულიანი და 1 სამიანი სტყორცნა. 2 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი - ასე დაასრულა ქართველმა "უნიკახასთან" მატჩი. "კახა სან ფერნანდომ" კი მეტად პრინციპული შეხვედრა მოიგო. ჩემპიონი სევილიაში ბოლო წუთებზე დაამარცხა - 68:66.

მომდევნო მატჩში მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა: ნიკამ იაქტიურა (3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო), 4 ქულას 6 მოხსნაც მიაყოლა, მაგრამ მხოლოდ 14 წუთი ითამაშა. "კახამ" კი სტუმრად ვერაფერი დააკლო ევროთასის მომგებ "ხისონას" - 76:80.

გასულ კვირას **ვიქტორ სანიკიძის** "ესტუდიანტესმა" ორივე მატჩი წააგო და ფლეი ოფის ზონიდან (საუკეთესო რვაეული) მეცხრე ადგილზე ჩაინაცვლა. ქართველმა ფორვარდმა ჯამში 9 წუთი ითამაშა და 2 ქულას დასჯერდა.

კარგი იქნებოდა ფლეი ოფში ვიქტორისა და ნიკას ერთობლივად ხილვა, მაგრამ ამის შანსი ძალიან მცირეა. სადღეისოდ სანიკიძის "ესტუ" მე-9 პოზიციაზეა, ნიკას "კახა" მეათეზე. მათ დარჩენილ 3 ტურში დიდი ოფლისღვრა დასჭირდებათ ფლეი ოფის ზონიდან "ვალენსიისა" და "უნიკახას"გამოსაძევებლად. თუკი "კახა სან ფერნანდო" სანახევროდ მეტოქეთა შედეგებზე იქნება დამოკიდებული, "ესტუდიანტესის" მომდევნო ეტაპზე გასვლა - მხოლოდ სანიკიძის თანაგუნდელებზე. დარჩენილი სამიდან ორ მატჩში ისინი უშუალო მეტოქეებს ("ვალენსიასა" და "უნიკახას") ეთამაშებიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 16.04 | მილუოკი-ატლანტა 102:96 | არ უთამაშია | | | | |
| | | 17.04 | ატლანტა-ინდიანა 118:102 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 19.04 | გრან კანარია-ესტუდიანტესი 79:54 | 9 | 1 | 1 | 0 | 2 |
| | ესპანეთი (ჩ.) | 22.04 | ესტუდიანტესი-ტაუ 72:93 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 19.04 | კახა-უნიკახა 68:66 | 27 | 5 | 1 | 0 | 2 |
| | ესპანეთი (ჩ.) | 22.04 | ხირონა-კახა 80:76 | 14 | 6 | 0 | 0 | 4 |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (თ.) | 17.04 | პარიზი-დიჟონი 76:78 | 9 | 0 | 1 | 0 | 2 |
| | საფრანგეთი (ჩ.) | 21.04 | დიჟონი-პო ორტეზი 80:95 | 26 | 4 | 0 | 0 | 11 |
| ვლადიმერ ბოისა | იტალია (ჩ.) | 19.04 | მონტეპასკი-სნაიდერო 98:78 | 22 | 2 | 0 | 0 | 20 |
| | იტალია (ჩ.) | 22.04 | ბენეტონი-მონტეპასკი 67:78 | 6 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 19.04 | ნაპოლი-ბიელა 79:67 | 28 | 7 | 5 | 1 | 8 |
| | იტალია (ჩ.) | 22.04 | ვირტუსი-ნაპოლი 84:51 | 34 | 3 | 2 | 2 | 11 |
| მანუ მარკოიშვილი | სლოვენია (ჩ.) | 18.04 | ალპოსი-ოლიმპია 85:94 | 40 | 3 | 3 | 2 | 15 |
| | სლოვენია (ჩ.) | 21.04 | ლოკა-ოლიმპია 62:83 | 23 | 4 | 1 | 0 | 15 |
| სერგო ათუაშვილი | ლიტვა (ჩ.) | 15.04 | ნევეჟისი-ნეპტუნასი 81:82 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ტატო ვაშაკიძე | ლიტვა (ჩ.) | 15.04 | ნევეჟისი-ნეპტუნასი 81:82 | არ უთამაშია | | | | |

## კრივი

# ათივე მედლით დაბრუნდა



გიორგი ნაკანი

**როგორც** გუშინ გაცნობეთ, საქართველოს მოკრივეთა ეროვნულმა ნაკრებმა კიევის დიდ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა. გუშინ, მხოლოდ თითო ოქრო-ვერცხლის მედალი გამცნეთ, ოღონდ ისიც ვთქვით, რომ დაუზუსტებელი ინფორმაცია გვქონდა. გუშინ კი, მთელი ტურნირის დეტალური შედეგები გავიგეთ. თუკი ამასწინათ, ბაქოში, საქართველოს ნაკრებმა რვა მედალი მოიპოვა, კიევიდან ათივე მოკრივე მედლით დაბრუნდა თბილისში. გვესაუბრება საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ავთანდილ შოშიაშვილი.

- **კიევში** 25 ქვეყნის 160 მოკრივე ორ 80-კაციან ჯგუფად განაწილდა. პირველი ჯგუფი ჩვეულებრივი, A კატეგორიის ტურნირი იყო, რომელში თავგამოჩენილებიც ძმები კლიჩკოების დაფინანსებული კომერციული ტურნირის სუპერფინალში გადადიოდნენ. სუპერფინალში გამარჯვებული 500 ამერიკული დოლარით ჯილდოვდებოდა, ხოლო მეორე-მესამეადგილოსნები, შესაბამისად, 300 და 100 დოლარს იღებდნენ. ჩვენი გუნდიდან, ფულადი პრემიები დაიმსახურეს **ზვიად ხადურმა** და **გიორგი ნაკანმა**. თუმცა, მოდი, მივყვეთ თანმიმდევრობით.

48 კილოგრამში, **ზვიად ხადურმა** პირველ ტურნირში თურქი მეტოქე დაამარცხა და სუპერფინალში გადავიდა. იქ, გადამწყვეტ ბრძოლაში ხადური უკრაინის პირველ ნომერ არტიომ დალაქიანთან 6 ქულით დამარცხდა.

51 კილოგრამში მონაწილე არ გვყოლია. 54-ში, **ზვიად იზორიამ** მასპინძელ ევროპის ჩემპიონ მაქსიმ ტრეტიაკს კი მოუგო, მაგრამ ნახევარფინალში უზბეკ დანიეროვთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

57 კილოგრამში, **კობა ფხაკაძემ** ალჟირელ ალ ტაკის იოლად მოუგო. თუმცა, ფინალში გადასასვლელ ბრძოლაში მასპინძელმა ბუკრეევმა დაამარცხა და მესამე ადგილს დააჯერა.

60 კილოგრამში, ნახევარფინალში გავიდა **ვასილ ყაზიშვილიც**, სადაც უკრაინელ ვლადიმერ მატვეიჩუკთან შეხვედრა ფრედ (15:15) დაასრულა. დამატებითი მაჩვენებლებით ყველა ვარიანტში ყაზიშვილისთვის უნდა მიეცათ გამარჯვება, რაც კომპიუტერმაც აჩვენა და მოგვიანებით, მთავარმა მსაჯმაც აღიარა, მაგრამ როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, იმ მომენტში, მასპინძლისკენ გადიახარნენ, შედეგი ძალაში დატოვეს და ყაზიშვილს მესამე ადგილი შერჩა.

ყველაზე დიდი კონკურენცია იყო 64 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც 21 მონაწილე გამოდიოდა. აქ **ლევან ღვამიჩავამ** ლამაზ სტილში დაამარცხა აზერბაიჯანელი სეიმურ ყურბანოვი, ფინალში კი ყაზახ დარხან აშიროვთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

იგივე სინჯის მედალი მოიპოვა **კახა ჟვანიამ** (69 კგ). თავიდან, ათქულიანი სხვაობით გაანადგურა რუსი ისლამ ედისულთანოვი, მერე ალჟირელი კადირ ჰანოუნი გამოთიშა შეჯიბრს და ფინალში გავიდა, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, უზბეკ ბილშოთ მაჰმუდოვს დაუპირისპირდა. კახამ კარგად იჩხუბა, მაგრამ უძლიერეს მეტოქესთან სამქულიანი სხვაობით წააგო.

ბაქოს ტურნირის მსგავსად, კიევში მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზა **გიორგი ნაკანმა** (75 კგ). ალჟირელი და ტუნისელი მეტოქეების ჩამოცილების შემდეგ, გიორგი უკრაინის ნაკრების პირველ ნომერ არსენ მარტიროსიანს შეხვდა ფინალში. ოთხი რაუნდის შემდეგ, ტაბლოზე 15:15 ენთო და მასპინძლებს აქაც უნდოდათ, რომ გამარჯვება წაერთმიათ. თუმცა, ამჯერად, დროულად ჩავერიეთ საქმეში და ამის უფლება არ მივეცით. კომპიუტერიდან დამატებითი მაჩვენებლების ამოყრამ აჩვენა, რომ ნაკანმა 49:42 მოიგო და გამარჯვებაც მას დარჩა. ამით, გიორგი სუპერფინალში გადავიდა, სადაც ტრავმირებული რუმინელი რინალდი არ გამოუცხადდა. შესაბამისად, ჩემპიონი ჩვენი მოკრივე გახდა.

81 კილოგრამში, ფინალში გადასასვლელი შეხვედრა წააგო **დავით ნიკლაურმა** და მესამე ადგილზე დაასრულა ტურნირი. იგი სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონი უზბეკ სატუევთან დაზაბულ ბრძოლაში, ქულებით დამარცხდა.

სამწუხაროდ, კიევის ტურნირმა საკადრო პრობლემა შეგვიქმნა 91 კილოგრამში. აქ ნახევარფინალურ ბრძოლაში, **იაგო კილაძე** ორი რაუნდის შემდეგ, ხუთი ქულით უგებდა აზერბაიჯანელ აგაბაროვს. სამწუხაროდ, მესამე რაუნდში ერთი საბედისწერო დარტყმა გაეპარა, რომლითაც ნოკაუტში აღმოჩნდა. კრივის წესების თანახმად, ასეთ შემთხვევაში, სპორტსმენმა 6 თვე უნდა დაისვენოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემოდგომით, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე, კილაძე ვერ იჩხუბებს. ის კი არადა, 91 კილოგრამში, მსოფლიო ჩემპიონატზე ალბათ არავის წავიყვანთ, რადგან ღირსეული შემცვლელი არ ჰყავს.

დაბოლოს, მძიმე წონით კატეგორიაზეც ვთქვათ, სადაც კიდევ ერთხელ ვიზარალეთ არაობიექტური მსაჯობის გამო. აქ, **ბექა ლობჟანიძე** ნახევარფინალში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონს, უზბეკ სარდორ აბდულაევს შეხვდა. ამ ბრძოლის ჩანაწერი რომ ნახოთ, კრივში ოდნავ ჩახედული კაციც კი იოლად მიხვდება, რომ ლობჟანიძემ გაიმარჯვა, მაგრამ მსაჯებმა სხვაგვარად განსაჯეს.

**- ორი ტურნირის შემდეგ გამოიკვეთა თუ არა ის შემადგენლობა, რომელიც სექტემბერში, პეკინის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე იჩხუბებს?**

- კონტურები გამოკვეთილია, მაგრამ არ მინდა, მოვლენებს გავასწრო. მსოფლიო ჩემპიონატამდე, მაისის პირველ ნახევარში, პრაღის ტურნირი გვაქვს. პრაღის გარდა, შემოდგომამდე, კიდევ ერთ ტურნირზე წასვლა გვინდა, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ გვაქვს, რომელ შეჯიბრებაში მივიღებთ მონაწილეობას. საქმე ის არის, რომ მოსკოვს ჩამოართვეს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა და ტურნირი სხვა ქვეყანაში გაიმართება. თავიდან, კორეაზე იყო საუბარი, ახლა კი აშშ-ს (ჩიკაგო) ვარიანტი წამოტივტივდა. შეიცვლება თარილიც და სწორედ ამას ველოდებით.

**კობა ხატისაშვილი**

## თარიღი

**თემურ ხუბულური.** დაიბადა. 24.04.1955. სკრა, გორი. ძიუდო (95 კგ). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1979, 81), 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ევროპის ორგზის ჩემპიონი (1976, 77) და მეორე პრიზიორი (1981), ევროპის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1977), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი (1979), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1979, 82), საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1976), საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1979). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა

ავტოსპორტი

## დაკარის მარშრუტი გაირკვა

საყოველთაოდ ცნობილი რალი-რეიდის - "დაკარის" ორგანიზატორებმა 2008 წლის რბოლის დეტალები გაახმოვანეს.

გაისად, "დაკარი" 5 იანვარს, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში აიღებს სტარტს და 15 დღის შემდეგ, სენეგალის დედაქალაქში დასრულდება. რალი-რეიდის მარშრუტი პორტუგალიის, მაროკოს, მავრიტანიისა და სენეგალის ტერიტორიაზე გაივლის. 2007 წლისგან განსხვავებით, ამ ჩამონათვალში ვერ მოხვდა მალი.

ჯამში, "დაკარი 2008"-ის სიგრძე 6 ათასი კილომეტრი იქნება - 1700 კილომეტრით მეტი, ვიდრე წელს.

ჩოგბურთი

## კლაისტერსი უიმბლდონის შემდეგ წავა

ბელგიელმა ჩოგბურთელმა **კიმ კლაისტერსმა** ივლისში გაგეგმილ საკუთარ ქორწილს, თითქმის მთელი წლევანდელი სეზონი გადააყოლა. ცნობილი იყო, რომ კლასიფიკაციის მეოთხე ჩოგანი მონაწილეობას არ მიიღებდა საფრანგეთის ღია პირველობაზე, გუშინ კი გაირკვა, რომ ბელგიელი არც აშშ-ის ღიაზე ითამაშებს.

ასე რომ, კლაისტერსი უიმბლდონის შემდეგ დაასრულებს თავის კარიერას. კიმი ამ ტურნირზე წყვილთა თანრიგშიც აპირებს გამოსვლას და ამას შემდეგნაირად ხსნის: *"თუ ერთეულთა თანრიგში გამოვვარდი, წყვილებში თამაში საშუალებას მომცემს, უფრო დიდხანს დავრჩე ჩემს საყვარელ ტურნირზე"*.

შეგახსენებთ, რომ 14 ივლისს, კლაისტერსი ამერიკელ კალათბურთელ **ბრაიან ლინჩზე** ქორწინდება.

# ჩოგბურთი

## ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი

| აშშ-ბელგია | 5:0 |
|---|---|
| 1:0 ვენუს უილიამსი-კირსტენ ფლიპკენსი | 7:5, 6:2 |
| 2:0 სერენა უილიამსი-კაროლინ მაესი | 6:1, 6:4 |
| 3:0 ვანია კინგი-კირსტენ ფლიპკენსი | 4:6, 6:4, 7:5 |
| 4:0 ვენუს უილიამსი-იანინა ვიკმაიერი | 6:1, 6:2 |
| 5:0 კინგი/რეიმონდი-ვენდლერი/მაესი | 6:1, 6:2 |

| რუსეთი-ესპანეთი | 5:0 |
|---|---|
| 1:0 ნადია პეტროვა-ანაბელ მედინა გარიგესი | 6:3, 6:4 |
| 2:0 სვეტლანა კუზნეცოვა-ლურდეს დომინგეს ლინო | 6:3, 6:2 |
| 3:0 სვეტლანა კუზნეცოვა-ანაბელ მედინა გარიგესი | 6:3, 4:6, 6:0 |
| 4:0 ანა ჩაკვეტაძე-ნურია ლაგოსტერა ვივესი | 3:6, 7:6(5), 6:2 |
| 5:0 პეტროვა/ვესნინა-დომინგეს ლინო /პოუს ტიო | 6:1, 4:6, 6:2 |

| საფრანგეთი-იაპონია | 5:0 |
|---|---|
| 1:0 ნატალი დეში-აი სუგიამა | 7:5, 6:1 |
| 2:0 ტატიანა გოლოვინი-აკიკო მორიგამი | 6:2. 6:4 |
| 3:0 ტატიანა გოლოვინი-აი სუგიამა | 7:6(3), 6:0 |
| 4:0 ვირჟინ რაზანო-აკიკო მორიგამი | 7:6(4), 1:6, 6:2 |
| 5:0 ბრემონი/დეში-მორიტა/სუგიამა | 6:1, 6:2 |

| იტალია-ჩინეთი | 2:0 |
|---|---|
| 1:0 ტატიანა გარბინი-ტიან ტიან სუნი | 6:4, 2:6, 6:3 |
| 2:0 ფლავია პენეტა-შუაი პენგი | 0:6, 7:5, 3:0 პენგის უარი |
| 3:0 ტატიანა გარბინი-შუაი პენგი | 3:6, 6:2, 6:4 |
| 4:0 მარა სანტანჯელო-ტიან ტიან სუნი | 6:4, 6:2 |
| 5:0 სანტანჯელო/ვინჩი-შენ ნან სუნი/ტიან ტიან სუნი | 6:2, 6:4 |

1/2 ფინალი

აშშ-რუსეთი

იტალია-საფრანგეთი

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7290 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4875 |
| 3(3). ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 5(6). ტომი რობრედო (ესპ) | 2595 |
| 6(7). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2595 |
| 7(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2535 |
| 8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2220 |
| 9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2150 |
| 10(10). ენდი მარეი (ბრიტ) | 2120 |
| 11(11). ტომი ჰაასი (გერ) | 2100 |
| 12(14). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1905 |
| 13(13). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 1775 |
| 14(12). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1765 |
| 15(15). რიშარ გასკე (საფ) | 1745 |
| 16(16). დავიდ ფერერი (ესპ) | 1615 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1575 |
| 18(21). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1380 |
| 19(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1320 |
| 20(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1250 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 346 |
| 2(6). რაფაელ ნადალი (ესპ) | 305 |
| 3(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 287 |
| 4(3). ენდი მარეი (ბრიტ) | 212 |
| 5(4). ენდი როდიკი (აშშ) | 210 |
| 6(5). ტომი ჰაასი (გერ) | 209 |
| 7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 195 |
| 8(8). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 171 |
| 9(9). მიხაილ იუჟნი (რუს) | 159 |
| 10(10). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 153 |
| 11(12). დავიდ ფერერი (ესპ) | 145 |
| 12(15). ტომი რობრედო (ესპ) | 127 |
| 13(11). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 125 |
| 14(22). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 121 |
| 15(12). გილერმო კანიასი (არგ) | 120 |
| 16(14). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 119 |
| 17(19). რიშარ გასკე (საფ) | 110 |
| 18(21). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 103 |
| 19(16). მარდი ფიში (აშშ) | 99 |
| 20(35). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 96 |

# მოტორბოლი

## მსოფლიო ჩემპიონატი

### თურქეთის გრან-პრი

III ეტაპი

**125 კუბ.სმ (19 წრე - 101.460 კმ)**

1. კორსი (იტალია, "აპრილია") - 40:03.557; 2. ოლივე (ესპანეთი, "აპრილია") - +0.098; 3. კოიამა (იაპონია, KTM) - +1.943; 4. დე როსა (იტალია, "აპრილია") - +2.191; 5. ტალმაში (უნგრეთი, "აპრილია") - +2.646.

საერთო ჩათვლა: 1. ტალმაში - 56 ქულა; 2. ფაუბელი (ესპანეთი, "აპრილია") - 47; 3. პეშეკი (ჩეხეთი, "დერბი") - 46; 4. კორსი - 36; 5. ოლივე - 33.

**250 კუბ.სმ (20 წრე - 106.800 კმ)**

1. დოვიციოზო (იტალია, "ჰონდა") - 39:31.153; 2. ლორენსო (ესპანეთი, "აპრილია") - +0.103; 3. ბაუტისტა (ესპანეთი, "აპრილია") - +0.318; 4. დე ანჯელისი (სან მარინო, "აპრილია") - +4.894; 5. ლიუტი (შვეიცრია, "აპრილია") - +19.755.

საერთო ჩათვლა: 1. ლორენსო - 70 ქულა; 2. დოვიციოზო - 52; 3. დე ანჯელისი - 46; 4. ბაუტისტა - 36; 5. ბარბერა (ესპანეთი, "აპრილია") - 24.

**მოტოგრანპრი (22 წრე - 117.480 კმ)**

1. სტოუნერი (ავსტრალია, "დუკატი") - 42:02.050; 2. ელიასი (ესპანეთი, "ჰონდა") - +6.207; 3. კაპიროსი (იტალია, "დუკატი") - +8.102; 4. ბარუში (ბრაზილია, "დუკატი") - +8.135; 5. მელანდრი (იტალია, "ჰონდა") - +8.289.

საერთო ჩათვლა: 1. სტოუნერი - 61 ქულა; 2. როსი (იტალია, "იამაჰა") - 51; 3. პედროსა (ესპანეთი, "ჰონდა") - 36; 4. ელიასი - 35; 5. მელანდრი - 30.

# მძლეოსნობა

ლონდონის მარათონი

## პირველი ჩინელი ჩემპიონი



მარტინ ლელი



ჭოუ ჩუნსიუ

**ჭოუ ჩუნსიუ** არის პირველი ჩინელი მორბენალი, ვინც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, ლონდონის მარათონის ქალთა ასპარეზობა მოიგო. ჩუნსიუმ პირველად იასპარეზა აზიის გარეთ და მისი დებიუტი წარმატებული გამოდგა. მართალია, თავისი კარიერის საუკეთესო შედეგზე უარესი დრო დააფიქსირა, მაგრამ მთავარია, რომ დიდი რბოლა მოიგო და ამით, სამუდამოდ დამკვიდრდა მარათონების ისტორიაში.

ჩინელმა, ვინც აზიის თამაშების ჩემპიონია, გადამწყვეტი შეტევა 37-ე კილომეტრზე წამოიწყო და იოლად ჩამოიტოვა ორი ფავორიტი - მსოფლიოს ჩემპიონი კროსში, კენიური წარმოშობის ჰოლანდიელი **ლორნა კიპლაგატი** და ეთიოპიელი **გეტე ვამი**, ვინც მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია 10 000 მეტრზე სირბილში.

საბოლოოდ, ვამი გამარჯვებულს წუთზე მეტით ჩამორჩა და მეორე ადგილს დასჯერდა, ბრინჯაო კი რუმინელმა **კონსტანტინა ტომესკუ-დიტამ** მოიპოვა. რაც შეეხება კიპლაგატს, ის კარგა ხანს ლიდერობდა ასპარეზობას, მაგრამ ბოლოს ძალიან დაიღალა და მეხუთე ადგილსღა დასჯერდა.

აღსანიშნავია, რომ ჩუნსიუმ თავისი კარიერის საუკეთესო შედეგი (2:19.51) შარშან, სეულის მარათონზე დააფიქსირა, რომელიც მისი ტრიუმფით დასრულდა. ის ერთადერთი ქალი მარათონელია, ვისაც ერთ სეზონში ოთხ მარათონზე აქვს ნაჩვენები 2:30-ზე უკეთესი დრო.

ლონდონის მარათონის შარშანდელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **დიინა კასტორმა** ამჯერად ლონდონში ასპარეზობა არ ისურვა. სამაგიეროდ, მან ერთი კვირის წინათ, ბოსტონის მარათონზე იასპარეზა, სადაც მეხუთე ადგილი დაიკავა.

გაცილებით საინტერესო გამოდგა კაცების ასპარეზობა, რომლის ფინიშზეც, პირველ სამ ადგილზე გასული მორბენლები ერთმანეთთან მხოლოდ ექვსმა წამმა დააშორა. გამარჯვება მოიპოვა კენიელმა **მარტინ ლელმა**, ვისაც ორი წლის წინათ ლონდონის მარათონი ჰქონდა მოგებული. მასთან მხოლოდ სამი წამი დათმო მაროკოელმა **აბდერრაჰიმ გუმრიმ**, ვინც კარიერაში პირველად იასპარეზა მარათონულ დისტანციაზე (42.195 კილომეტრი).

ლონდონის მარათონის შარშანდელი ჩემპიონი, კენიელი **ფელიქს ლიმო** კი ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა. სხვათა შორის, შარშანდელი მარათონის ფინიშზე ლიმომ სწორედ სპრინტერულ პაექრობაში დაჯაბნა ლელი.

მარათონზე რეალური ბრძოლა მაშინ დაიწყო, როცა მოწინავეებს ფინიშთან ორ კილომეტრზე ოდნავ მეტი აშორებდა. მოწინავეთა შორის კი სულ ექვსი მორბენალი იყო, რომელთა შორისაც იმყოფებოდნენ მარათონული დისტანციის ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორებიც არიან მსოფლიოს კენიელი რეკორდსმენი **პოლ ტერგატი**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მაროკოდან **ჟაუად ყარიბი** და ნიუ იორკის მარათონის ყოფილი ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი **ჰენდრიკ რამაალა**.

პირველობისთვის მოპაექრეთა ჯგუფს პირველები ტერგატი და რამაალა ჩამორჩნენ, ყარიბმა კი, ვინც 2005 წელს ლონდონში მეორე ადგილი დაიკავა, სპრინტში ვერ ივარგა და მეოთხე ადგილს დასჯერდა.

ხელი მოეცარა ლეგენდარულ ეთიოპიელ **ჰაილე გებრსელასიეს**. ის კარგა ხანს ლიდერთა შორის იყო და თითქოს, არც დაღლა ეტყობოდა, მაგრამ 30 კილომეტრის შემდეგ, მოულოდნელად შეწყვიტა ასპარეზობა. გებრე მუცელზე იკიდებდა ხელს და ტკივილისგან სახეც შეჭმუხნოდა. ალბათ, რალაცამ მაწყინაო - რბოლის დასრულების შემდეგ, თავი იმართლა ჟურნალისტების წინაშე.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ლონდონის მარათონი

**კაცები**

1. მარტინ ლელი (კენია) 2:07.41; 2. აბდერრაჰიმ გუმრი (მროკო) 2:07.44; 3. ფელიქს ლიმო (კენია) 2:07.47; 4. ჟაუად ყარიბი (მაროკო) 2:07:54; 5. ჰენდრიკ რამაალა (სამხ.აფრიკა) 2:07:56; 6. პოლ ტერგატი (კენია) 2:08:05; 7. რაიან ჰოლი (აშშ) 2:08:24; 8. მარმარილსონ დუშ სანტუში (ბრაზილია) 2:08:37; 9. დენ რობინსონი (ბრიტანეთი) 2:14:14; 10. ენდი ჯოუნსი (ბრიტანეთი) 2:17:49...

**ქალები**

1. ჭოუ ჩუნსიუ (ჩინეთი) 2: 20.38; 2. გეტე ვამი (ეთიოპია) 2:21.45; 3. კონსტანტინა ტომესკუ-დიტა (რუმინეთი) 2:23.55; 4. სალინა კოსგეი (კენია) 2:24:13; 5. ლორნა კიპლაგატი (ჰოლანდია) 2:24:46; 6. მარა იამაუჩი (ბრიტანეთი) 2:25:41; 7. ბენიტა ჯონსონი (ავსტრალია) 2:29:47; 8. ლიზ იელინგი (ბრიტანეთი) 2:30:44; 9. ინგა აბიტოვა (რუსეთი) 2:34:25; 10. ბერანე ადერე (ეთიოპია) 2:39:11...

2006-2007 წლების სეზონის დიდი მარათონების სერია

**კაცები**

1. რობერტ ჩერუიოტი (კენია) 75 ქულა; 2. 2006-2007 40; 3. ფელიქს ლიმო (კენია) 35...

**ქალები**

1. ელენა პროკოპჩუკა (ლატვია) 55 ქულა; 2. გეტე ვამი (ეთიოპია) 40; 3. რიტა ჯეპტოო (კენია) 35...

# ველოსპორტი

პრო ტური

## შუმახერი ამსტელის ოქროა



შუმახერი გამარჯვებას ზეიმობს

გერმანელი **შტეფან შუმახერის** გამარჯვებით დასრულდა პრო ტურის სერიის მორიგი კლასიკური რბოლა - "ამსტელ გოლდი". "გეროლშტაინერის" ველომრბოლმა ფინიშამდე სამიოდე კილომეტრით ადრე წამოიწყო გადამწყვეტი შეტევა და მიუხედავად იმისა, რომ მოწინავეთა ჯგუფში მყოფი მისი ყველა მეტოქე ფავორიტად იყო მიჩნეული, მაინც ეულად გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მოწინავეთა ჯგუფში კი იმყოფებოდნენ ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორებიც არიან შუმახერის იტალიელი თანაგუნდელი **დავიდე რებელინი**, ვისაც ამსტელის რბოლა სამი წლის წინათ აქვს მოგებული, მსოფლიოს ჩემპიონი, იტალიელი **პაოლო ბეტინი**, ამსტელ გოლდის ყოფილი ჩემპიონი და პრო ტურის სერიის პირველი გამარჯვებული, კიდევ ერთი იტალიელი **დანილო დი ლუკა** და პრო ტურის ახლანდელი ჩემპიონი, ესპანელი **ალეხანდრო ვალვერდე**.

როგორც წესი, კლასიკურ რბოლებში რებელინი ყოველთვის ფავორიტია ხოლმე, მაგრამ ამჯერად მან თავისი უმცროსი თანაგუნდელის სასარგებლოდ იმუშავა და სასურველ შედეგსაც მიაღწია. თავად კი ფინიში მეორემ გადაკვეთა, რაც სრულებით საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ პრო ტურის კლასიფიკაციაში დაწინაურებულიყო.

ნარბოლევს გამარჯვებულმა განაცხადა, სტარტის წინ არცთუ კარგად ვიყავი, მაგრამ რაც მეტ მანძილს გავდიოდით, მით უფრო მემატებოდა თავდაჯერებულობა, დისტანციის დასკვნით ნაწილში კი რებელინი ისე გაისარჯა, არ შეიძლებოდა, არ მომეგოო. ამსტელის რბოლამდე 25 წლის შუმახერის ანგარიშზე იყო გამარჯვებები პოლონეთისა და ბენელუქსის ტურებზე, ასევე შარშანდელ ჯიროზე მოგებული ორი ეტაპი.

რბოლის წინა დღეს იყო საუბარი იმაზე, რომ შუმახერი სტარტზე საერთოდ არ გავიდოდა. ამის მიზეზად კი ერთი კვირით ადრე, ბასკეთის რბოლაზე მის დაცემასა და მუხლის ტრავმას ასახელებდნენ - მუხლზე მას 12 ნაკერი ადევს. თავად ველომრბოლი ამბობს, რომ ავარიის მომდევნო დღეს მუხლი საშინლად დასიებული ჰქონდა. თუმცა დასვენებამ არგო და ამსტელის რბოლაში გამოსვლაც თავადვე გადაწყვიტა.

### ამსტელ გოლდის კლასიკური (252.2 კმ)

1. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 6:11.49 (40.697 კმ/სთ); 2. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 0.21; 3. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 0.22; 4. მათიას კესლერი (გერმანია, ასტანა) 0.23; 5. მიხაელ ბოოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.24; 6. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.27; 7. პაოლო ბეტინი (იტალია,ქვიკსტეპი) 0.27; 8. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) 1.07; 9. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 1.07; 10. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 1.07...

### პრო ტურის კლასიფიკაცია

1. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 92 ქულა; 2. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) 82; 3. სტიუარტ ო'გრეიდი (ავსტრალია, ) 79; 4. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 75; 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 58; 6. ხუან ხოსე ასებო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 57; 7. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპი) 57; 8. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 53...

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი ოფი. I წრე

# ლორდი ბაირონი



ბაირონ დევისმა დალდასს შავი დღე აყარა

**აღმოსავლეთი**

| კლივლენდი (2)–ვაშინგტონი (7) | 97:82 |
|---|---|

27:20, 21:21, 26:26, 23:15

**კლივლენდი:** ჰიუზი (27 ქ. 7 მ. 2 ჩ), ლ. ჯეიმსი (23 ქ. 9 პ. 7 მ. 2 ჩ), ილგაუსკასი (16 ქ. 8 მ), გუდენი (10 ქ. 6 მ).

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (28 ქ. 14 მ), ჯ. ჰეიესი (18 ქ), ა. დენიელსი (9 ქ. 11 პ. 7 მ).

**სერია 1:0**

ყველაზე უინტერესო, ყოველგვარ ინტრიგას მოკლებული სერია, სადაც "უიზარდსისთვის" თუნდაც ერთი მატჩის მოგება გმირობის ტოლფასი იქნება.

**ლებრონ ჯეიმსმა** და მისმა საძმომ, **უბატლერო, უარენასო** და უშანსო "ვაშინგტონის" წინააღმდეგ სერიაში, შემდგომი მატჩებისთვის, რაც შეიძლება მეტი ენერგია უნდა შემოინახოს.

"კავალიერსის" მეტოქეს "დიდი სამეულიდან" მხოლოდ მესამედი, ანუ **ანტუან ჯეიმისონი** შემორჩა, რომელიც კარგი კალათბურთელი კი არის, მაგრამ ამავე დროს, არასოდეს ყოფილა იმ დონის ვარსკვლავი, რომელიც მთელ გუნდს თავის მხარზე შემოიგდებს და მომდევნო წრეში გზას გაუკვალავს. ანტუანს თავის 20-22 ქულას ახლაც მისცემენ, მაგრამ დანარჩენებს ძალიან გაუჭირდებათ.

"ვაშინგტონის" მთავარი პრობლემა ძალიან მოკლე რეზერვია, რადგან ვინც კი სათადარიგოთა სკამზე რაიმეს წარმოადგენდა, ყველას ძირითადში თამაში უწევს.

"უიზარდსს" ლიტველი **დარიუს სონგაილას** იმედი ჰქონდა, მაგრამ **დრიუ გუდენისა** და თანამემამულე **ჟიდრუნას ილგაუსკასის** წინააღმდეგ ბრძოლაში, ნიჭიერმა ფორვარდმა 18 წუთში 6 ფოლი მიიღო და შეხვედრა სულ რაღაც 8 ქულითა და 1 მოხსნით დაასრულა. ამ სერიაში ყველაფერი მის დაწყებამდეც ნათელი გახლდათ.

**დასავლეთი**

| დალასი (1)–გ. სტეიტი (8) | 85:97 |
|---|---|

17:23, 21:15, 28:34, 19:25

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (21 ქ. 13 მ. 3 ჩ), დ. ჰარისი (19 ქ. 2 ჩ), ტერი (17 ქ), ნოვიცკი (14 ქ. 12 მ. 4 პ. 3 დ. 2 ჩ), ჯორჯი (10 ქ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (33 ქ. 14 მ. 8 პ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (23 ქ. 2 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (13 ქ. 6 მ), ბარნსი (10 ქ), ელ ჰარინგტონი (7 ქ. 10 მ).

**სერია 0:1**

მთავარი სენსაცია დალასში დაფიქსირდა, სადაც რეგულარულის ჩემპიონმა ფლეი ოფის მთავარმა ფავორიტმა - "მავერიქსმა" თბილი დახვედრა კი მოუწყო **დონ ნელსონს**, მაგრამ პასუხად, ფლეი ოფში ჭიპმოჭრილი სპეციალისტისგან მთლად ის ვერ მიიღო, რასაც გეგმავდა.

გააჩერეთ **დირკ ნოვიცკი** და "დალასის" დამარცხების რეალური შანსი გიჩნდებათ - ეს სლოგანი ბოლო წლებში ლამის აქსიომად იქცა, რაც აღნიშნულმა მატჩმაც დაადასტურა.

ნამატჩევს ნელსონი ალალად იტყვის - ეიფორიაში არ ვიმყოფებით, რადგან ყველას მშვენივრად გვესმის, რომ "მავერიქსი" ყველა თამაშს ასეთ დაბალ დონეზე ვერ ჩაატარებსო. მანვე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ფლეი ოფის დასრულების მერე, ჩემპიონის თასის ყველაზე რეალური ნავსაყუდელი, ალბათ, დალასი ან სან ანტონიოა.

ნოვიცკიმ თავის საფლეიოფო კარიერაში ერთ-ერთი უსუსტესი შეხვედრა ჩაატარა. გერმანელს მონაცვლეობით მეურვეობდნენ **ელ ჰარინგტონი, სტივენ ჯექსონი** ან ორივე ერთად, რაც დირკს დისკომფორტს უქმნიდა. მერე და მერე, ნელსონმა ნოვიცკი მცირე ხნით **მიკაელ პიეტრუსს** ჩააბარა, ბოლო მეოთხედში კი, "დალასის" ლიდერს გვერდით უკვე ნომინალური გამთამაშებელი **ბაირონ დევისი** ედგა.

*"დირკს მთელი მატჩის განმავლობაში უნდა შეუქმნა დისკომფორტი, რადგან საკმარისია, ყურადღება თუნდაც მცირე მონაკვეთით მოადუნო, რომ ის უპრობლემოდ დააგროვებს ზედიზედ 10-12 ქულას"*, - ეს ბებერი დონის სიტყვებია.

დევისი კი მართლაც შეუდარებელი იყო და ფლეი ოფის პირველი ორი დღის ტოპვარსკვლავიც გახდა. ამ უნიჭიერესმა, მაგრამ იარაღზე შეყვარებულმა და ძნელად პროგნოზირებადმა უკანახაზელმა, კარიერაში ყველაზე გამორჩეული თუ არა, ამას მიახლოვებული მატჩი ნაღდად ჩაატარა.

ბაირონი ბავშვივით უსწორდებოდა **ჯეისონ ტერის**, ჯანის ხარჯზე იოლად სცდებოდა **დევინ ჰარისს** და თუ თავად არ ასრულებდა "უორიორზის" შეტევებს, მაშინ საიუველირო პასებით თანაგუნდელებს ამარაგებდა.

14 მოხსნით დევისმა პირადი საფლეიოფო რეკორდი დაამყარა. ნელსონისგან განსხვავებით, იგი დარწმუნებულია, რომ მის გუნდს მეტოქის მოედანზე მეორე მატჩის მოგებაც შეუძლია.

*"დონი დიპლომატია, მე კი ერთი უბრალო მოთამაშე გახლავართ. "დალასს" ზედიზედ მეექვსედ მოვუგეთ და არ მესმის, რატომ უნდა გვქონდეს ამ გუნდისადმი შიშის გრძნობა? პირიქით, ახლა მათ ორმაგად უნდა იტეხონ თავი. თუ მეორე მატჩსაც მოვიგებთ, მაშინ ცალი ფეხით უკვე მეორე წრეში ვიქნებით"*, - დარწმუნებულია ბაირონი, რომელმაც მესამე მეოთხედში 19 ქულა და 5 მოხსნა დააგროვა.

"გოლდენ სტეიტმა" ფლეი ოფში 1992 წლის მერე პირველი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო გასვლაზე კი, კალიფორნიელებს ფლეი ოფში 1991 წლის 8 მაისის მერე ვერ მოეგოთ.

| ფინიქსი (2)–ლეიკერსი (7) | 95:87 |
|---|---|

18:23, 21:25, 35:29, 21:10

**ფინიქსი:** ბარბოსა (26 ქ. 5 მ. 2 ჩ), ა. სტაუდმაიერი (23 ქ. 12 მ. 2 ჩ. 2 დ), ნეში (20 ქ. 10 პ), მერიონი (16 ქ. 16 მ. 2 ჩ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (39 ქ. 5 მ), ოდომი (17 ქ. 16 მ), უოლტონი (10 ქ. 6 მ. 6 პ).

**სერია 1:0**

თუ გახსოვთ, ამ გუნდების შარშანდელ საფლეიოფო დაპირისპირებაში, **ფილ ჯექსონმა** ექსპერიმენტს მიმართა და **კობი ბრაიანტი** ქულების მომხვეჭი მანქანიდან ძირითად ფლეიმეიქერად გარდაქმნა, რომელიც ჯერ კარგ პოზიციაში მყოფ სხვა ლეიკერსელს ეძებდა, ხოლო მერე კი თავად იწყებდა მეტოქის კალათის ამოვსებაზე ფიქრს.

"ლეიკერსმა" მაშინ 3:1 დაწინაურება მოახერხა და რომ არა უაზრო, ბავშვური შეცდომები, კობი და კომპანია ულაპარაკოდ დაასამარებდნენ **სტივ ნეშის** არიზონულ მანქანას.

ამჯერად, კობი ყველაფერს თავის თავზე იღებდა და ამ მარტივმა, მაგრამ მანამდე არაერთგზის აპრობირებულმა სათამაშო გეგმამ, კინაღამ თავისი შედეგი მოიტანა.

პირველ ნახევარში ბრაიანტის ანგარიშზე 28 ქულა იყო, "სანზი" ყველაფერს აკეთებდა, რომ ოპონენტის ლიდერისთვის ზედმეტი პრობლემები არ შეექმნა.

მერე კი ძალა ბრაიანტსაც გამოელია და ლიგის პირველმა მექულემაც მიზანი ველარ გაასწორა. კობიმ ბოლო მეოთხედში თამაშიდან 10-დან 9 სროლა გააფუჭა, **ლეანდრო ბარბოსამ** კი პირიქით, დიდი შესვენების მერე შეახსენა ყველას, რომ წელს საუკეთესო რეზერვისტის პრიზს სწორედ იგი იმსახურებს - ბრაზილიელმა საპირველტაიმო 7 ქულას 19 შეაშველა და "ფინიქსმაც" გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეინარჩუნა საკუთარი მოედნის უპირატესობა.

| ს. ანტონიო (3)–დენვერი (6) | 89:95 |
|---|---|

16:21, 26:23, 24:23, 23:28

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (19 ქ. 8 პ. 6 მ. 2 ჩ), ფინლი (15 ქ), დანკანი (14 ქ. 10 მ. 7 პ. 3 დ), ორი (14 ქ).

**დენვერი:** აივერსონი (31 ქ. 5 პ), ენტონი (30 ქ. 8 მ), ნენე (13 ქ. 12 მ. 2 ჩ), კემბი (8 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ).

**სერია 0:1**

ფავორიტის სტატუსითა და ჩემპიონობის მეოთხედ მოპოვების წყურვილით აღვსილმა "სპურსმა", ზუსტად ისე დაიწყო ეს ფლეი ოფი, როგორც 2 წლის წინათ. **ტიმ დანკანი** და კომპანია, მაშინაც საშინაო მატჩში დამარცხდა "ნაგეტსთან" და მერე კი, მეტოქეს ზედიზედ ოთხჯერ მოუგო და იოლად გაიკვლია გზა შემდეგ ეტაპზე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინდელ "დენვერს" არ ჰყავდა ერთი ჩია ვარსკვლავი - **ალენ აივერსონი**.

ტეხასელებს ცუდად ნამდვილად არ უთამაშიათ. მათი ორი ვარსკვლავი (ტიმი და **ტონი პარკერი**), საფლეიოფოდ იშვიათ სამმაგ დუბლებთანაც ახლოს იყვნენ, თუმცა სტუმართა დამრტყმელი ძალის - **კარმელო ენტონისა** და აივერსონის წინააღმდეგ, ლიგის უძლიერეს დაცვას მაინც არაფერი გამოუვიდა.

**ნენემ** და **მარკუს კემბიმ** დანკანს სათარეშო სივრცე მაქსიმალურად შეუზღუდეს, ხოლო მისმა თანაგუნდელებმა კი, შექმნილი ნაპრალებით ვერ ისარგებლეს და გამარჯვებაც ერთი შეხედვით უფრო მშიერ "დენვერს" დარჩა.

"სპურსის" წაგების ერთ-ერთი მიზეზი **მანუ ჯინობილის** საშინელი თამაშიც იყო. არგენტინელმა, ვისაც ორი წლის წინათ გამართულ სერიაში, "დენვერის" თავკაცმა **ჯორჯ კარლმა** პლანეტის ყველაზე ბინძური მოთამაშე უწოდა, უამრავი შეცდომა დაუშვა, ძალიან ბევრი იოლი სროლა ვერ გამოიყენა და მისი საბოლოო სტატისტიკა ასე გამოიყურებოდა - 30 წუთი, 15 სროლა, 11 არაზუსტი, 5-დან 4 აცილებული სამქულიანი და ინერტული დაცვა ენტონიზე, რომელმაც ორჯერ ჯინობილის ბურთი თავზე გადაატენა.

"დენვერს" კი, მხოლოდ და მხოლოდ, კომპლიმენტები ეკუთვნის. კოლორადოელებმა, რომლებსაც საჩემპიონო ელიტაში არავინ ასახელებს, მოედანზე თავი დადეს, იომეს და მათზე მეტად გამოცდილ მოწინააღმდეგეს ბევრი საფიქრალი გაუჩინეს. აივერსონის გუნდმა საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ალენმაც მშვენივრად იცის, რომ მეორე შეხვედრაში მოედანზე სულ სხვა "სპურსი" იქნება.

**ზურაბ თალაკვაძე**

## TV სპორტი

**24 აპრილი. სამშაბათი**

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
18:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:40 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:10 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:30 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ბელენენსეში.
12:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი. უნიკახა-ბარსელონა.
14:30 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
15:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:40 ფეხბურთი. Barca-TV. ჩავი.
16:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი.
21:25 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
21:50 სპორტინფორმი.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი (LIVE).
00:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:35 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ბელენენსეში.
03:20 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი. უნიკახა-ბარსელონა.
05:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
05:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.

**EUROSPORT**

09:30 მულტისპორტი.
10:00 ჩოგბურთი.
10:15 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ჰიუსტონი. აშშ.
11:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. მანჩესტერ იუნ-რომა.
16:15 მულტისპორტი.
16:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი.
20:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 პოკერი. ევროტური. ბადენი. ავსტრია.
01:00 პროფესიული კრივი. მ. ორალი (გერმანია)-დ. სპადა (იტალია). ჰამბურგი. გერმანია.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
10:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ფილადელფია.
11:00 სუმო.
12:15 მულტისპორტი.
13:15 ახალი ამბები.
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან პრი. სტამბოლი.
15:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
16:00 ავტოსპორტი. G2-ის სერია. ფორმულა 3000. სუძუკა. იაპონია.
17:15 მულტისპორტი.
17:30 სუმო.
19:00 ახალი ამბები.
19:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:00 სნოუბორდი.
20:30 ახალი ამბები.
21:00 სუმო.
22:30 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:30 ახალი ამბები.
00:45 მულტისპორტი.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 3:2 |
| **კონფერენსი** | |
| რაშდენი-ნორთვიჩი | 1:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ჩეზენა-ალბინოლეფე | 2:2 |
| ბარი-მანტოვა | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| პადერბორნი–კარლსრუე | 1:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტრასბური-რეიმსი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| ბეირა მარი-აკადემიკა | 0:1 |
| ბრაგა-სეტუბალი | 0:0 |
| **შოტლანდია** | |
| ფალკირკი-სტ. მირენი | 0:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტრომსგოდსეტი-ლილესტრომი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრომაპოიკარნა-გოტებორგი | 1:2 |
| ელფსბორგი-გეფლე | 1:1 |
| გაის-ერგრიუ | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბენფეულო-ოსტერსი | 0:1 |
| სილვია-ლანდსკრონა | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| პაკა-ინტერი | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-სლავია | 1:0 |
| **უკრაინა** | |
| შახტარი-დნიპრო | 2:3 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ბარსელონა** | |
| გაბაშვილი-სპეიდი | 3:6, 6:3, 1:6 |
| კარლოვიჩი-სეპი | 7:6, 5:7, 3:6 |
| სტეპანეკი-პაველი | 6:4, 3:6, 4:6 |
| ეშაუერი-შჩუკინი | 4:6, 4:6 |
| ბეკერი-კუნიცინი | 7:6, 6:4 |
| გალვანი-ლორენცი | 7:6, 2:6, 6:7 |
| ლი-ტ. იოჰანსონი | 3:6, 3:6 |
| ანდუხარი-სალვა | 6:4, 6:0 |
| ტურსუნოვი-ერნანდესი | 4:6, 4:6 |
| გარსია ლოპესი-ფ. ლოპესი | 5:7, 3:6 |
| მარტინი-ფალა | 6:1, 6:4 |
| მანტიია-დუსტოვი | 6:4, 1:6, 6:0 |
| ვოლანდრი-კოროლიოვი | 6:0, 6:4 |
| კალერი-მ. ლოპესი | 7:5, 5:7, 6:3 |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| სიმონი-რამირეს იდალგო | 4:6, 4:6 |
| რასელი-ჰარტფილდი | 6:1, 6:4 |
| სერა-მაუ | 2:6, 4:6 |
| კლემანი-გუბლისი | 7:6, 6:3 |
| ჟიკელი-დი მაურო | 6:4, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-ლოდრა | 6:2, 7:6 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| ოპრანდი-კნაპი | 7:5, 2:6, 4:3 უარი |
| ლუა-ვორაკოვა | 6:4, 6:2 |
| მიულერი-კამერინი | 6:7, 6:3, 7:5 |
| ბრიანტი-ბატა | 6:2, 6:3 |

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# კროსბის უარი, ფავორიტი სლოვაკეთი და სხვა ამბები

სტენლის თასის პირველი ეტაპი დასასრულს მიუახლოვდა. ფლეი ოფიდან "პიტსბურგისა" და "ატლანტას" გავარდნის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდებმა შემადგენლობების გაძლიერების შანსი მიიღეს.

დავიწყოთ კანადის ნაკრებით. როგორც კი, "პიტსბურგისა" და "ოტავას" სერიის მეხუთე მატჩი დასრულდა, კანადელთა გენერალური მენეჯერი - **სტივ აიზერმანი** რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ **სიდნი კროსბის** დაუკავშირდა და მას მოსკოვში თამაში შესთავაზა. როგორც კანადური პრესა წერს, "პინგვინების" ახალგაზრდა ვარსკვლავმა ძალიან მძიმედ გადაიტანა ფლეი ოფში განცდილი წარუმატებლობა და მან აიზერმანს საბოლოო პასუხი ცოტათი დაუგვიანა.

სამწუხაროდ, კროსბი ტრავმის გამო ვერ დაეხმარება კანადის ნაკრებს. ჰოკეისტის ინფორმაციით, მან ჯერ კიდევ 16 მარტს, ფეხის ძვალი მოიტეხა და მიუხედავად ამისა, ერთი თამაშიც არ გამოუტოვებია.

*"პირველი ორი კვირა ფეხი ძალიან მტკიოდა, მაგრამ ძვალმა ნელ-ნელა შეხორცება დაიწყო და ცოტათი ამოვისუნთქე. ახლა უნდა დაველოდო, სანამ ბოლომდე მოვირჩენ ამ დაზიანებას"*, - განაცხადა კროსბიმ.

სამაგიეროდ, მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს კროსბის თანაგუნდელი, 19 წლის **ჯორდან სტაალი**, რომელმაც თავის სადებიუტო სეზონში 30-ზე მეტი გოლი გაიტანა.

გარდა ამისა, აიზერმანმა თავის გუნდში "პიტსბურგის" მეკარე **მარკ-ანდრე ფლერის** უხმო. ეს არის ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფრანკოფონი გოლკიპერი. თუმცა, ფლერის გარეშეც, კანადის ნაკრები მეკარეების მხრივ სოლიდურად არის დაკომპლექტებული - უკვე შემადგენლობაში არიან **დუეინ როლოსონი** ("ედმონტონი") და **კემ უორდი** ("კაროლინა").

აიზერმანი მოუთმენლად ელოდა "ბაფალოსა" და "აილენდერსის" სერიის დასრულებას. ნაკრების გენერალურ მენეჯერს იმედი აქვს, რომ "კუნძულელთა" ცნობილი ფორვარდი - **რაიან სმიტი** (მეტსახელად "კაპიტანი კანადა") მსოფლიო ჩემპიონატში თამაშს დათანხმდება.

გარდა ვარსკვლავების შეგროვებისა, აიზერმანს სხვა საზრუნავიც აქვს. კერძოდ, მან რიგითი ჰოკეისტებით უნდა შეავსოს შემადგენლობა. ამ მიზნით, კანადის ნაკრებში ჩაირიცხა "სენტ ლუის ბლუზის" ფორვარდი **ჯეი მაკკლემანი**, აგრეთვე "ნეშვილ პრედატორზის" ორი მცველი - **ში უებერი** და **დენ ჰამჰუისი**. გარდა ამისა, გენერალურმა მენეჯერმა ნაკრებში NHL-ის მიღმა მოთამაშე შვიდი კანდიდატიც მიიწვია. მათ ფინეთის შეკრებაზე გასინჯავენ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც შემდეგ მიიღებენ. ეს ჰოკეისტები არიან: მცველები - **კორი მერფი** (ჰიფკ, ფინეთი), **ჯეიმი პოლოკი** ("ნიურნბერგი", გერმანია), **პასკალ ტრეპანიე** ("მანჰაიმი", გერმანია); თავდამსხმელები - **მარტინ კარია** ("კიეკო", ფინეთი), **რენე კორბე** ("მანჰაიმი", გერმანია), **სტეისი რეეტი** ("რაპერსვილი", შვეცარია), **ჯონათან ტეივზი** (ჩრდილო დაკოტას უნივერსიტეტი).

■ ■ ■

რუსეთის ნაკრების რიგებში სრული გაუგებრობა სუფევდა, მაგრამ ახლა ამ გუნდშიც ლაგდება სიტუაცია. გასულ წლებში, რუსები ხშირად უცნაური (და სულელური) გადაწყვეტილებებით გამოირჩეოდნენ, რასაც იქაური ჰოკეისტების ნაკლები პატრიოტიზმიც ემატებოდა. შედეგად, ჩვენი მეზობელი ვერასოდეს აგროვებდა ძლიერ შემადგენლობას და ამიტომაც, თითქმის 15 წელიწადია ღირებული არაფერი მოუგია.

წელს ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ საშინაო მსოფლიო ჩემპიონატზე, მასპინძლებს ნორმალური შემადგენლობის შეკრების შანსი მიეცათ, მაგრამ აქ უკვე ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **ვიაჩესლავ ბიკოვის** ხუშტურები ჩაერთო საქმეში. მან ჯერ გუნდიდან მოკვეთა "ვაშინგტონის" ფორვარდი - **ალექსანდრ სიომინი**, რომელიც წლევანდელ რეგულარულში, რუსებს შორის მესამე სნაიპერი იყო. ხოლო, როცა სტენლის თასს "ატლანტა" გამოეთიშა, ბიკოვმა გამოაცხადა, რომ თავის გუნდში არ მიიწვევდა ნიჭიერ და შედეგიან ფორვარდ **ილია კოვალჩუკს**. ხოლო ამ უკანასკნელის თანაგუნდელ **ვიაჩესლავ კოზლოვს** ტრავმა აწუხებს და მოსკოვში თამაშს არ აპირებს.

მაგრამ ბიკოვი გონს მოეგო და კოვალჩუკს გუნდში უხმო. ასევე ითამაშებენ მასპინძელთა რიგებში ნეშვილელი **ალექსანდრ რადულოვი** და პიტსბურგელები - **ევგენი მალკინი** და **სერგეი გონჩარი**.

■ ■ ■

ფლეი ოფის პირველ წრეში განვითარებული მოვლენებით, ალბათ, ყველაზე მეტად სლოვაკეთის ნაკრებმა იხეირა. როგორც კი "მინესოტა" გავარდა, ამ გუნდის ლიდერებმა - **პავოლ დემიტრამ** და **მარიან გაბორიკმა**, მაშინვე დაადასტურეს ნაკრებში თამაშის სურვილი. რაც შეეხება "უაილდის" მესამე სლოვაკს - **ბრანკო რადივოიევიჩს**, ის, ალბათ მოსკოვში არ ჩავა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო სლოვაკებისთვის "აილენდერსის" წარუმატებლობა. აქ ნაკრების უცვლელი ლიდერი და კაპიტანი - **მიროსლავ შატანი** და აგრეთვე, **რიხარდ ზედნიკი** თამაშობენ. ამ უკანასკნელის გეგმების შესახებ ცნობილი არაფერია, სამაგიეროდ, ნაკრების ხელმძღვანელებს მსოფლიოზე თამაშის სურვილი დაუდასტურა შატანმა.

საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია "ატლანტას" ერთ-ერთ ლიდერ **მარიან ჰოსას**. რეგულარულში 100 ქულის დამგროვებელ ფორვარდს მხარი აწუხებს და შეიძლება ამან შეუშალოს ხელი მის მოსკოვში ჩასვლას. და კიდევ, სლოვაკებს შესაძლოა "პიტსბურგის" ფორვარდი - **რონალდ პეტროვიცკი** შეუერთდეს.

ასეა თუ ისე, უკვე დღევანდელი შემადგენლობით, სლოვაკეთმა შეიძლება 2002 წლის სეზონი გაიხსენოს, როცა ეს გუნდი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ორი ჰოკეისტი დაემატა ამერიკის ნაკრებს. ესენი არიან მცველები - **ერიკ ჯონსონი** და **ენდრიუ ჰატჩინსონი**. ჯონსონი ამ სეზონში მინესოტას უნივერსიტეტში თამაშობდა და WCHA-ს ლიგის საუკეთესო მცველი გახდა, 2005 და 2006 წლებში კი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მომავალ წელს, ჯონსონი "სენტ ლუისში" ითამაშებს.

კაროლინელმა ჰატჩინსონმა NHL-ის რეგულარულ ჩემპიონატში 41 მატჩი ჩაატარა და 33 ქულა (10 გოლი+23 პასი) დააგროვა. ის სტენლის თასის ჯერ კიდევ მოქმედი მფლობელის ლიდერი გახდა რიცხობრივი უპირატესობისას გატანილი გოლებით.

25 ჰოკეისტი ვარჯიშობს ჩეხეთის ნაკრებში, აქედან ცხრა - NHL-ის ლეგიონერია. ბოლო ინფორმაციით, მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე უარი განაცხადა **მარტინ სკოულამ** ("მინესოტა"), სამაგიეროდ, მოსკოვში ვიხილავთ **მარეკ ჟიდლიცკის** ("ნეშვილი"). ჩეხების მთავარი მწვრთნელი **გადამჩიკი** ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს და სხვა ოკეანისგაღმელი მოთამაშეების იმედი აქვს.

შვედეთის ნაკრებს **პეტერ ფორსბერგი** ("ნეშვილი") დააკლდება. ლეგენდარულმა ფორვარდმა "ტრე კრუნურის" მწვრთნელ **ბენგტ-აკე გუსტაფსონს** დაურეკა და უთხრა, რომ NHL-ში ძალიან რთული სეზონი ჰქონდა და ის ვერაფრით დაეხმარება ნაკრებს.

ფინეთის ნაკრებში ვიხილავთ ახალგაზრდა და საკმაოდ მაღალი დონის მეკარეს - **კარი ლეჰტონენს**, რომელიც "ატლანტას" ღირსებას იცავს.

ბოლო ინფორმაცია კი, გერმანიის ნაკრებს შეეხება. მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე უარი განაცხადა NHL-ში მოთამაშე ამ ქვეყნის სამმა ლეგიონერმა. ერთ-ერთი მათგანია "ბოსტონ ბრუინზის" თავდამსხმელი - **მარკო შტურმი**. გერმანელთა დამრიგებლის - **უვე კრუპის** თქმით, შტურმმა მიზეზად ცუდი ფიზიკური ფორმა მოიყვანა, რაც მას პირველობაზე სრული დატვირთვით თამაშის საშუალებას არ მისცემდა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, მოსკოვში გამგზავრება იუარა "ვაშინგტონის" ვეტერანმა მეკარემ - **ოლაფ კიოლციგმა**, ხოლო ბოლო ინფორმაციით, გერმანელთა რიგებში არ იქნება "კაროლინას" მცველი **დენის ზაიდენბერგი**.




კროსბიმ ფლეი ოფიდან გავარდნა ძალიან განიცადა

NHL. ფლეი ოფი. I წრე

# კალგარი ერთი კაცის გუნდია




ჯონტას მეორე გოლი ტამპას კარში

**აღმოსავლეთი**

**ტამპა ბეი (7)–ნიუ ჯერსი (2) 2:3**

0:1, 2:2, 0:0

გოლები: 0:1 ჯონტა-4 (ელიაში-4, რაფალსკი-5), 0:2 რაფალსკი-2 (ელიაში-5, გომესი-6), 1:2 ბ. რიჩარდსი-2 (კუბა-3, პროსპალი-4), 1:3 ჯონტა-5 (ელიაში-6, გომესი-7), 2:3 ბ. რიჩარდსი-3 (კუბა-4, ლეკავალიე-2).

**სერია 2:4**

სერიის პირველ სამ მატჩში გაკრიტიკებული **მარტინ ბროდო**, საბოლოოდ, ამ დაპირისპირების ერთ-ერთი გმირი გახდა. თავდაპირველად, "ეშმაკების" მეკარემ სამ მატჩში 12 შაიბა გაუშვა და ამერიკული პრესის კრიტიკაც დაიმსახურა, მაგრამ მეოთხე შეხვედრაში ბროდომ შატაუტი გაახერხა, ხოლო გუშინ, მართალია ორი შაიბა გაუშვა, მაგრამ 32 დარტყმა მოიგერია და მნიშვნელოვანწილად განაპირობა "ნიუ ჯერსის" გამარჯვება.

34 წლის ბროდომ ფლეი ოფში 93-ე გამარჯვება მოიპოვა, ლეგენდარულ **გრანტ ფიურს** გადაასწრო და ყველა დროის სიაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ამ მაჩვენებლით, ყველა დროის ლიდერი **პატრიკ რუაა** (151 მოგება).

"ნიუ ჯერსის" მხრიდან, სერიის მეორე გმირი ამერიკელი ფორვარდი **ბრაიან ჯონტა** გახდა, რომელმაც სულ ხუთი შაიბა გაუტანა "ტამპა ბეის". გარდა ამისა, სამივე საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა ჩეხმა **პატრიკ ელიაშმა**.

ამჯერადაც გამოიჩინა თავი "ტამპა ბეის" წამყვანმა სამეულმა. **ბრედ რიჩარდსმა** დუბლი შეასრულა. სულ კი, მან და მისმა პარტნიორებმა - **ვენსან ლეკავალიემ** და **მარტინ სენტ ლუისმა**, სერიაში "ტამპას" 14 გოლიდან 11 საკუთარ ანგარიშზე მიითვალეს. მაგრამ "ნიუ ჯერსისთან" სერიაში ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან ამ ფორვარდებს სხვა თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი.

"ტამპა ბეი" ზედიზედ მეორედ გამოეთიშა ფლეი ოფს პირველ წრეში. შარშან მან 5 მატჩში წააგო "ოტავასთან". სხვათა შორის, სწორედ "ოტავას" შეხვდება კონფერენციის ნახევარფინალში "ნიუ ჯერსი".

**დასავლეთი**

**კალგარი (8)–დეტრ. (1) 1:2 (2 ო)**

0:0, 1:1, 0:0, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 იგინლა-2 (ლენგკოუ-2, სტიუარტი-1), 1:1 ლანგი-1 (ბერტუცი-2, ჩელიოსი-2), 1:2 ფრანცენი-2 (ლიდსტრიომი-6, კალდერი-1).

**სერია 2:4**

"დეტროიტმა" დაარღვია კანონზომიერება და სტუმრად გამარჯვება მოიპოვა. მანამდე, მეტოქეები მხოლოდ საკუთარ მოედანზე იგებდნენ შეხვედრებს.

"კალგარიმ" კვლავ გაწირა თავისი ბრწყინვალე მეკარე - **მიკა კიპრუსოფი**, როცა სტუმრებს 55 ზუსტი დარტყმის განხორციელების საშუალება მისცა. ფინელმა მხოლოდ ორ შემთხვევაში ვერ შეძლო თავისი გუნდის გადარჩენა, მაგრამ გაშვებულ გოლებში მისი ბრალი ნაკლებად იყო. თუ ვინმეა გასაკრიტიკებელი, ეს არის "კალგარის" დაცვისა და შეტევის ხაზი. გუნდებმა 84 წუთი დაჰყვეს მოედანზე და "ფლეიმზმა" ამ დროის განმავლობაში, მხოლოდ 21 დარტყმა შეასრულა.

თუმცა, მასპინძლებს პირველ ოვერტაიმში შეეძლოთ მატჩის მოგება. "კალგარის" რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, როცა **დევიდ მოსი დომინიკ ჰაშეკთან** გავიდა პირისპირ, მაგრამ ვერ შეძლო გამოცდილი მეკარის მოტყუება. ყველაფერი კი, მეორე ოვერტაიმის მეხუთე წუთზე დასრულდა, როცა **ნიკლას ლიდსტრიომის** დარტყმას **იოჰან ფრანცენმა** დაუხვედრა ყვანჯი და მატჩისა და სერიის ბედი გადაწყვიტა.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა